

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№19, თებერვალი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2022

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია
მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ირმა ჩხეიძე, სოფიო ნარიმანიძე. პოსტკონფლიქტურ პერიოდში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მექანიზმები საქართველოში: 2010-20 წლების ანალიზი-----4
2. ანი სიხუაშვილი მარიამ ბერულავა. ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მედიაასახვის სპეციფიკა (ონლაინგამოცემების - „ნეტგაზეთისა“ და „ტაბულას“ მაგალითზე)-----22
3. მარიამ ბრეგვაძე ხატია სოფრომაძე. ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურება ტაივანთან მიმართებით-----36
4. დათო დოლაბერიძე ქეთევან გელაშვილი. ელექტორატის საარჩევნო ქცევა საქართველოში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაგალითზე-----52
5. ნინო ხარაბაძე თეკლა აბუანდაძე. აფრიკის კოლონიალიზმი-გზა ეთნიკურ დაპირისპირებამდე -----73
6. ნინო აბესაძე ვასიკო ხორავა. რუსეთის პოლიტიკა არქტიკაში: ინტერესები და მიზნის მიღწევის მექანიზმები -----83
7. გვანცა ჩანგელია ნინო ქოქოშვილი. კატარის დიპლომატიური კრიზისი: გამომწვევი მიზეზები და ბლოკადის გავლენა კატარზე -----102
8. ლელა ქოროღლიშვილი მარიამ ქარქაშაძე. არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების გამოწვევები (თბილისის მაგალითზე) ----115
9. მარიამ კვეტენაძე ანა ბრეგვაძე. აბსენტისტური განწყობების მიზეზები ქართველ ამომრჩევლებში და საზოგადო მენსიერება-----128



პოსტკონფლიქტურ პერიოდში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მექანიზმები საქართველოში:
2010-20 წლების ანალიზი

ირმა ჩხეიძე
სოფიო ნარიმანიძე

სახელმწიფო მართვის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: irma.chkheidze611@sps.tsu.edu.ge

E-mail: sopio.narimanidze9685@pes.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ომის დესტრუქციული გავლენა საზოგადოების ყველა წევრზე მოქმედებს, მაგრამ ქალები განსაკუთრებული მონაცვლადობით გამოირჩევიან. ისინი კონფლიქტისგან განსხვავებულ გამოცდილებას იღებენ, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის პროცესში.

საქართველოსთვის შეიარაღებული კონფლიქტები და მისგან გამონეული სოციო-ეკონომიკური სისტემების მოშლა ახლო წასრულის ნაწილია და მოსახლეობაზეც შესაბამის გავლენას ახდენს. 2020 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 290 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, ხოლო მათ უმრავლესობას ქალები და გოგონები წარმოადგენენ (არჯევანიძე, 2020).

ქალთა საკითხებით, საერთაშორისო პოლიტიკური აქტორების განსაკუთრებული დაინტერესების გამო, საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, დონორების ინიცირებით არაერთი პროგრამა ხორციელდება, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავს მიზნად.

წინამდებარე სტატია ანალიზებს საქართველოში, 2010-20 წლებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არსებულ პოლიტიკას, მის ტრანსფორმაციას და აღნიშნულ პროცესში, საერთაშორისო აქტორების ჩართულობას. მოცემული მიზნის მისაღწევად შესწავლილ იქნა როგორც საერთაშორისო დონორების, ისე სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროგრამები.

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია პიტერ დრაკერის „ცვლილებების თეორია“, რომელიც ხსნის, თუ რა ტიპის ცვლილებების მოტანა შეუძლია გაძლიერებაზე ორიენტირებულ პროგრამებს (1957). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდს და მონაცემთა შინაარსობრივ ანალიზს. საკვლევო პროგრამები და გამოკითხული რესპონდენტები მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე შეირჩნენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ 2010-20 წლებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, საქართველოს პოლიტიკამ პოზიტიური ცვლილებები განიცადა, რაზეც მეტწილად საერთაშორისო აქტორებმა იქონიეს გავლენა. მიუხედავად ამისა, გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად საჭიროა სწორხაზოვანი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ამჟამად სახელმწიფო პოლიტიკაში არაა ასახული. გამონევის ადრესაცია ინტერსექტორული კოორდინაციით უნდა მოხდეს, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება და სამოქალაქო სექტორი თანაბრად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას.

საკვანძო სიტყვები: ქალები, ეკონომიკური გაძლიერება, პოსტკონფლიქტური, ტრანზიცია, ტრანსფორმაცია, საერთაშორისო დონორები, პროგრამები.

შესავალი

შეიარაღებულ კონფლიქტს უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მაგრამ მას ბევრად უფრო გრძელვადიანი ზიანის მოტანაც შეუძლია, რაც ადამიანთა იძულებით გადაადგილებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში გამოიხატება. გარდა იმ ფსიქოლოგიური,

ფიზიკური და ემოციური სტრესისა, რისი გადატანაც კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ადამიანებს უნევთ, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური სტრესფაქტორებიც, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების თითოეულ სფეროზე ახდენს გავლენას. ამ უკანასკნელ პარამეტრში კი გენდერული უთანასწორობა ყველაზე მეტად იკვეთება.

კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ კონტექსტში გენდერის კვლევების მიმართულება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარდა, რასაც ისტორიულმა და სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუწყო ხელი. 90-იან წლებში წარმოებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, მსოფლიოში, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა კრიტიკულად გაიზარდა (არჯევანიძე, 2020). აღნიშნულმა კონტექსტმა მრავალ სახელმწიფოს შესაბამისი სამართლებრივი ინტრუმენტების დანერგვისაკენ უბიძგა, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას, მხარდაჭერასა და გაძლიერებას გულისხმობდა. როგორც აღნიშნავენ, მშვიდობის შენარჩუნება ომის მოგებაზე ბევრად უფრო კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც სხვადასხვა აქტორია ჩართული (Anderlini & El-Bushra, 2004). იმისთვის, რომ ომგამოვლილი საზოგადოების აღდგენის და სოციალური რეკონსტრუქციის პროცესში, მშვიდობისკენ ტრანზიციის პროცესი წარმატებული იყოს, მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის საზოგადოებამ საჭირო რესურსი შექმნას და გრძელვადიან პერიოდში, ჰუმანიტარულ და საერთაშორისო დახმარებაზე დამოკიდებული არ დარჩეს (Meintjes, Pillay, & Turshen, 2004).

კონფლიქტისა და გენდერის კვლევით სფეროში, ომის, როგორც იზოლირებულად მასკულიზურ სივრცედ აღქმის პრობლემაზე, დიდხანს საუბრობდნენ, ვინაიდან ამ პერსპექტივიდან დაზარალებულად მხოლოდ კონფლიქტში უშუალოდ ჩართული სუბიექტი მოიაზრებოდა. ომის კონტექსტში გენდერული განზომილების შემოტანამ კვლევითი სფერო სხვა მიმართულებით წაიყვანა, რომელიც აუცილებლად მოიცავს ქალთა გამოცდილებებსაც (არჯევანიძე, 2020). კონფლიქტი როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის, ეკონომიკურ და სოციალურ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა კონფლიქტის კონტექსტში ქალების გამოცდილებას თან ერთვის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და ძალადობა. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტამდელ პერიოდში არსებული გენდერული სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა, პოსტკონფლიქტურ კონტექსტში, ქალებს კიდევ უფრო მონყვლადს და დაუცველებს ხდის (Perianes, 2018).

ამ მიმართულებით, ზოგიერთი ავტორი, კითხვას შემდეგნაირად აყალიბებს: არის თუ არა პოსტკონფლიქტური პერიოდი ქალებისთვის ახალი შესაძლებლობების მომტანი? ისტორიულად, კონფლიქტის პერიოდში ქალებს უწევდათ ახალი სოციალური როლების მორგება, მათ შორის, ოჯახსა თუ თემში ეკონომიკური სტაბილობის შენარჩუნება. საქართველოში, 1990-იან წლებში, აფხაზეთსა და ცხინვალში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, ქართველმა ქალებმა როლური ცვლილებების მსგავსი გზა განვლეს. აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ, შინ დაბრუნებული მამაკაცების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო შესაბამისი სამსახურის პოვნა და ეკონომიკურად გააქტიურება, რასაც ექსპერტები ტრავმატული მასკულიზმით ხსნიან (არჯევანიძე, 2020). ამის საპასუხოდ, ოჯახების ფინანსურად უზრუნველყოფის მიზნით, ქალებმა არამხოლოდ სამუშაო პროფილი შეიცვალეს, არამედ სრულიად ახალ გამოწვევებს შეეჭიდნენ. 90-იან წლებში მიმდინარე

პროცესები დიდი გამოწვევა აღმოჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის. სახელმწიფომ იძულებით გადაადგილებული პირების მინიმალური სერვისებით უზრუნველყოფა ვერ შეძლო, ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ შრომითი ემიგრაციის გზას დადგომოდნენ, რომელიც თვითგადარჩენის ერთადერთ გზად ესახებოდათ. 90-იან წლებში, საქართველო 400 ათასამდე მოქალაქემ დატოვა. მათ დიდი ნაწილს სწორედ ქალები შეადგენდნენ (ჭელიძე, 2000).

დევნილთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე დიდი გავლენა იქონია სახელმწიფოს პოლიტიკამ, რომელიც ორივე თაობის¹ დევნილთა მიმართ განსხვავებული იყო. პირველი თაობის შემთხვევაში, სახელმწიფო არ იყო სათანადოდ მომზადებული, რათა მათი განსახლებისა და ელემენტარული რესურსებით უზრუნველყოფის პოლიტიკა ოპერატიულად წარემართა. ამას თან ერთვოდა ხელისუფლების მიერ გაუღებელი ნარატივი იმასთან დაკავშირებით, რომ დევნილები აუცილებლად შინ დაბრუნდებოდნენ. ამ იდეით შთაგონებულმა დევნილებმა ვერ შეძლეს ეკონომიკური განვითარების კიბეზე დაწინაურება.

2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირები განსხვავებულ რეალობაში აღმოჩნდნენ. მათი მისამართით აღარ უღერდებოდა შინ დაბრუნების რიტორიკა, რასაც თან დაერთო განსახლებისა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვის ოპერატიული პოლიტიკა. სახელმწიფოს მობილიზებაში დიდი როლი ითამაშეს საერთაშორისო დონორებმა და საქართველოს მიერ ნაკისრმა საერთაშორისო ვალდებულებებმა (სიღრმისეული ინტერვიუ გენდერის მკვლევართან, 24.10.21).

ხშირად, პოსტკონფლიქტურ პერიოდში, გენდერული როლების ხელახალი რე-მასკულინიზაცია ხდება, მაგრამ ომისშემდგომი აღდგენის პროცესი იძლევა ქალების გაძლიერების პოტენციურ შესაძლებლობას, რათა მათი აგენტობა და ეკონომიკური როლი წინ წამოიწიოს. ის, თუ რამდენად დაინერგება პრაქტიკაში აღნიშნული შესაძლებლობები, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ავტორები მიიჩნევენ, რომ „ომი ქალებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს ცხოვრების ტრანსფორმაციისთვის“ (Meintjes, Pillay, & Turshen, 2004). კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, ქვეყნებს არსებითი ტექნიკური და ფინანსური დახმარება ენიჭებათ, რაც ძირეული ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნებისკენ უნდა იქნას მიმართული და უზრუნველყოს მშვიდობის შენარჩუნება. ხშირად, მსგავსი დახმარებები მიმართულია მონყვლადი ჯგუფების, მათ შორის ქალების გაძლიერებისკენ. შემოსული დაფინანსებები, საერთაშორისო პროგრამები და პროექტები, ნაციონალური რეკონსტრუქციის პრიორიტეტების სწორად დასახვაზე უშუალო გავლენას ახდენს. პროცესში ქალთა მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს მათი საჭიროებები და შემდგომ, სათანადო ასახვა ჰპოვოს ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე. (Anderlini & El-Bushra, 2004).

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, რა გავლენა მოახდინა საერთაშორისო აქტორების ჩართულობამ საქართველოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე 2010-20 წლების დროით ჩარჩოში. იმისათვის, რომ გვეპასუხა კვლევის კითხვისთვის, თუ რა სოციალური ცვლილებების მოტანას ისახავს მიზნად,

¹ პირველი თაობის დევნილებად მოიაზრებიან აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულები, ხოლო მეორე თაობის დევნილებად-2008 წლის ომის შედეგად დაზარალებული პირები.

საერთაშორისო დონორების მიერ ინიცირებული, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები საქართველოში, დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- სამაგიდო კვლევის საშუალებით შევისწავლეთ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტები;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევები და ანგარიშები;
- გავაანალიზეთ ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ადგილობრივი პროგრამები.

ლიტერატურის მიმოხილვა

დიდი ხნის განმავლობაში, ომსა და მშვიდობაში, ქალთა წვლილი არასათანადოდ ფასდებოდა. სინამდვილეში, ქალები აქტიურად მონაწილეობენ როგორც კონფლიქტის პრევენციის, ასევე მშვიდობის შენარჩუნების აქტივობებში. ომის შემდგომ კონტექსტში, ეკონომიკური აღდგენისა და სოციალური რეკონსტრუქციის პროცესში, ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად, ფორმალურად თუ არაფორმალურად, ქალების წვლილი ხელისუფლებისა და საერთაშორისო აქტორების დახმარების საპირწონედ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამის მიუხედავად, ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში ქალების ჩართულობა მინიმალურია (Sørensen, 1998).

შეიარაღებული კონფლიქტების შესწავლაში გენდერული პერსპექტივა 1990-იანი წლებიდან გაძლიერდა, როდესაც მსოფლიო არაერთმა ეთნო-კონფლიქტმა მოიცვა და მასში სამოქალაქო საზოგადოება ჩაერთო. კონფლიქტების მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, ყურადღების ცენტრში ქალები მოექცნენ, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ მათ არამხოლოდ მსხვერპლის, არამედ სამშვიდობო ადვოკატის როლის მორგებაც შეუძლიათ. ნიამ რეილი აღნიშნავს, რომ ამ დიდი პოტენციალის მიუხედავად, კონფლიქტის შემდგომი ტრანზიციისა და რეკონსტრუქციის პერიოდში, არ ხდება მათი ჩართვა ყველა შესაძლო დონეზე და რაც მთავარია, უგულებელყოფილია მათი საომარი გამოცდილება და საჭიროებები (Reilly, 2007). საკუთარ სტატიაში, გამოცდილებასთან დაკავშირებულ მსგავს ნარატივს ავითარებს ანა შნაიდერი და ამასთანავე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პოსტკონფლიქტური ტრანზიციის პროცესში, კონფლიქტის შედეგად იძულებით ადგილმონაცვლე ქალები, პასიურ როლს თამაშობენ მშვიდობის მშენებლობასა და სოციალურ-პოლიტიკურ ტრანსფორმაციაში. ავტორი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და აქტორების დახმარებით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები მნიშვნელოვან პარტნიორებად იქცევიან, რომლებსაც ფუნდამენტური სოციალური ცვლილებების მოტანა შეუძლიათ. აღნიშნული ცვლილება სწორედ ქალების გაძლიერებით იწყება, რაც საბოლოოდ შესაძლებლობათა ფანჯრის გახსნაში გამოიხატება, რისი საბოლოო პროდუქტიც საზოგადოებაში ქალების როლური ცვლილებაა (Snyder, 2008).

ტერმინი „გაძლიერება“ ბოლო რამდენიმე ათწლეულია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად კონცეფციად მიიჩნევა. ავტორები თანხმდებიან, რომ გაძლიერების კონცეფცია გულისხმობს ინდივიდისთვის იმ უნარის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს მიიღებს (Kabeer, 2001). ქალების გაძლიერების მნიშვნელოვანი ატრიბუტი არჩევანის ტრანსფორმაციული ძალაა. რიგი ავტორების მიხედვით, ქალთა

გაძლიერება როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე, ძირეული პატრიარქალური ნორმების სტრუქტურულ ცვლილებას მოითხოვს (Abril, 2009).

შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) 2009 წლის ანგარიშის თანახმად, პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქცია ქვეყანას წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების, გარკვეული ჯგუფების აგენტობის წინ წამოწევის და საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების ინიცირების საშუალებას აძლევს. ამის გამორჩეულ მაგალითს ლიბერია წარმოადგენს, სადაც გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება განახლებული საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტად იქცა, კონფლიქტური სიტუაცია კი ამ ცვლილებების მთავარი იმპულსი აღმოჩნდა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ტრანსფორმაცია, ქალებისთვის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს და მათ ეკონომიკურ აგენტობას ავითარებს (Abril, 2009).

ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, პოსტკონფლიქტური ტიპის ქვეყნები ყველაზე მოწყვლადები არიან, რადგანაც მათ კონფლიქტის დამანგრეველ შედეგებთან უწევთ გამკლავება, რაც მეტწილად სახელმწიფო ინსტიტუტების რეკონსტრუქციას მოითხოვს. ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური აღდგენა გადამწყვეტი და კომპლექსური პროცესია, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, პოსტკონფლიქტურ კონტექსტში, ქალთა საარსებო წყაროს აყალიბებს. ისტორიულად, ქალები იმ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან, რომელსაც ნაკლები ანაზღაურება და ხელმისაწვდომობა აქვს რესურსების განკარგვასა და კონტროლზე. კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ კონტექსტში სწორედ ამ ფაქტორების ინტენსიფიკაცია ხდება. აღნიშნული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, პოლიტიკაში გენდერული მენისტრიმინგის ტენდენცია დაინერგა, რაც გულისხმობს პოლიტიკის რეორგანიზაციას, გაუმჯობესებას, განვითარებას და შეფასებას გენდერული თანასწორობის პერსპექტივით. იგი მმართველობის ყველა დონესა და ეტაპზე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვისკენაა მიმართული. ამის მიუხედავად, კვლევები ცხადყოფს, რომ ქალები სახელმწიფო პროგრამებისგან ღებულობენ გაცილებითი ნაკლებ სარგებელს, ვიდრე მამაკაცები (Jashi, 2005). ამის მიზეზები კომპლექსურია, დაწყებული რესურსებისადმი არათანაბარი ხელმისაწვდომობით, დამთავრებული უსაფრთხოების განსხვავებული აღქმებით.

პოსტკონფლიქტური ეკონომიკური რეკონსტრუქცია, პირველ ყოვლისა, ხელისუფლების მხრიდან ინიციატივების შემუშავებით და ახალი პოლიტიკური ჩარჩოს შექმნით იწყება, რომელშიც განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები აისახება. უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური რეკონსტრუქცია გულისხმობს ინფრასტრუქტურისა და საწარმოო ობიექტების რეაბილიტაციას და განვითარების გეგმის შესაბამისად, ადამიანური რესურსის მობილიზაციას. ხელისუფლების ინიციატივების შესასრულებლად საერთაშორისო აქტორები ფინანსურ რესურსებს გამოყოფენ კრედიტის, სესხის თუ დახმარების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლება და გარე აქტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის აღდგენაში, ომისშემდგომი რეკონსტრუქციის პროცესში თითოეული ინდივიდის წვლილი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ავითარებენ ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ სტრატეგიებს, რომლის მიზანიც განვითარება და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაა (Sørensen, 1998). თუ ეკონომიკურ

გაძლიერებას განგრძობად პროცესად მივიჩნევთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ეს პროცესი სხვადასხვა განზომილებებში მიმდინარეობს², ქალთა ეკონომიკური გაძლიერება კი ყველა მათგანს მოიცავს. საბოლოოდ, საზოგადოება იღებს სრულფასოვან ეკონომიკურ აქტორად ჩამოყალიბებულ ქალს, რომელიც პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის პროცესში საკუთარი წვლილის შესატანად მზადაა (მარგველაშვილი, 2017).

პოსტკონფლიქტური ტრანზიციის პროცესში, საერთაშორისო აქტორების მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის კრიტიკული როლი, ხშირად იჩრდილება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პოსტკონფლიქტური პერიოდის გენდერული ასპექტი, საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგშიც დადგა, ხოლო ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, საერთაშორისო აქტორების დეკლარირებულ და გაცხადებულ მიზნებშია შეტანილი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მაღალი აქტივობით გამოირჩევა გაერო (UN), მსოფლიო ბანკი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

ადგილობრივი პოლიტიკის ფორმულირებასა და სოციალური ცვლილებების ნაწილში, საერთაშორისო აქტორების ჩართულობის მნიშვნელობაზე საუბრობს მარინა დოდლოვა. მისი შეფასებით, საერთაშორისო დონორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ისინი არათუ იქვემდებარებენ, არამედ გამოკვეთენ ადგილობრივ ინიციატივებს და სხვადასხვა პროგრამის საშუალებით აუმჯობესებენ მათ. საგულისხმოა, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია და საერთაშორისო აქტორი, პოლიტიკის იმპლიმენტაციის დონეზე, საკუთარ ინტერესებს და პრიორიტეტებს ანიჭებს უპირატესობას, რაც მათ მიერ ინიცირებული პროგრამის მიმართულებაზეც აისახება (Dodlova, 2020).

გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების მნიშვნელობაზე და მათ მიერ გამოწვეულ ცვლილებათა ჯაჭვზე ყურადღებას ამახვილებს, პიტერ დრაკერის „ცვლილებების თეორია“, რომელიც წინამდებარე ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ (1957). თეორიის პირვანდელი სახე დრაკერის წიგნში, „მენეჯმენტის პრაქტიკაში“ გამოჩნდა, ხოლო იმ ფორმით, რომლითაც ის ჩვენს ნაშრომშია წარმოდგენილი, სამეცნიერო ასპარეზზე 90-იან წლებში გამოჩნდა. ცვლილებების თეორია ხშირად განიმარტება, როგორც კავშირი გარკვეულ აქტივობებსა და სასურველ შედეგებს შორის. თეორია ხსნის, თუ რა წვლილი შეაქვთ აქტივობებს³ ცვლილებების ჯაჭვში (Rogers, 2014).

ნებისმიერ პროგრამას, მის მხარდამჭერსა და დონორს ესაჭიროება იმის მკაფიო აღქმა, თუ რა ცვლილებების მოტანას ისახავს მიზნად მათი ინიციატივა და როგორ უნდა მიაღწიონ სასურველ შედეგს. ცვლილებების თეორია სწორედ ის ინსტრუმენტია, რომელიც შესაბამისი სტრატეგიის დაგეგმვით და განხორციელებით ხელს უწყობს სოციალური ცვლილების მოტანას. პრობლემის იდენტიფიცირების, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრის და მათთან კონსულტაციის შემდეგ აუცილებელია, რომ განისაზღვროს სამოქმედო გეგმა, შესაბამისი რესურსი და ის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, რომლის დადგომისკენაც ვისწრაფვით (სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო, 2019).

² გამოიყოფა გაძლიერების სამი დონე: თვითგაძლიერება, ორმხრივი გაძლიერება და სოციალური გაძლიერება.

³ იგულისხმება პროექტები, პროგრამები და პოლიტიკა-„policy“.

საერთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბური ქმედებების მიუხედავად, კონფლიქტის კვლევებში მიიჩნევა, რომ ეფექტური და მდგრადი რეკონსტრუქცია დიდწილად განისაზღვრება და ნარჩუნდება ადგილობრივი მოსახლეობის, ეროვნული ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებების ჩართულობითა და შესაძლებლობებით. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო დონორები ადგილობრივ ორგანიზაციებს მიმართავენ და მათთან თანამშრომლობით ცდილობენ ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობას (Anderlini & El-Bushra, 2004).

მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა, შეგვესწავლა, თუ რა გავლენა მოახდინეს საერთაშორისო აქტორებმა, 2010-20 წლებში, საქართველოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკასა და მის ტრანსფორმაციაზე. საკვლევე კითხვიდან გამომდინარე გვსურდა, დაგვედგინა, თუ რა სოციალური ცვლილებების მოტანას ისახავდა მიზნად საერთაშორისო დონორების მიერ ინიცირებული, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, დასახული ამოცანების ფარგლებში, სამაგიდო კვლევის საშუალებით, შევისწავლეთ გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, საქართველოს მიერ რატიფიცირებული დოკუმენტების სამართლებრივი ბუნება და ჩვენს საკვლევ საკითხთან კავშირში მყოფი უცხოენოვანი ლიტერატურა. ამას გარდა, გავეცანით საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების საბოლოო ანგარიშებს და მათ მიერ ჩატარებული ადგილობრივი კვლევის შედეგებს.

კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩავატარეთ 6 სიღრმისეული ინტერვიუ, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ექსპერტებთან (UN Women Georgia, ფონდი „ტასო“), ისე ქალთა თემატიკაზე მომუშავე ექსპერტებთან და ერთ-ერთი პროგრამის დევნილ ბენეფიციართან, რომელიც 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალდა.

კვლევის ფარგლებში მივმართეთ არაალბათური შერჩევის ერთ-ერთ სახეს - მიზნობრივ შერჩევას, რომლის საფუძველზეც შევარჩიეთ ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ოთხი სახელმწიფო პროგრამა და საერთაშორისო დონორების მიერ ინიცირებული რამდენიმე პროგრამა, რომელიც ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა. რაც შეეხება კვლევის ლიმიტს, სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდით გამოკითხული რესპონდენტები შეიარჩნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული პროგრამების თვალსაზრისით, მიზნობრივი შერჩევის მეშვეობით შეირჩა სპეციფიკური პროგრამები და არა ყველა მათგანი.

საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური დიზაინი ქალთა პოლიტიკის მიმართულებით

მსოფლიოში არაერთი მაგალითი მოიძებნება, როდესაც პოსტკონფლიქტური ტრანზიციის მძიმე პროცესში, წინარე საომარი გამოცდილება დიდი სტიმული აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქვეყანას გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არსებული პოლიტიკა შეემუშავებინა (Abril, 2009). ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, რომელმაც

საერთაშორისო დონეზე ნაკისრი პასუხისმგებლობების კვალდაკვალ, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური დიზაინი შექმნა. საერთაშორისო დონეზე, საქართველო ისეთი ცნობილი დოკუმენტების ხელმომწერია, როგორცაა CEDAW და სტამბოლის კონვენციები⁴. ორივე დოკუმენტი გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ხელშეწყობაზეა ორიენტირებული, რაც პირდაპირ კავშირშია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან. ექსპერტთა მოსაზრებით, მათ შორის მიზგზ-შედგობრივი კავშირი არსებობს (სიღრმისეული ინტერვიუ საფარის მკვლევართან, 22.10.21).

პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სადაც ყურადღება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასა და თანაბარ შესაძლებლობებზე მახვილდება, საქართველოს კონსტიტუციაა. საკანონმდებლო თვალსაზრისით პირველი გარდატეხა გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული კანონი იყო, რომელიც საქართველომ 2010 წელს მიიღო. აღნიშნულ კანონს წინ უძღოდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც 2006 წლით თარიღდება. ქალთა სასარგებლოდ, 2014 წლიდან მოქმედებს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

ზემოთხსენებული დოკუმენტების არსებობა იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, საქართველოში არსებული საკანონმდებლობა ჩარჩო სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საერთაშორისო აქტორების ჩართულობისა და საქართველოს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობების შედეგია, თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დავგვრჩეს ის ფაქტი, რომ ფორმალურ დონეზე არსებული ნარატივი პრაქტიკაში სრულად ვერ რეალიზდება, რასაც თან ერთვის ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული შესაბამისი კანონის/დოკუმენტის არქონა. ეს ადასტურებს იმას, რომ ქვეყანას არ აქვს ერთიანი ხედვა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სამომავლო პერსპექტივებზე და სპეციფიკური პოლიტიკის შემუშავების თაობაზე (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2021).

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქვეყანაში მოქმედებს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმი, როგორც საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოა, რომელიც გენდერულ საკითხებზე სისტემურ და კოორდინირებულ მუშაობას უზრუნველყოფს. ხსენებული საბჭო აქტიურად თანამშრომლობს თვითმმართველ ორგანოებთან, რომლებსაც 2017 წლიდან აკისრიათ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. აღნიშნული საბჭოები, ყველა მნიშვნელოვან პროცესში, გენდერული კონტურის შეტანაზე არიან ორიენტირებულები. ისინი მუნიციპალიტეტებს ექვემდებარებიან, რომლებსაც ყოველწლიურ ანგარიშს აბარებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მუნიციპალიტეტის მერიაში ვხვდებით გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას უწევს მონიტორინგს. ის აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოსთან და კურირებს საბჭოს სხდომაზე წარსადგენ საკითხებსა და დოკუმენტებს. დაკისრებული პასუხისმგებლობების მიუხედავად, ამ თანამდებობაზე მყოფი პირები მეტწილად გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ფუნქციებს ასრულებენ და ტექნიკური ღონისძიებების

⁴ საქართველო CEDAW კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, სტამბოლის კონვენციას კი-2014 წელს.

განხორციელებით შემოიფარგლებიან (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება, 2020).

ქვეყანაში არსებულმა არაერთმა კონფლიქტმა, დევნილობამ და ოკუპაციამ, რამაც არსებითი გავლენა იქონია ქალთა ჯგუფებზე, ბიძგი მისცა სხვადასხვა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ამჟამად ქალთა არაერთი ორგანიზაცია მუშაობს საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ გოგონებთან და ქალებთან, მათი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, რათა მიღებული ინფორმაცია აისახოს პოლიტიკის დოკუმენტებში. საქართველოში, 2011 წლის 27 დეკემბერს, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012-2015 წლების პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა, რომლის მიზანი კონსოლიდირებული და კოორდინირებული ქმედებების განსაზღვრა იყო. სამოქმედო გეგმა მოიცავდა 1325 რეზოლუციის მთავარ ასპექტებს. განმახორციელებელთა შორის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ დაკისრებული საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს. 2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ძირითადი ტენდენციების გამოსაკვეთად განხორციელდა შუალედური შეფასება. აღმოჩნდა, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მაღალი ხარისხით მხოლოდ ის უწყებები გამოირჩეოდნენ, სადაც კონკრეტული დოკუმენტი არეგულირებდა ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას ან გამოყოფილი იყო პასუხისმგებელი თანამდებობის პირი. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, თითოეულმა განმახორციელებელმა უწყებამ შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2018-2020 წლების გეგმაც იმეორებს წინა წლების გეგმის ძირითად ასპექტებს. ჩვენთვის საინტერესოა მიზანი 5: სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგონები და მათი ოჯახის წევრები (ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, 2017). აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ბუნდოვანია ის ქვეპუნქტი, რომელიც ტრენინგების, სხვადასხვა აქტივობისა და გრანტების გაცემის გზით, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეეხება, ვინაიდან ბაზისი და მიზანი არ არის არაა დოკუმენტში განსაზღვრული.

ხარვეზების მიუხედავად, საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა, პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების წინაპირობაა. არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისთვის, სახელმწიფომ, საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული და საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებები, პრაქტიკულად უნდა შეასრულოს. ამ კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გენდერულ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა გაატაროს (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2021).

სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამები

2006 წლამდე, როდესაც გენდერული თანასწორობის სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმები არ არსებობდა, ამ მხრივ არავითარი სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა არ იყო შემუშავებული. დღესდღეობით, საერთაშორისო, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, საქართველოში, ქალთა გაძლიერების არაერთი პროექტი ხორციელდება. ჩვენი კვლევის დროითი ჩარჩოს გათვალისწინებით, გავაანალიზეთ 2010-20 წლებში, სახელმწიფოს მიერ ინიცირებული,

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული პროექტები. აღმოჩნდა, რომ 2006 წლიდან დღემდე, მათ შორის საკვლევ პერიოდში, სახელმწიფოს არ განუხორციელებია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტი (სათარი, 2017), მაგრამ ხდება ისეთი პროექტების იმპლემენტაცია, რომელიც მხარს უჭერს მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და ქალთა ჩართულობას პრიორიტეტულია. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ ჩატარდა საპარლამენტო მოკვლევა, სადაც გამოიკვეთა შესაბამის სამინისტროების დაქვემდებარებაში შემავალი ორი სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტები: „ანარმოე საქართველოში“ და კოოპერატივების განვითარების პროგრამა (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2021).

სსიპ „ანარმოე საქართველოში“ 2014 წელს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შეიქმნა და მისი მთავარი მიზანი, ქვეყანაში მენარმეობის გაუმჯობესებაა. უწყება ექვსი ძირითადი პროგრამის განმახორციელებელია, რომელთაგან მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში ყველაზე მეტი ქალი ბენეფიციარი დაფინანსდა⁵. პროგრამის ფარგლებში მოქმედი კვოტის თანახმად, დაფინანსებულთა მინიმუმ 40% ქალებზე უნდა მოდიოდეს. ამასთანავე, თანაბარ პირობებში, ქალი მენარმის მიერ წარდგენილ პროექტს დამატებითი ქულა ენიჭება. უნდა აღინიშნოს თვისებრივი განზომილებაც, რაც გულისხმობს იმას, რომ სტატისტიკურად ფინანსდება ქალი მენარმეების მცირე და საშუალო ბიზნესები, ხოლო დიდი მოცულობის გრანტების ბენეფიციართა შორის, ქალები თითქმის საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი. პროექტის ფარგლებში, დამატებითი ქულა დევნილების შემთხვევაშიც განისაზღვრება (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2021).

კოოპერატივების განვითარების სააგენტო მიზნად ისახავს ქვეყნის ერთ-ერთი გამონწვევის - სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერების ხელშეწყობას. პროგრამა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ნაწილია. პროგრამაში ქალთა ჩართულობა პრიორიტეტული არაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მზარდი რაოდენობა გამოთქვამს პროგრამაში ჩართვის სურვილს. ამჟამად, ჯამში 57 ქალთა კოოპერატივი ფუნქციონირებს. აღნიშნული კოოპერატივები გაცილებით წარმატებულები არიან განხორციელებული პროექტების, ცნობადობისა და იმიჯის თვალსაზრისით (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2021).

ასევე უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს პროექტებიც, რომელსაც 2012 წლიდან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (აპმა) ახორციელებს. ყურადსაღებია, რომ პროექტის ფარგლებში, ბიუჯეტის 30% უნდა გაცემულიყო ქალებზე, თუმცა ეს კვოტა 2019 წელს მოიხსნა, რადგანაც ვერ შეივსო. ამჟამად, პროექტები ღიაა ყველა მონაწილისთვის და არ ითვალისწინებს გენდერული ნიშნით რაიმე განსაკუთრებულ პირობას (დიაკონიძე, 2019).

ვინაიდან, ჩვენი კვლევის შედეგები პოსტკონფლიქტური კონტექსტში განიხილება, უნდა აღინიშნოს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამებიც. მანდატიდან გამომდინარე, სააგენტო ახორციელებს ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ პროგრამებს, რომელიც 2014 წელს, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. სააგენტოს სამოქმედო გეგმაში, ქალთა მონაწილეობაზე,

⁵ 9380-დან 3783 (40.3%) იყო ქალი.

40%-იანი კვოტა იყო გათვალისწინებული. სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, ხშირ შემთხვევაში, დაფინანსებული პროექტების ნახევარი ქალ ბენეფიციარებზე მოდის და კვოტის შევსების პრობლემა აქამდე არ დამდგარა (დიაკონიძე, 2019).

საერთაშორისო აქტორები და მათ მიერ დაფინანსებული პროგრამები

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გენდერულმა საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გლობალური პოლიტიკის შემუშავების ასპარეზზე. მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების კონტექსტში, ქალთა უფლებები, ძირითადი პოლიტიკის ინსტრუმენტების, რეზოლუციებისა და ვალდებულებების ნაწილი გახდა (Adrian-Paul & Anderlini, 2004). აღსანიშნავია, რომ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები გენდერის საკითხზე საუბრობენ, ისინი ექსკლუზიურად, მხოლოდ მხოლოდ ქალთა საკითხებს მოიაზრებენ (არჯევანიძე, 2020).

პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის პროცესში, საერთაშორისო აქტორების როლი საჭირო დროსა და ადგილას, შესაბამისი გამოწვევების განსაზღვრას და პრიორიტეტიზაციას, სათანადო რეაგირების კოორდინაციას და შესაბამისი ტიპის და რაოდენობის მატერიალური მხარდაჭერის გაგზავნას გულისხმობს. ყოველივე აღნიშნული უნდა აისახოს ეროვნულ პრიორიტეტებში და გამოკვეთილად შეუწყოს ხელი სამშვიდობო პროცესების კონსოლიდაციას (Jensen, 2012).

საქართველოს კონტექსტშიც, პოსტკონფლიქტურ პერიოდში, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათი რეზოლუციებისა და ვალდებულებების ზეგავლენით, დაიწყო ტრანზიციის ინიცირებისა და რეკონსტრუქციის პროცესი. ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებაზე დიდი გავლენა იქონია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-მა, რომელიც 2000 წელს იქნა მიღებული. რეზოლუცია საგანგებოდ განსაზღვრავს იმ უარყოფით ზეგავლენას, რაც შესაძლოა, რომ შეიარაღებულმა კონფლიქტმა ქალებზე იქონიოს და აღიარებს მათ მნიშვნელოვან როლს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პროცესში. ის ასევე ხაზს უსვამს სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებასა და გადანყვეტილების მიღების პროცესში, ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობის მნიშვნელობას და საჭიროებას.

მომდევნო რეზოლუციები კიდევ უფრო განამტკიცებს N1325 რეზოლუციის ასპექტებს, განსაკუთრებით კი კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. 2009 წელს მიღებული რეზოლუცია N1889 ყურადღებას ამახვილებს მშვიდობის შენების პროცესში ქალთა მონაწილეობაზე და მათ მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური გადანყვეტილებების მიღების მნიშვნელობაზე. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებულ არცერთ რეზოლუციას არ გააჩნია სახელმწიფოთათვის სავალდებულო იურიდიული ძალა. შესაბამისად, სახელმწიფო თავად განსაზღვრავს, თუ რა ტიპის პოლიტიკას დანერგავს პოსტკონფლიქტურ პერიოდში, ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

გაერომ, რომელიც ამ მიმართულებით ყველაზე დიდი აქტორია, ქალთა გაძლიერება და გენდერული თანასწორობა ათასწლეულის განვითარების მიზნებში შეიყვანა და საკუთარი აქტივობის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად აქცია (UNDP, 2005). გაეროს განვითარების პროგრამის პოლიტიკა ქალთა გაძლიერებას მათი ინდივიდუალური მონაწილეების, უნარებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის

გაზრდის გზით ახორციელებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ერთ-ერთ უმსხვილეს აქტორს წარმოადგენს, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით, რეგიონალურ დონეზე მუშაობს ადგილობრივ ორგანიზაციებსა და თემებთან.

აუცილებელია აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორები, როგორებიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), მსოფლიო ბანკი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და სხვ., რომლებმაც გენდერული მეინსტრიმინგი და ქალთა გაძლიერება თავიანთი სამოქმედო გეგმის ნაწილად აქციეს და შესაბამისი ფინანსური რესურსიც გამოყვეს. სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და რესურსების მობილიზება სწორედ იმ კონკრეტული მიზნების მიღწევის წინაპირობაა, რაზედაც ცვლილებების თეორიაა ორიენტირებული.

საქართველოში, საერთაშორისო დონორების დაფინანსებით, არაერთი პროექტი ხორციელდება. ჩვენი კვლევის დროითი ჩარჩოს ფარგლებში, პირველი პროექტი, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ეხებოდა, არის ფონდი „ტასოს“ მიერ 2010-15 წლებში განხორციელებული პროექტი, „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის“, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში, რეგიონებში, შეიქმნა თვითდახმარების ჯგუფები და დაფინანსდა ქალთა ინიციატივები, რასაც შესაძლებლობათა განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ღონისძიებები უძღოდა წინ.

ასევე მნიშვნელოვანია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ინიცირებული პროექტი „ქალები მშვიდობისა და თანასწორობისთვის“, რომლის ფარგლებშიც, ვიდეოსიუჟეტების მომზადებისა და შეხვედრების ორგანიზების გზით, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე, ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელდა დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა პრობლემების ადვოკატირება. პროექტმა ხელი შეუწყო პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართვას, სახალხო დიპლომატიის განვითარებას და გენდერული მეინსტრიმინგის გატარების გზით, სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებას.

საერთაშორისო აქტორების მიერ დაფინანსებული პროგრამები რამდენიმე კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ:

- საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ბიზნეს უნარების გადაცემას ემსახურება;
- კონსულტირების და მენტორინგის პროგრამები, რომელიც თითქმის ყველა პროექტში გვხვდება;
- საგრანტო პროგრამა, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშემწყობი დაფინანსებებით გამოიხატება;
- „სათემო მობილიზაცია“, რაც ადგილობრივი პროგრამების გადასაჭრელად ქალების აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. ამის მაგალითია თვითდახმარების ჯგუფები, ქალთა ოთახები და სხვ. (მარგველაშვილი, 2017).

კვლევის მიზნები

კვლევის ფარგლებში, სამაგიდო კვლევის, მონაცემთა შინაარსობრივი ანალიზისა და ჩვენს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მიღებული კვლევის შედეგები პირობითად სამ ბლოკად შეგვიძლია დავყოთ: პირველი ბლოკი აერთიანებს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ მიზნებს, მეორე-პროგრამებთან დაკავშირებულს, ხოლო მესამე უშუალოდ ქალ ბენეფიციარებს ეხება.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების უდიდესი ნაწილის მაინიცირებელ და განმახორციელებელ აქტორებად საერთაშორისო დონორები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები გვევლინებიან. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, ის ინსტიტუციური დიზაინი და საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ქალთა პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით გაგვაჩნია, მეტწილად საერთაშორისო დონორების ჩართულობითა და საერთაშორისო დონეზე, საქართველოს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობებითაა განპირობებული. მართალია, გეროს რეზოლუციები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, თუმცა ის მის ხელმძღვანელ სახელმწიფოებს გარკვეულ უფლებამოსილებას აკისრებს.

2010 წლიდან დღემდე, საქართველოს არ განუხორციელებია არცერთი პროექტი, რომელიც კონკრეტულად ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ეს იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ საქართველოსთვის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობა ნაკლებად პრიორიტეტული საკითხია და პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში არ დგას.

ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების გზაზე, შესაბამისი სოციალური სერვისების ნაკლებ ხელმისაწვდომობასთან ერთად, ქალებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევად საკუთრების არქონა რჩება, რაც ყველაზე ნათლად დევნილი ქალების შემთხვევაში იჩენს თავს. ისინი ამ მხრივ ორმაგად მონყვალადები არიან, მინის არქონის პრობლემა კი განსაკუთრებით თვალშისაცემია. სამეწარმეო საქმიანობის და სოფლის მეურნეობის კულტურის გაძლიერებაზე ორიენტირებულ პროგრამებში მონაწილეობისთვის, თითოეულ ბენეფიციარს უნევს თანამონაწილეობის წილის შეტანა, რისთვისაც ბანკიდან სესხის აღება უხდებათ. დღესდღეობით, საბანკო სისტემაში კვლავ არსებობს ის სტერეოტიპული მიდგომა, რომ ქალი არასანდო გადამხდელია, რის გამოც სესხის გაცემის პროცედურა უფრო ჭიანურდება. დევნილი ქალების შემთხვევაში, რომლებსაც საკუთრებასთან დაკავშირებით უფრო დიდი პრობლემა აქვთ, მოცემული სურათი უფრო მეტად მძიმდება⁶.

საქართველო დევნილი ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების სიუხვით არ გამოირჩევა, რის გამოც ისინი ყურადღების დეფიციტს განიცდიან სახელმწიფოსგან. ამ

⁶ RDFG (ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის)-ის ერთ-ერთი პროექტის დევნილ ბენეფიციართან ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში, ჩვენმა რესპონდენტმა მოგვითხრო, რომ ამ პროექტში მონაწილეობისთვის საჭირო კრედიტის მისაღებად, მან საკუთარი შეიღების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები გადაიფორმა (სიღრმისეული ინტერვიუ პროგრამის ბენეფიციართან, 9.11.21).

მხრივ ერთადერთი გამონაკლისი, პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, რომელიც დევნილ ქალთა ჩართულობას პრიორიტეტულ საკითხად განიხილავს.

საერთაშორისო დონორების მიერ ინიცირებული პროგრამების იმპლიმენტაციისას, უმეტესად მათი პოლიტიკური დღის წესრიგია გათვალისწინებული, ადგილობრივ ორგანიზაციებს კი მათზე მორგება უნევთ. დღესდღეობით არსებული პროგრამების დიდი სეგმენტი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ერთფეროვნებით ხასიათდება, რადგანაც ისინი ან სამენარმოე უნარების, ან სოფლის მეურნეობის კულტურის განვითარებაზე არიან ორიენტირებულები. ეს ერთგვარი დაბრკოლებაა იმ პოტენციური ქალი ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც სხვა მიმართულებით სურთ განვითარება.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამების შინაარსობრივ ნაწილში სამეურნეო და სასოფლო კულტურები დომინირებენ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მათ ანგარიშსწორება იმ ქალებზე აქვთ, რომლებიც გარკვეული მოცულობის საკუთრებას ფლობენ, რაც გამორიცხავს იმ ქალების თანამონაწილეობას, რომლებსაც არანაირი რესურსი არ გააჩნიათ. ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ „პროგრამების დიდი ნაწილი სწორედ იმ ქალებს აძლიერებს, ვინც გარკვეულ ეკონომიკურ რესურსს ფლობს“ (სიღრმისეული ინტერვიუ საფარის მკვლევართან, 22.10.21).

ამ ტენდენციის საპირისპიროდ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ UN Women Georgia-ს და ფონდ „ტასოს“ განსხვავებული პოლიტიკა აქვთ. მსგავსი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ისინი საკუთარ პროგრამებს ორ ჯგუფად ყოფენ: პირველი მათგანი ორიენტირებულია გარკვეული რესურსის მქონე ქალების გაძლიერებაზე, ხოლო მეორე მათგანი აქცენტს აკეთებს მატერიალური რესურსის არ მქონე ქალებზე. ამის გათვალისწინებით, მათთვის საჭირო ტრენინგები განსხვავებული შინაარსითა და სპეციფიკით წარმართება (სიღრმისეული ინტერვიუ UN Women Georgia-ს მკვლევართან, 26.10.21).

პროგრამებთან დაკავშირებული აქტიური საინფორმაციო კამპანიის მიუხედავად, ქალ ბენეფიციარებში შეინიშნება ინფორმირებისა და დაინტერესების დაბალი დონე, რასაც თან ერთვის ნიჰილიზმის მაღალი დონე, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია დევნილი ქალების შემთხვევაში. ინფორმირებასთან დაკავშირებულ პრობლემას პერიფერიულ არეალში მცხოვრებ ბენეფიციარებთან მიმართებაში ვაწყდებით, რომლებსაც ტერიტორიული დისტანციის გამო არ აქვთ აქტიური შეხება ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაინტერესების დაბალი დონის პირობებში, სრული პასუხისმგებლობა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეკისრებათ. შესაძლოა, რომ ბენეფიციარები სრულად იყვნენ ინფორმირებულები, მაგრამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს იმ დონის ინტერესის გაღვივება, რაც მათ პროექტში ჩართვას გადაწყვეტინებს. ამისთვის საჭიროა ინტენსიური კომუნიკაცია, რისი წარმატებული პრაქტიკაც ფონდ „ტასოს“ აქვს, რაც ადგილობრივ თემებში „თვითდახმარების ჯგუფების“ შექმნაში გამოიხატება (სიღრმისეული ინტერვიუ ფონდი „ტასოს“ დირექტორთან, 6.11.21). მსგავსი ტიპის გაერთიანებებს ნიჰილიზმის მაღალი დონის დაძლევა შეუძლიათ, რაც უმეტესად არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ დამოკიდებულებასა და საგრანტო პოლიტიკას უკავშირდება (სიღრმისეული ინტერვიუ UN Women Georgia-ს მკვლევართან, 26.10.21).

დასკვნა

კონფლიქტების გაანალიზებაში გენდერული პერსპექტივის შემოსვლამ საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნა, რომ ქალები ერთ-ერთ ყველაზე მონყველად ჯგუფს წარმოადგენენ. ამის საპირწონედ, ბოლო ათწლეულის გათვალისწინებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, საერთაშორისო აქტორების პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტულ საკითხად იქცა. კონფლიქტებთან დაკავშირებით, საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის ერთ-ერთი გამონწვევაა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა, შეესწავლა, თუ რა გავლენა მოახდინეს საერთაშორისო აქტორებმა, 2010-20 წლებში, საქართველოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის ფორმირებაზე. ამ მიზნის მისაღწევად შესწავლილ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა, სახელმწიფოსა და საერთაშორისო აქტორების მიერ ინიცირებული სპეციფიკური პროგრამები და დონორების მიერ ჩატარებული კვლევის და განხორციელებული პროგრამების შედეგები.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი ტიპის პროგრამები ქალებს ეკონომიკური აღმავლობის კიბეზე აწინაურებს, აძლიერებს ეკონომიკურ ავტონომიურობას და მათთვის შესაძლებლობათა ფანჯარას ხსნის. პროგრამების შედეგად მიღებული ცვლილებები ადასტურებს დრაკერის „ცვლილებების თეორიის“ რელევანტურობას და ამტკიცებს, რომ პრობლემის იდენტიფიცირებით, დაინტერესებული მხარეების სწორად განსაზღვრითა და აუცილებელი რესურსების მობილიზებით, აუცილებლად მიიღწევა შესაბამისი ცვლილება.

წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ 2010-20 წლებში, საერთაშორისო აქტორების ზეგავლენით, ჩართულობითა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების წყალობით, ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ პოზიტიური ცვლილებები განიცადა. საქართველომ, საერთაშორისო აპსარებზე ნაკისრი ვალდებულებების საპასუხოდ, ქალთა გაძლიერებასა და გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ინსტიტუციური დიზაინი და საკანონმდებლო ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვა. ამის მიუხედავად, ქვეყანას არ გააჩნია სწორხაზოვანი, თანმიმდევრული და გაცხადებული პოლიტიკა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით, რისი უტყუარი მტკიცებულებაც შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტის არქონაა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის გზა სექტორთაშორის კომპლექსურ თანამშრომლობაზე გადის, რაც მოიაზრებს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორების შესაბამისი პასუხისმგებლობებით აღჭურვას.

გამოყენებული ლიტერატურა

არჯვეანიძე, ნ. (2020). ფემინისტური პერსპექტივები ომსა და იძულებით გადაადგილებაზე. In ქალები ომის დროს და ომის შემდეგ (pp. 17-21). თბილისი: ჰაინრიხ ბილის ფონდის თბილისის ოფისი.

ბანკი, მ. (2017). გენდერული ძალადობა საქართველოში. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი / მსოფლიო ბანკი.

- დათუაშვილი, ე. (2019). სოციალური მენარმეობის სახელმძღვანელო. (p. 41). თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
- დამცველი, ს. ს. (2020). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული შეფასება სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძიერებაზე. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, Norwegian Ministry of Foreign Affairs, UN Women.
- დიაკონიძე, ა. (2019). საპარლამენტო მოკვლევა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ. თბილისი: NDI, UK aid.
- მარგველაშვილი, ქ. (2017). ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში-არსებული პოლიტიკისა და ინიციატივების ანალიზი. თბილისი: საფარი.
- პატარაია, ბ. (2018). ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის საჭიროება. თბილისი: ღია საზოგადოების ფონდი.
- რუსეცკაია, ე. (2021). ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა: შესაძლებლობები და გამოწვევები. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. (2021). ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა: შესაძლებლობები და გამოწვევები. თბილისი.
- ჭელიძე, ნ. (2000). საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. *კოდნის წყარო*.
- Abril, M. E. (2009). Women's Economic Empowerment in Conflict and Post-conflict Countries. SIDA.
- Adrian-Paul, A., & Anderlini, S. N. (2004). Key International Policies and legal mechanisms: Women's rights in the context of peace and security. In *Inclusive security, sustainable peace: a toolkit for advocacy and action* (p. 15).
- Anderlini, S. N., & El-Bushra, J. (2004). Post Conflict Reconstruction. In *Inclusive Security Sustainable Peace: A toolkit for advocacy and action* (pp. 51-68).
- Anderlini, S. N., & El-Bushra, J. (2004). The conceptual framework: Security, Peace, Accountability and Rights. In *Inclusive security, sustainable peace: A Toolkit for Advocacy and Action* (p. 5).
- Dodlova, M. (2020). International Donors and Social Policy Diffusion in the Global South. In C. Schmitt, *From Colonialism to International Aid* (pp. 189-220). Palgrave Macmillan.
- Drucker, P. (2007). *The Practice of Management*. Routledge; 1st Edition.
- International Alert. (2002). Gender mainstreaming in peace support operations: Moving beyond rhetoric to practice. From <https://www.international-alert.org/publications/gender-mainstreaming-peace-support-operations/>
- Jashi, C. (2005). *Gender Economic Issues: The Case of Georgia*.
- Jensen, D. (2012). Evaluating the impact of UNEP's post-conflict environmental assessments. In *Assessing and Restoring natural Resources in Post-Conflict Peacebuilding* (p. 46). Routledge.
- Johnston, N. (2004). Peace Support Operations. In *Inclusive security, sustainable peace: A Toolkit for Advocacy and Action* (p. 33). International Alert.

- Kabeer, N. (2001). Reflections on the Measurement of Women's Empowerment. In *In Discussing Women's Empowerment - Theory and Practice*. Stockholm: SIDA.
- Lynch, M. (2019, June 25). Localizing Gender Equality after Conflict. *Peace Review-A Journal of Social Justice*, pp. 83-90.
- Meintjes, S., Pillay, A., & Turshen, M. (2004). *The aftermath: Women in post-conflict transformation*. Bloomsbury Academic.
- Naomi R. Cahn, D. F. (2010). *Returning Home: Women in Post-Conflict Societies*. Washington, D.C.: The George Washington Law School Publications.
- Perianes, A. (2018). The significance of women's economic empowerment post-conflict. From *impakter.com*: <https://impakter.com/significance-womens-economic-empowerment-post-conflict/>
- Reilly, N. (2007). Seeking Gender Justice in Post-Conflict Transitions: Towards a Transformative Women's Human Right's Approach. *International Journal of Law in Context*, 155-72.
- Rogers, P. (2014). *Theory Of Change*. UNICEF OFFICE OF RESEARCH.
- Rosalie Arcala Hall, S. E. (2015). *Women in Conflict and Peace*. Stockholm: International Institute for Democracy and Electoral Assistance.
- Sørensen, B. (1998). *Women and post-conflict reconstruction: Issues and sources*. WSP Occasional Paper(No. 3).
- Snyder, A. C. (2008). A Gender Analysis Of Refugee Transnational Bridgebuilding Capacity. In S. P. Anna Christine Snyder, *Critical Aspects of Gender in Conflict Resolution, Peacebuilding and Social Movements* (pp. 13-45). Emerald Group Publishing.
- UN Women, N. M. (2021). ქალთა გაძლიერების პრინციპების განხორციელება საქართველოში. თბილისი: UN Women.
- Women, U. (2018). ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა. თბილისი: საქართველოს მთავრობა.



ნატომი საქართველოს ინტეგრაციის მედიაასახვის სპეციფიკა
(ონლაინგამოცემების - „ნეტგაზეთისა“ და „ტაბულას“ მაგალითზე)

ანი სიხუაშვილი
მარიამ ბერულავა

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ani.sikhaushvili421@sps.tsu.edu.ge

E-mail: mariam.berulava247@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოს ევროატლანტიკურ კავშირში ინტეგრაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ათწლეულებია, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკა პროდასავლურია. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, ხოლო საქართველოს განწევრიანების საკითხი 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე წამოიჭრა. მას შემდეგ ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ალიანსის სამხედრო ოპერაციებში ავღანეთში, ამასთან გაღრმავდა თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის არაერთი წევრი ხაზს უსვამს საქართველოს მზადყოფნას წევრობისათვის, არსებობს ცალკეული გამოწვევები, რომლებიც აფერხებს ამ პროცესს, მათ შორის უმთავრესია საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის, რუსეთის ფაქტორი. საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. მცოცავი ოკუპაცია დღემდე გრძელდება, ეს მოვლენები საქართველოს დასავლურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესებზე ნეგატიურად აისახება.

მნიშვნელოვანია, რომ მასალა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ამ კომპლექსური საკითხის ირგვლივ მიეწოდება, ზუსტი და გადამოწმებული იყოს, შესაბამისად, აუცილებელია, გამოვიკვლიოთ, როგორ შექდება მთავარი მოვლენები და სიახლეები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ქართულ მედიაში, უფრო კონკრეტულად კი, ონლაინგამოცემების გვერდებზე. წინამდებარე კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ქართული ონლაინგამოცემების „ნეტგაზეთისა“ და „ტაბულას“ გვერდებზე 1 წლის განმავლობაში, კერძოდ, 2020 წლის იანვარ-დეკემბრის თვეებში ნატო-საქართველოს ურთიერთობების ირგვლივ არსებული სტატიები და გამოკვეთოთ მნიშვნელოვანი ტენდენციები. ეს პერიოდი საინტერესოა, რამდენადაც მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა როგორც საქართველოს საშინაო პოლიტიკაში, ასევე, ქვეყნის ალიანსთან დაახლოების თვალსაზრისით. საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმირდება: რა სპეციფიკით შექდება ქართულ ონლაინგამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებში საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი? კვლევის პროცესში გაანალიზდა ზემოხსენებული ონლაინგამოცემების სხვადასხვა პუბლიკაციები. ინფორმაცია დამუშავდა კვლევის მეთოდის, კონტენტ-ანალიზის, თვისებრივი და რაოდენობრივი კატეგორიების მიხედვით.

შესავალი

საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო დასავლური ღირებულებებისაკენ სწრაფვა, შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განწევრიანებაა. ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობები უკვე ათწლეულებია დადებითი დინამიკით ვითარდება. ერთი მხრივ, საქართველომ გადადგა არაერთი ნაბიჯი ორგანიზაციის წევრობისაკენ ქვეყანაში გატარებული რეფორმების, დემოკრატიზაციის ხარისხის გაზრდისა და ნატოს ეგიდით ჩატარებულ მრავალ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის კუთხით. მეორე მხრივ, თავად ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და ქვეყანას ყველა ინსტრუმენტი აქვს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციისათვის. ნატო-

საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება. მას შემდეგ ორგანიზაციის არაერთ სამიტზე გაუღერდა ალიანსში საქართველოს მიღების საკითხი, ასევე, შემუშავდა მნიშვნელოვანი პაკეტი, რომელთა მეშვეობით ორგანიზაცია ურყევად განაგრძობდა ქვეყნის ხელშეწყობას ნატოში განწევრიანებისათვის. თუმცა, საქართველოსათვის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განწევრიანება დღემდე შორეულ პერსპექტივად რჩება. ნატოში განწევრიანებული ქვეყნები ორგანიზაციის მშვიდობასა და უსაფრთხოებას უნდა ამყარებდნენ, მაგრამ საქართველოს დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარება, კერძოდ, ტერიტორიული პრობლემები და რუსეთისაგან მომდინარე მზარდი საფრთხე არ ქმნის მოლოდინს, რომ ქვეყნის ორგანიზაციაში მიღებით ამ უკანასკნელის სტაბილურობა შენარჩუნდება. ამგვარი სიტუაციის ფონზე ნამდვილად საინტერესოა, თუ როგორ შექდება ქართულ ონლაინმედიასივრცეში საქართველო-ნატოს ურთიერთობები, რამდენადაც აქ გამოქვეყნებულ მასალას ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და განწყობაზე არსებითად მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. იმისათვის რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდეს, აუცილებელია, ქვეყანას ჰქონდეს მედიასივრცე, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის მართებულად და მიუკერძოებლად გაშუქებულ ინფორმაციას, ასევე, საზოგადოებაში დასავლური კურსით განვითარების სურვილს გააძლიერებს. საქართველოს ონლაინმედიასივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ონლაინგამოცემებს - „ტაბულასა“ და „ნეტგაზეთს“, შესაბამისად, საკვლევ საკითხზე გარკვეული სურათის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ, თუ რა სიხშირით და რა სახის პუბლიკაციები ვრცელდება ამ ორი ონლაინგამოცემით.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ჯეინ რუთი თავის წიგნში „გახსენი ყუთი“ აღნიშნავს, მედიას აქვს მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ბუნებრივი ფიქრებისა და დამოკიდებულების განსაზღვრაში (socialmediatoday.com).

ზოგადად, მედიის უმთავრესი დანიშნულებაა, ხმა მიაწვდინოს ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფებს. თანამედროვე რეალობაში მედიის როლი განსაკუთრებით წარმოჩინდება დემოკრატიის დაცვასა და გამყარებაში მთელი მსოფლიოს გარშემო. სწორედ მედიის საშუალებით ყალიბდება ზოგადი აზრი და ხდება მისი დაცვა, ამასთან მედია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ინდივიდების ინტერესებზე, ხედვებსა და ქმედებებზე. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ღილაკზე თითის მხოლოდ რამდენიმე დაჭერაა საკმარისი ინფორმაციის გასაფრცვლელად, იმისდა მიუხედავად, არის ეს სიმართლე, სიცრუე, სპეკულაცია თუ ჭორი. მედიას აქვს საზოგადოებაზე მანიპულაციის, ზეგავლენის, დარწმუნების მექანიზმი და ასევე, გარკვეულწილად, აქვს საზოგადო აზრის კონტროლისა და პოზიტიური თუ ნეგატიური კურსით მიმართვის უნარი (medium.com).

თანამედროვე ცხოვრების დატვირთული რიტმის პირობებში ადამიანებს ნაკლებად აქვთ დრო ბეჭდური მედიის შესაძენად, შესაბამისად, სიახლეებს სწორედ ონლაინმედიის მეშვეობით ეცნობიან. სწორედ ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ამ ონლაინგამოცემების გვერდებზე სწორი და გადამონმებული მასალების ატვირთვა და მკითხველისათვის მიწოდება, განსაკუთრებით ისეთი სენსიტიური და მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსია, მაგალითად, ნატო-საქართველოს ურთიერთობები. ამდენად, მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ, როგორ შექდება საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თემა ონლაინმედიაში.

დასავლური კურსით განვითარება და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განწევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ქვეყანას არაერთი ნაბიჯი გადაუდგამს. საქართველო-ნატოს ურთიერთობები დადებითი დინამიკით ვითარდება. ქვეყნისა და ორგანიზაციის თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC) შეუერთდა (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო). ხოლო აშშ-ში საქართველოს საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ქვეყნის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში სწრაფვა 2000 წლიდან იწყება, როდესაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გამოთქვა ნატოში განწევრიანების სურვილი, ხოლო 2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზეა აღნიშნული, ნატო-საქართველოს ურთიერთობებში გარდამტეხია აგრეთვე ბუქარესტის 2008 წლის სამიტი, როდესაც ნატოს მოკავშირე სახელმწიფოების მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი (Georgiaembassyusa.org). ხოლო 2014 წლის უელსის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს, რომელიც მიზნად ისახავს, გააძლიეროს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და დაეხმაროს ქვეყანას ალიანსის წევრობისათვის მზადებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია თბილისში 2015 წელს ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრის (JTEC) გახსნა, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის მოდერნიზებასა და გაძლიერებას უწყობს ხელს (nato.int). საქართველოსა და ნატოს საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ნატო-საქართველოს ურთიერთობებში ასევე მნიშვნელოვანია 2016 წლის 9 ივლისს გამართული ვარშავის სამიტი, რომლის ფარგლებში პირველად გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, სამიტის დეკლარაციაში მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ნატოს ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესის მიმართ. ხოლო 2018 წლის ნატოს ბრიუსელის სამიტზე პირველად გაიმართა შეხვედრა უმაღლეს დონეზე საქართველოს საკითხის შესახებ და მიიღეს ნატო-საქართველოს დეკლარაცია, რომლითაც მოკავშირეებმა დაადასტურეს, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ურთიერთობებში პროგრესი იქნა მიღწეული 2020 წლის დეკემბერშიც, როდესაც ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსთვის განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP) დაამტკიცეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერებისთვის (old.infocenter.gov.ge).

ამჟამად, საქართველოს კავშირი ალიანსთან საკმაოდ მჭიდრო და პოზიტიური მიმართულებისაა, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მეთაურებიც აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ინტეგრაციას. თუმცა ამ დადებითი დინამიკის ფონზე არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოში არსებული ტერიტორიული პრობლემები და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე. ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც საქართველოს ნატოსაკენ მიმავალ გზაზე დიდ დაბრკოლებებს უქმნის. გარდა იმისა, რომ ქვეყანაში დღემდე გრძელდება მცოცავი ოკუპაცია, აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის ე.წ

ინტეგრაციის ხელშეკრულებაც გაფორმდა (სეფერთელაძე, 2016). შესაბამისად, ცალსახაა, რომ ტერიტორიული პრობლემები და რუსეთის ფაქტორი აფერხებს ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას.

კვლევის მეთოდოლოგია

აღსანიშნავია, რომ საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა კონტენტ-ანალიზის მეთოდის როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი კატეგორიები. კონტენტ-ანალიზის თვისებრივი მახასიათებლის საშუალებით გაანალიზდა მასალების უანრები, რომლებიც მოიცავს ნიუსს, სტატიას, ინტერვიუს, მიმართვა-მოწოდებასა და კომენტარს. ამასთანავე, დამუშავდა წყაროები, რომელთაც ეფუძნება სტატიები და მიმოიხილა გამოცემებში გაშუქებული პოლიტიკური მოღვაწეების მიმართვები და კომენტარები. ყურადღება ასევე, სტატიების ტონი, იმის დასადგენად, თუ რამდენად პოზიტიური, ნეგატიური ან ნეიტრალური კუთხით წარმოაჩენს კონკრეტული გამოცემა ინფორმაციებს. რაც შეეხება რაოდენობრივ ასპექტს, ყურადღება გამახვილდა უანრების, ასევე, სტატიების თემების სიხშირესა და სტატიების ნახვებზე.

კვლევის ობიექტად შეირჩა ქართული ონლაინმედიაგამოცემები „ტაბულა“ და „ნეტგაზეთი“, რამდენადაც ორივე გამოცემისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი დასავლური ვექტორის ფონზე საინტერესოა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში განვითარების ირგვლივ არსებული მასალების გაშუქების განსხვავებული სპეციფიკისა და სიხშირის შესწავლა. ამასთანავე, გამოცემები საკმაოდ რეიტინგულია ქართულ ონლაინმედიასივრცეში.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შესწავლილ იქნას, თუ რა მახასიათებლებითა და რა სიხშირით შექდება ზემოაღნიშნულ ორ ცნობილ ქართულ ონლაინგამოცემაში საქართველო- ნატოს ურთიერთობების შესახებ მასალები.

ნაშრომი უპასუხებს შემდეგ საკვლევ კითხვას, რა სპეციფიკით შექდება ქართულ ონლაინგამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებში საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი?

„ტაბულა“

2020 წლის იანვარ-დეკემბრის თვეებში ონლაინგამოცემა „ტაბულაში“ გამოქვეყნებულ სტატიათა რიცხვმა, რომლებიც ნატო-საქართველოს ურთიერთობებს მიემართებოდა, 44 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ „ტაბულაში“ შექდება არა მხოლოდ ის მასალა, რომლის მიმართაც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, არამედ- შედარებით ნაკლებად პოპულარული თემებიც. შესაბამისად, გამოცემა ორიენტირებულია არა მხოლოდ რეიტინგზე, არამედ- მასალების მრავალმხრივ გაშუქებაზე. სტატიებმა, რომელთა ნახვებმა 1000-ს- გადააჭარბა 10 იყო, ხოლო 500-დან 1000-მდე ნახვა 18 სტატიას ჰქონდა, დანარჩენი 14 სტატია კი 500-ზე ნაკლები ნახვით ხასიათდება.

ონლაინგამოცემა „ტაბულაში“ საქართველოს ევროატლანტიკურ კავშირში ინტეგრაციის შესახებ გამოქვეყნებული მასალები უანრობრივად მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც სტატიებს, ასევე ნიუსებს, მიმართვა-მოწოდებებსა და კომენტარებს. ონლაინგამოცემაში რაოდენობრივად

ყველაზე ბევრჯერ გამოქვეყნდა სტატიები (15), რაც შეეხება ნიუსებს, მათი რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში 14 იყო, კომენტარი-9, მიმართვა-მონოღება-3, გამოკითხვა-2, ხოლო ინტერვიუ-1.

საქართველოს კავშირი ალიანსთან ათწლეულებს ითვლის და მრავალ ასპექტს აერთიანებს. შესაბამისად, აღნიშნულ ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ კონტექსტურად განსხვავებულია და მოიცავს სხვადასხვა თემას (მაგალითად, საქართველოს საშინაო პოლიტიკას, რუსეთის ფაქტორს, ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა ა.შ.), რომლებიც მეტ-ნაკლებად ზემოქმედებს ორგანიზაციასა და ქვეყანას შორის ურთიერთობების წარმართვაზე. თემატური თვალსაზრისით, აღნიშნულ ონლაინგამოცემაში ყველაზე დიდი რაოდენობით გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველო-ნატოს ურთიერთობებისა და ორგანიზაციაში ინტეგრაციის შესახებ- ამ თემას მიეძღვნა სულ 20 პუბლიკაცია, ასევე საკმაოდ აქტიურად შექდებოდა მოვლენები რუსეთის თემაზე, აღნიშნული ინფორმაცია გამოცემაში სულ 7-ჯერ გამოქვეყნდა. 2 სტატია შეეხო ქვეყანაში განვითარებულ სხვადასხვა მოვლენას, რომლებმაც საქართველო-ნატოს ურთიერთობებში წინსვლა შეაფერხა. გამოცემაში საკმაოდ აქტიურად შექდებოდა მასალები საქართველოში ნატოს ეგიდით ჩატარებული წვრთნების შესახებ, აღნიშნულ თემაზე ინფორმაცია სულ 5-ჯერ გამოქვეყნდა, გარდა ამისა, „ტაბულაში“ გაშუქდა სიახლეები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის შესახებ - 5-ჯერ. გამოცემაში მიმოიხილა აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების დასავლელი პარტნიორების შეფასებებიც, აღნიშნული თემის ირგვლივ ინფორმაცია 2-ჯერ გამოქვეყნდა. „ტაბულაში“ 2-ჯერ გაშუქდა გამოკითხვის შედეგებიც, რომლებიც აფიქსირებდა ქართველი ხალხის დამოკიდებულებას საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა და ზოგადად, ევროინტეგრაციის შესახებ.

ონლაინგამოცემის ანალიზისას დადგინდა, რომ იანვარ-დეკემბრის განმავლობაში „ტაბულაში“ არაერთი მიმართვა-მონოღება და კომენტარი გამოქვეყნდა. ყურადსაღებია, რომ ამ უანრში დომინირებდა დასავლელი პარტნიორების გამოსვლები და განცხადებები. მათ შორის, ყველაზე მეტჯერ გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მალაჩინოსის, დიპლომატ მეთიუ ბრაიზას, კომენტარები- ორჯერ და მიმართვა ერთხელ, გამოცემაში ასევე გაშუქდა NATO-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ერთი კომენტარი და ერთი მიმართვა. ამერიკელი კონგრესმენის, ადამ კინზინგერის კომენტარი ტაბულაში სულ ორჯერ შეგვხდა. გამოცემაში ასევე აქტიურად შექდებოდა ქართველი პოლიტიკოსების კომენტარები, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის, ევროპული საქართველოს ლიდერის, დავით ბაქრაძის, კომენტარები თითოჯერ გაშუქდა. „ტაბულაში“ გვხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, მარია ზახაროვას ოფიციალური განცხადებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაციებიდან ყველაზე მეტად ჭარბობდა სტატიები და ნიუსები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ რა წყაროები იყო გამოყენებული გამოცემის რეპორტიორების მიერ. „ტაბულაში“ გამოქვეყნებული სტატიების ერთ-ერთ მთავარ წყაროს სხვადასხვა ოფიციალური პირების განცხადებები და კომენტარები წარმოადგენს. ხოლო ნიუსები, თავის მხრივ, როგორც რეალურად მომხდარ და მოძიებულ ფაქტობრივ მასალებს, ასევე სხვადასხვა უცხოურ საინფორმაციო წყაროსაც ეყრდნობა. მათ შორის წყაროდ ერთხელ არის გამოყენებული „Washington Times“-სა და „TRT World“-ზე

გამოქვეყნებული სტატია. აქედან გამომდინარე, „ტაბულაში“ გაშუქებული ინფორმაცია შესაძლოა, მივიჩნიოთ სანდოდ, რამდენადაც მითითებულია წყაროები და შესაძლებელია მათი გადამოწმება.

ონლაინგამოცემის კიდევ ერთი საინტერესო მახასიათებელია გამოქვეყნებული ინფორმაციის სათაურები. ძირითადად, სათაურები მოკლედ გადმოსცემს მასალის შინაარსსა და მთავარ გზავნილს. გამომდინარე იქიდან, რომ გამოცემაში უმეტესად ნიუსებია გამოქვეყნებული, ბევრი სათაური უბრალოდ ფაქტებს აღწერს, ასეთებია: „NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა კონფერენციაზე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას განიხილავენ“ (01.12.2020), „ღირსეული პარტნიორის წვრთნები 7 სექტემბერს იწყება – ამერიკელი ჯარისკაცები საქართველოში არიან“ (31.08.2020) და სხვ. თუმცა ზოგიერთი სათაური საკმაოდ თამამია და საქართველოს ნატოში განევრიანების შესახებ მეტად პოზიტიურ მოლოდინებს აღძრავს, მაგალითად: „ბრიტლოვი: ნატოსთვის გაღებული წვლილის მხრივ საქართველო უკვე გავიდა ფინიშის ხაზზე“ (18.08.2020), „კინზინგერი: საქართველოსთვის დრო დადგა, გახდეს NATO-ს სრულუფლებიანი წევრი“ (07.08.2020). ამასთან, გვხვდება სათაურები, რომლებიც საქართველო-ნატოს ურთიერთობების შემაფერხებელ მიზეზებს აშუქებს: „ბრაიზა ანაკლიის პორტზე: ბევრს სურს საქართველო ნატოში, ასეთი უკუსვლა საქმეს აფუჭებს“ (23.12.2020).

მნიშვნელოვანია ძირითადი ტენდენციების გამოყოფა: 1. საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს წევრი. ამ შინაარსის მატარებელი მონოდებები ირიბად თუ პირდაპირ სტატიების უმრავლესობაშია გაულერებული, რაც მიმართულია მკითხველთა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ პოზიტიურად განწყობისკენ. სტატიაში „ბრაიზა: საქართველო უკვე უნდა იყოს NATO-ს წევრი“ (22.12.2020) ვკითხულობთ: *საქართველო უნდა იყოს NATO-ს წევრი. ალბათ, მესამედ ვამბობ ამას, მაგრამ კვლავ დიდი წინააღმდეგობა არსებობს და ეს ძალიან უსამართლოა.* ასევე სტატიაში „კინზინგერი: საქართველოსთვის დრო დადგა, გახდეს NATO-ს სრულუფლებიანი წევრი“ (07.08.2020) ვკითხულობთ: *12 წელი ძალიან გრძელია, საქართველოსთვის დრო დადგა, რათა გახდეს NATO-ს სრულუფლებიანი წევრი. ვფიქრობ, ჩემი მეგობრები დაეთანხმებიან, ფაქტობრივად ის, რომ საქართველო ოკუპირებულია, ეს არ უნდა გახდეს მიზეზი, რომ საქართველო არ გახდეს NATO-ს წევრი.* 2. საქართველოს საშინაო პოლიტიკა და ნატო. „ტაბულაში“ საკმაოდ აქტიურად ვრცელდება როგორც საქართველოს სამთავრობო პირების, ასევე- ოპოზიციის წევრებისა და დასავლელი პარტნიორების კომენტარები საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. სტატიაში „ღარიბაშვილი: საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი მხარდაჭერა NATO-სგან“ (22.12.2020) ვკითხულობთ: *საქართველო, სხვა მიმართულებებთან ერთად, მაქსიმალურად ცდილობს, რომ დააკმაყოფილოს NATO-ს წევრი ქვეყნებისათვის დაწესებული ფინანსური მოთხოვნები.* სტატიაში „NATO PA-ის პრეზიდენტი: უგულავას განაჩენი შეშფოთებას ზრდის და დიალოგს რისკის ქვეშ აყენებს“ (25.02.2020) ვკითხულობთ: *მე მინდა შეგახსენოთ, რომ NATO ეფუძნება დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის პრინციპებს.* 3. რუსეთი, როგორც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორი და ოკუპირებული ტერიტორიები. „ტაბულაში“ გაშუქებულ სტატიებში აქტიურად დაისმის საკითხი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორია და ასევე განიხილება ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი. სტატიაში „აპატურაი: NATO არ ცნობს

ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ არჩევნებს” (23.03.2020) ვკითხულობთ: *“NATO არ ცნობს ე.წ არჩევნებს, რომელიც გუშინ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, აფხაზეთში ჩატარდა. ალიანსი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში”*. 4. საქართველოსა და ნატოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. საქართველოს ევროატლანტიკური კურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი თავდაცვა და სამხედრო განვითარებაა. ონლაინგამოცემაში ხაზი გაესმის საქართველოსა და ნატოს სამხედრო კავშირს, რაც მკითხველს კიდევ ერთხელ არწმუნებს პროდასავლური კურსის მნიშვნელობაში. სტატიაში: „ღირსეული პარტნიორი 2020 ოფიციალურად გაიხსნა” (07.09.2020) ვკითხულობთ: *„ღირსეული პარტნიორი” საქართველოში მესუთედ ტარდება და მისი მიზანია საქართველოს, აშშ-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და თავსებადობის გაუმჯობესება, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა.*

„ტაბულას“ შემთხვევაში გამოქვეყნებული ინფორმაციის უმეტესობა ნატო-საქართველოს ურთიერთობების პოზიტიურ რაკურსს გვათავაზობს. სტატიების უმეტესობაში პირდაპირაა გამოხატული, რომ საქართველოს აქვს მზაობა, გახდეს ორგანიზაციის წევრი, გატარებული რეფორმების, დემოკრატიაში მიღწეული პროგრესისა და ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის თვალსაზრისით. თავად დასავლელი პარტნიორები ადასტურებენ, რომ დროა, საქართველო ნატოს წევრი გახდეს და საუბრობენ საქართველოსა და ალიანსს შორის ურთიერთობების გაღრმავების ინიციატივების შესახებ. მაგალითად, სწორედ პოზიტიური ტონის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიებიდან შემდეგი ამონარიდები. სტატიაში „კინზინგერი: საქართველოსთვის დრო დადგა, გახდეს NATO-ს სრულუფლებიანი წევრი” (07.08.2020) ვკითხულობთ: *„დრო დადგა, რათა გახდეს NATO-ს სრულუფლებიანი წევრი, ამერიკის კონგრესი, სენატი და პრეზიდენტი ყველა მხარს უჭერს საქართველოს და გავაგრძელებთ ამის კეთებას. მე ველი მომავალზე საუბრებს ჩემ მეგობრებთან და ყველა სხვასთან“*. სტატიაში „პომპეო: საქართველოსთან პარტნიორობა ღირებულებებსა და თავისუფლების სიყვარულზეა დამყარებული” (26.04.2020) ვკითხულობთ: *„აშშ-სა და საქართველოს მძლავრი სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებთ, რომელიც დამყარებულია საერთო ღირებულებებსა და თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის სიღრმისეულ სიყვარულზე“*. ამგვარი ტონი მოსახლეობაში ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ პოზიტიურ დამოკიდებულებას აღძრავს და ქვეყნის ორგანიზაციაში განვვრდიანების სურვილს აძლიერებს, ზრდის ალიანსის მიმართ სიმპათიასა და ნდობას.

„ტაბულაში” დაცულია ეთიკური სტანდარტები. სტატიები ეფუძნება წყაროებიდან მოძიებულ ინფორმაციებს და შეიცავს საკითხის ირგვლივ არსებულ მნიშვნელოვან ფაქტებს. ავტორთა სუბიექტური დამოკიდებულებები და შეფასებები არ არის წარმოდგენილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად შეაფასოს მოვლენები.

„ნეტგაზეთი”

2020 წლის იანვარ-დეკემბრის თვეებში „ნეტგაზეთის” გვერდზე საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის თემაზე 19 სტატია გამოქვეყნდა. სტატიების რაოდენობა არც თუ ბევრია, თუმცა საკმაოდ ინფორმაციული და განსახილველად საინტერესოა, რამდენადაც

ონლაინგამოცემაში არა მხოლოდ ის თემები შექდებოდა, რომელთაც პოტენციურად უფრო მეტი ნახვა ექნებოდა, არამედ- საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული ინფორმაცია. ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული სტატიებიდან, ათას ნახვას გადააჭარბა 8 სტატია, მათ შორის ყველაზე მეტი ნახვა -1873 ჰქონდა სტატიას „საქართველო ნატოს COVID-19-თან საბრძოლველად აღჭურვილობას სთხოვს“. ყველაზე ნაკლები- 539 ნახვა აქვს სტატიას „ნატო და საქართველო ავიამიმოსვლების მონაცემებს გაცვლიან“. ეს კი აიხსნება იმით, რომ სტატია ინფორმაციული ხასიათისაა და მთავარი გზავნილი თავად სათაურშივეა გაჟღერებული.

ონლაინგამოცემა „ნეტგაზეთი“ საკვლევ საკითხს სხვადასხვა უნარით აშუქებს. ყველაზე დიდი რაოდენობით „ნეტგაზეთის“ გვერდზე გამოქვეყნდა მიმართვა-მოწოდება (8), ასევე დიდი რაოდენობით გაშუქდა ნიუსები (6). კომენტარები და სტატიები თანაბარი რაოდენობით (2-2) გაშუქდა და გამოქვეყნდა მხოლოდ 1 ინტერვიუ.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციისა და განვრცობის საკითხი საკმაოდ კომპლექსურია. ონლაინგამოცემაში „ნეტგაზეთი“ განიხილება არაერთი მოვლენა მოცემული თემის ირგვლივ, მათ შორის საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორის, უკრაინის, თანამშრომლობა ნატოსთან, ასევე რუსეთი, როგორც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორი, საქართველოს სამინაო პოლიტიკა და სხვა. რაოდენობრივად ონლაინგამოცემის გვერდზე გაშუქებულ თემებში ჭარბობს 1.ნატო-საქართველოს ურთიერთობები და ინტეგრაცია (11), რომელიც გულისხმობს როგორც ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს, ასევე პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა ნატოსა და საქართველოს დაახლოების მიმართულებით. 2.რუსეთის საკითხი (4), ეს თემა წარმოაჩენს არა მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, არამედ - დასავლელი პარტნიორების კომენტარებსა და მიმართვებს რუსეთის მიმართ; 3.გამოკითხვა (2), ამ თემაში გამოხატულია ქართველი მოსახლეობის პოზიცია ნატოში განვრცობისა და ზოგადად, დასავლეთში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. 4.ინიციატივები (1), მოცემული თემა გამოკვეთილად მხოლოდ ერთ სტატიაში განიხილა, რამდენადაც ინიციატივებსა და სიახლეებს გარკვეული კუთხით პირველი თემა ასახავს. 5.კიდევ ერთი თემა კოვიდპანდემიაა (1).

კვლევის პროცესში აგრეთვე მნიშვნელოვანია წყაროების განხილვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნარების მიხედვით სტატიების უმეტესობა მიმართვა-მოწოდების ხასიათისაა და შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, თუ ვისი მიმართვები და კომენტარები მიიჩნევა „ნეტგაზეთის“ რეპორტიორების მიერ მნიშვნელოვნად. სტატიების უმეტესობაში განხილულია დასავლელი პარტნიორების მოწოდებები, მათ შორის ყველაზე მეტჯერ გაშუქდა ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, მიმართვები (3). თითო სტატია მიეძღვნა დანარჩენ ავტორებს, მათ შორის: ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმზ აპატურაის, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარის, ადამ კინზინგერის, Heritage Foundation-ის ანალიტიკოსის, ლუკ კოფის კომენტარებს. აგრეთვე, განხილულია ქართველი პოლიტიკოსების, იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარაის და საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის მიმართვები. ერთი სტატია ეხება, ასევე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, მოწოდებას.

განვიხილოთ ძირითადი წყაროები. უმეტესად, ნიუსებისა და მიმართვა-მონოდეების ჟანრის სტატიები ემყარება სამთავრობო პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრებსა და კონფერენციებზე. წყაროდ ასევე შეგვიძლია განვიხილოთ „ამერიკის ხმა“ (2), „Washington Times“ (1), „TRT World“ (1), „TASS“ (1). სტატიების ინფორმაციის წყაროა ასევე Facebook (1) და Twitter (1). რაც შეეხება გამოკითხვებს, „ნეტგაზეთის“ გვერდზე წარმოდგენილია ორი ორგანიზაცია NDI- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი და TI-საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო. „ნეტგაზეთში“ გამოქვეყნებული მასალები შეიძლება, ჩაითვალოს სანდოდ, რამდენადაც სტატიებში მითითებულია წყაროები, კომენტარების ავტორები და შესაბამისად, შესაძლებელია მათი გადამოწმება.

„ნეტგაზეთში“ სათაურები მოკლედ გადმოსცემს ძირითად თემას, რომელსაც სტატია მიემართება და შესაბამისად, მკითხველისთვის უფრო მარტივად მოსაძიებელი და აღსაქმელია ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაცია. რამდენიმე სათაური მხოლოდ ფაქტს წარმოადგენს, მაგალითად: „ნატო და საქართველო ავიამიმოსვლების მონაცემებს გაცვლიან“. აგრეთვე, შეინიშნება ხმამაღალი და თამამი სათაურები, რომლებიც მკითხველის მაღალ ინტერესს იმსახურებს, მაგალითად: „რუსეთს არ უნდა მივცეთ ვეტოს უფლება ნატო-ში საქართველოს განწევრიანებაზე - რასმუსენი“, „ნატო კვლავ მოუწოდებს რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან ჯარი გაიყვანოს- აპატურაი“ და სხვა.

მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი ტენდენციის გამოყოფა: 1. საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას. სტატიათა უმრავლესობაში ხაზგასმულია მონოდეებები, რომ საქართველო იმსახურებს იყოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი. სტატიაში „საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს - თურქეთი“ (23.01.2020) მოყვანილია ციტატა : „არ მესმის, რატომ არ მოვიწვიეთ საქართველო, ან რატომ არ გავააქტიურეთ საქართველოს წევრობის გეგმა (MAP)“, – აცხადებს ჩაუშოლლუ, ასევე სტატიაში „საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას - გახარიას სტატია ამერიკულ გამოცემაში“ (25.02.2020) ვკითხულობთ: „რუსეთი დღესაც ეწინააღმდეგება საქართველოს სრულფასოვან წევრობას ნატოში; სწორედ ახლა დადგა დრო, ნატომ უპასუხოს ჩვენს მოთხოვნას ნატოში განწევრიანებასთან დაკავშირებით“, – წერს გახარია. ონლაინგამოცემა იმის ხაზგასმით, რომ საქართველო იმსახურებს ალიანსის წევრობას მკითხველს შთააგონებს, რომ ქვეყანამ საკმაოდ რთული გზა გაიარა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში და მნიშვნელოვანია ამ კურსის გაგრძელება წარმატების მისაღწევად. 2. უკრაინისა და ნატოს თანამშრომლობის გაშუქება. არაერთ სტატიაში ყურადღება მახვილდება უკრაინის თანამშრომლობაზე ნატოსთან, რაც მკითხველს უჩვენებს, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორისთვის მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური კურსი. სტატიაში „ნატო საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალ ზომებზე შეთანხმდა“ (03.04.2020) ხაზგასმულია ალიანსის ერთგულება საქართველოსა და უკრაინის მიმართ. 3. რუსეთი, როგორც საქართველოს ნატოში განწევრიანების შემთავრებელი ფაქტორი. ონლაინგამოცემის არაერთ სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსეთი აფერხებს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და ასევე გამოცემა აქტიურად აქვეყნებს დასავლელი პარტნიორების პოზიციას ამ საკითხის მიმართ. სტატიაში „რუსეთს არ უნდა მივცეთ ვეტოს უფლება ნატო-ში საქართველოს განწევრიანებაზე - რასმუსენი“ (30.09.2020) ვკითხულობთ: თბილისმა და ბრიუსელმა უნდა განსაზღვრონ

საქართველოს განვითარების გზა და არა – კრემლმა. ამავე თემას ეძღვნება სტატია: „საქართველოს ოკუპაცია მის ნატო-ში მისაღებად საკმარისია - კინზინგერი”(22.05.2020), რაც შეეხება სტატიების ტონს, აღსანიშნავია, რომ ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული სტატიების უმრავლესობაში ნატოში საქართველოს ინტეგრაცია პოზიტიურად შექცდება და ხაზი გაესმის დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერასა და ერთგულებას საქართველოს პროდასავლური კურსის მიმართ. სტატიაში „ნატოსთან დასაახლოებლად საუკეთესო გზა რეფორმების გაგრძელებაა - სტოლტენბერგი” (01.12.2020) ვკითხულობთ: *“ჩვენ გავზარდეთ ნატოს ყოფნა შავი ზღვის რეგიონში და მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უკრაინასთან და საქართველოსთან, ვინაიდან ვნახეთ, რომ რუსეთმა დაარღვია ამ ორი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ყირიმის უკანონო ანექსიით და რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნით საქართველოს ტერიტორიებზე” - სტოლტენბერგი;* ამგვარი პოზიტიური განცხადებების პარალელურად, მრავალ სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ნატოში განვითარება რეალური, თუმცა ჯერ შორეული პერსპექტივაა, რაც გამოიხატება როგორც ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციით- საქართველო იმსახურებს ალიანსში განვითარებას, ასევე რამდენიმე სტატიაში გაკეთებული კომენტარით. სტატია „ნატოსთან დასაახლოებლად საუკეთესო გზა რეფორმების გაგრძელებაა - სტოლტენბერგი” (01.12.2020) - ვკითხულობთ: საქართველომ და უკრაინამ ნატოში განვითარების დაპირება 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიიღეს, თუმცა ამ დრომდე არ მიუღიათ განვითარების სამოქმედო გეგმა (MAP)”; ამგვარი კომენტარები რეალური სურათის წარმოსადგენად აუცილებელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ნატოს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და ურთიერთობები ალიანსსა და საქართველოს შორის არსებითად გაღრმავდა, რეალური ფაქტია, რომ ჯერ საქართველო წევრი არ არის. ონლაინგამოცემა „ნეტგაზეთი” იცავს ეთიკურ სტანდარტს. სტატიებში, საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვანი ფაქტები აღინიშნება, თუმცა სუბიექტური პოზიციები და შეფასებები არ ფიქსირდება. ამიტომ „ნეტგაზეთი” აძლევს მკითხველს საშუალებას, თავად შეაფასოს სიტუაცია და მოვლენები გამოცემის ზეგავლენის გარეშე.

შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზის შედეგად „ნეტგაზეთსა“ და „ტაბულას“ შორის არაერთი მსგავსება და განსხვავება გამოიკვეთა. უმთავრესი მსგავსებაა, რომ ორივე გამოცემას გამოკვეთილი დასავლური ვექტორი აქვს და მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. თუმცა განსხვავებულია მოცემული თემის ირგვლივ მათ მიერ მასალების გამოქვეყნების სიხშირე და სპეციფიკა. „ტაბულაში“ 2020 წლის იანვარ-დეკემბრის თვეებში საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაციის საკითხზე გამოქვეყნდა სულ 44 სტატია, ხოლო „ნეტგაზეთში” -19. ამასთან, სხვაობაა უანრების მიხედვით. „ტაბულაში” მოცემულ პერიოდში ყველაზე მეტი რაოდენობით გამოქვეყნდა სტატია (15), ხოლო „ნეტგაზეთში” ყველაზე მეტი რაოდენობით გაშუქდა „მიმართვა-მოწოდება” (8) და მხოლოდ 2 სტატია. ამგვარი მონაცემები კი ცხადყოფს, რომ „ტაბულასთვის“ უფრო პრიორიტეტული ანალიტიკური ხასიათის ინფორმაციების გამოქვეყნებაა, ხოლო „ნეტგაზეთი“, უმეტესწილად, ფაქტობრივ მასალებს აშუქებს.

რაც შეეხება გაშუქების ტონს, „ნეტგაზეთი“ და „ტაბულა“ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ მასალებს პოზიტიური ტონით აქვეყნებენ. ორივე ონლაინგამოცემის შემთხვევაში დაკუთვნილია ეთიკის სტანდარტები, რამდენადაც არ არის წარმოდგენილი შეურაცხმყოფელი შეფასებები და სუბიექტური დამოკიდებულებები, რაც საშუალებას იძლევა, მკითხველს ობიექტური ინფორმაცია მიეწოდოს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები მეტად კომპლექსურია, შესაბამისად, მოცემულ გამოცემებში გაუღრუბელი თემებიც მრავალფეროვანია. თუმცა, შესაძლებელია ძირითადი ტენდენციებისა და რაკურსის გამოკვეთა. „ტაბულაში“ საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთობების დადებითი დინამიკა მეტ-ნაკლებად სისტემატურად ვრცელდება. „ტაბულამ“ მოიცვა დასავლელი პარტნიორების დამამედებელი კომენტარები, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ასევე გავაცნო სიახლეები ალიანსის ვიდეოკონფერენციების ფარგლებში საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ გაკეთებული განცხადებები, თუმცა გამოცემა პარალელურად ხშირად ეხებოდა რუსეთის ფაქტორსა და საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არსებულ პრობლემებს, რომლებიც ალიანსში ინტეგრაციის პროცესს მნიშვნელოვანწილად აფერხებს. მაგალითად, „ტაბულაში“ სისტემატურად შექდებოდა ინფორმაცია რუსეთისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ. ონლაინგამოცემაში გამოქვეყნდა არაერთი დასავლელი პარტნიორის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ალიანსში განწვრიანებისადმი რუსეთთან ურთიერთობების დაძაბულობის პოტენციური გაზრდის გამო. გარდა ამისა, „ტაბულაში“ არაერთხელ გაშუქდა ინფორმაცია ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ განვითარებული შიდაპოლიტიკური დაძაბულობის ირგვლივ, რომელთა შესახებ დასავლელი პარტნიორების რამდენიმე უარყოფითი კომენტარი გამოქვეყნდა და აღინიშნა ინფორმაცია ამერიკელი კონგრესმენების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოგზავნილი კრიტიკული წერილების შესახებაც. ტაბულაში გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავს როგორც საქართველო-ნატოს ურთიერთობების დადებით რაკურსს, ასევე აშუქებს ინტეგრაციის შემათფერხებელ ფაქტორებს და ქმნის ერთიან სურათს.

„ნეტგაზეთი“ მკვეთრად არ განსხვავდება „ტაბულასგან“, რამდენადაც პუბლიკაციათა ტონი საქართველოს ევროატლანტიკურ კავშირში ინტეგრაციის მიმართ პოზიტიურია. „ნეტგაზეთი“ აქტიურად აქვეყნებს როგორც საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს, ასევე, ორგანიზაციასა და ქვეყანას შორის ურთიერთობებში წინგადადგმულ ნაბიჯებს, რაც მოსახლეობაში ალიანსსა და ქვეყანას შორის ურთიერთობების შესახებ დადებით დამოკიდებულებას ქმნის და პროდასავლურ შეხედულებებს ამყარებს. აღსანიშნავია, რომ „ტაბულას“ მსგავსად რუსეთის საკითხი „ნეტგაზეთშიც“ არის გამოყოფილი, თუმცა სხვაგვარი რაკურსით. თუ „ტაბულაში“ რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ორგანიზაციაში განწვრიანების შემათფერხებელ ფაქტორად არის წარმოჩენილი, „ნეტგაზეთში“ ეს უკანასკნელი სახელდება მიზეზად, რომლის გამოც ნატო რეგიონში თანამშრომლობას მეტად აღრმავებს. „ნეტგაზეთში“ არსებული კონტენტის მიხედვით, ვითარდება ამგვარი დასკვნა, რომ რამდენადაც რუსეთი აგრძელებს საქართველოსათვის პრობლემების შექმნას, იმდენად აქტიურ ფაზაში უნდა გადავიდეს ქვეყანასა და ალიანსს შორის თანამშრომლობა რუსეთისგან მომდინარე საფრთხის დასაბალანსებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავებით „ტაბულასაგან“, „ნეტგაზეთში“ ნაკლები სიხშირით ქვეყნდება მასალები

ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების შესახებ. საბოლოოდ, „ნეტგაზეთის“ ტონი პროდასავლურია, თუმცა ნაკლებად კრიტიკული, ვიდრე „ტაბულასი“.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ ონლაინმედიაგამოცემებს - „ტაბულასა“ და „ნეტგაზეთს“ შორის, მიუხედავად საერთო, პროდასავლური ვექტორისა, არის ცალკეული განსხვავებები მასალის გამოქვეყნების სიხშირისა და მახასიათებლების მიხედვით. როგორც უკვე შედარებით ანალიზში აღვნიშნეთ, „ტაბულა“ მეტი სიხშირით აქვეყნებს ნიუსებსა და სტატიებს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის თემაზე, ვიდრე „ნეტგაზეთი“. ამასთან, სხვაობა შეინიშნება გაშუქების სპეციფიკაში. უპირველეს ყოვლისა, გამოცემები განსხვავებულ უანრებს ანიჭებენ უპირატესობას - „ტაბულა“ დიდი რაოდენობით სტატიებს აქვეყნებს, ხოლო „ნეტგაზეთი“ - მონოღება-მიმართვის უანრის მასალებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე გამოცემა თითქმის თანაბარი სიხშირით აშუქებს ნიუსებს. გამოცემებში გამოიკვეთა განსხვავებული ტენდენციებიც. „ტაბულას“ შემთხვევაში მასალებში ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა ის, რომ - „საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი“, ხოლო „ნეტგაზეთის“ - „საქართველო იმსახურებს ნატოში განწევრიანებას“. ორივე ტენდენცია მსგავსი შინაარსის მატარებელია, თუმცა „ტაბულას“ შემთხვევაში ის უფრო მყარია და ხაზი გაესმის საქართველოს საჭიროებას, გახდეს ნატოს წევრი, ხოლო „ნეტგაზეთის“ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საქართველოს მიღწევებზე ნატოს წინაშე. აგრეთვე, ორივე გამოცემა აშუქებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში, თუმცა „ტაბულაში“ გამოქვეყნებულ მასალებში რუსეთისგან მომდინარე საფრთხე წარმოდგენილია, როგორც საქართველოს ნატოში განწევრიანების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი. „ნეტგაზეთში“ კი როგორც მნიშვნელოვანი წინაპირობა საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად. მოცემული საკითხის ირგვლივ მასალების გაშუქების მნიშვნელოვანი სპეციფიკაა ისიც, რომ „ტაბულაში“ ყურადღება მეტად მახვილდება საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ვიდრე - „ნეტგაზეთში“, რამდენადაც „ტაბულაში“ საკმაოდ ხშირად შექდება როგორც დასავლელი პარტნიორების, ასევე, ქართველი პოლიტიკოსების კომენტარები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

„ნეტგაზეთში“ შეიმჩნევა მასალების გამოქვეყნების კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია. გამოცემაში აქტიურად შექდებოდა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, უკრაინის, მჭიდრო თანამშრომლობა ნატოსთან, ასევე, ალიანსის მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, რაც მიზნად ისახავს მკითხველში ორგანიზაციის მიმართ ნდობისა და სიმპათიის გაზრდას.

ონლაინგამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებში პირდაპირ არ კეთდება კომენტარი საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებების შესახებ. ამის საპირწონედ, სტატიათა დიდ ნაწილში მოყვანილია დასავლელი პარტნიორების განცხადებები და დაპირებები, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ამასთან, ონლაინგამოცემების პუბლიკაციები, სქემატური და აღწერილობითია, დიდწილად, საინფორმაციო ღირებულების მქონე. შესაბამისად, სასურველია, გამოქვეყნდეს მეტი ანალიტიკური სტატია, რათა შესაძლებელი იყოს აღნიშნული თემის სიღრმისეული განსჯა.

ბიბლიოგრაფია

- georgiaembassyusa.org: Chronology of major events of Georgia-NATO Cooperation, accessed 30/11/21 <https://georgiaembassyusa.org/wp-content/uploads/2018/01/Chronology-of-major-events-in-Georgia-NATO-Cooperation.pdf>
- georgiaembassyusa.org: Resolution of the Parliament of Georgia on the Foreign Policy of Georgia, accessed 30/11/21 <https://georgiaembassyusa.org/foreign-relations/>
- medium.com (2019): Role of Media in Society, accessed 30/11/21 <https://medium.com/@kashafmurtza655/role-of-media-in-society-760db2844ae3>
- <https://netgazeti.ge/?s=%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D>
- <https://tabula.ge/ge/search?q=%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D>
- North Atlantic Treaty Organization (2019) : NATO -Georgian relations. Accessed 30/11/21 https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_10/191002_Media_Backgrounder_Georgia_en.pdf
- old.infocenter.gov.ge: საქართველო და ნატო, ნანახია 30/11/21 <https://old.infocenter.gov.ge/nato-important-dates/#1>
- socialmediatoday.com (2008): What is The Influence of Media? Accessed 30/11/21 <https://www.socialmediatoday.com/content/what-influence-media>
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: თანამშრომლობა ნატოსთან. ნანახია, 30/11/21, ვებ-გვერდიდან: <https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan>
- სეფერთელაძე, ნ. (2018). საქართველოს ნატოში განხვედრის გეოპოლიტიკური ასპექტები, პრობლემები და პერსპექტივები. (სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი)



ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურება ტაივანთან მიმართებით

მარიამ ბრეგვაძე

ხატია სოფრომაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail:mariam.bregvadze104@sps.tsu.edu.ge

E-mail:khatia.sopromadze103@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ჩვენი საკვლევი თემა შეეხება 2021 წლიდან ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურებას ტაივანთან მიმართებით. ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო იმაზე მსჯელობა, გაბედავს თუ არა ჩინეთი ტაივანზე სამხედრო თავდასხმას და ჩაერთვებიან თუ არა შესაძლო კონფლიქტში აშშ და საერთაშორისო საზოგადოება. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საკმაოდ აქტუალურია, საინტერესოა, დავადგინოთ ტაივანის მიმართ ჩინეთის აგრესიული პოლიტიკის დაწყების მიზეზები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ტაივანს აქტიურად უჭერს მხარს ისეთი სახელმწიფო, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენი საკვლევი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: რატომ გააქტიურდა 2021 წელს ჩინეთი სამხედრო თვალსაზრისით კუნძულთან მიმართებით?

ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილული გვაქვს საკითხის აქტუალობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ძირითადი ნაწილი ეთმობა იმ მიზეზების გამოკვლევას, რომლებმაც ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურებას შეუწყო ხელი. საკითხის არსის უკეთ გასაგებად ნაშრომში მოცემულია მცირე ისტორიული მიმოხილვა. თემის კომპლექსურად შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მიზეზი. მათზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კუნძული ტაივანი ჩინეთისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროშია. ერთი მხრივ, ტაივანის დემოკრატიზაცია და ეკონომიკური წინსვლა, ამასთან ჩინეთისგან კიდევ უფრო დისტანცირება და აშშ-თან დაახლოება, ხოლო მეორე მხრივ, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება და სი ძინპინის მმართველობა, ერთობლივად გავლენას ახდენს ჩინეთის ბოლოდროინდელ გააქტიურებაზე.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ტაივანი, აშშ, სი ძინპინი, რეგიონული ჰეგემონობა.

შესავალი

ბოლო პერიოდში ჩინეთის გააქტიურებული სამხედრო ქმედებები ტაივანთან მიმართებით საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. დღესდღეობით, ტაივანსა და ჩინეთს შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობებმა ისტორიულ პიკს მიაღწია. ტაივანი

თავს დამოუკიდებლად მიიჩნევს, თუმცა მსოფლიოში მას მხოლოდ 15-მდე სახელმწიფო აღიარებს. ჩინეთი აცხადებს, რომ კუნძული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაწილია და ადრე თუ გვიან მას შემოიერთებს (BBC, 2021). 2021 წლის იანვრიდან მოყოლებული ჩინეთმა რამდენჯერმე დაარღვია ტაივანის ე.წ. საჰაერო თავდაცვის საიდენტიფიკაციო ზონა (ADIZ), მხოლოდ ოქტომბრის დასაწყისში კუნძულის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, პეკინმა 150 გამანადგურებელი თვითმფრინავი და ატომური ბომბდამშენი გადაიყვანა ტაივანის ამ ზონაში. ეს საკმაოდ სახიფათოა იმ კუთხით, რომ პეკინი შესაძლოა ტაიპეის საჰაერო ქმედებებს აკვირდება, აქვე აღვნიშნავთ რომ, ჩინეთის სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აღემატება ტაივანის შესაძლებლობებს.

თემას განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აქცევს ასევე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს აშშ-ს დამოუკიდებულება და გაზრდილი მხარდაჭერა ტაივანის მიმართ. მართალია აშშ არ აღიარებს ტაივანის დამოუკიდებლობას, თუმცა მისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე და მხარდამჭერია. ვაშინგტონსა და ტაიპეის შორის ურთიერთობები სექტემბერ-ოქტომბერში განსაკუთრებულად დათბა. აშშ-მ ტაივანს 750 მილიონი დოლარის ოდენობის სამხედრო შეიარაღება მიყიდა და ასევე კუნძულის მხარდასაჭერად შექმნა „US-led Quad foreign policy group” (Ripley et al, 2021). 16 ნოემბერს სი ძინპინსა და ჯო ბაიდენს შორის გამართულმა ვირტუალურმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ტაივანსა და სხვა საკითხებზე მხარეების შეუთანხმებლობას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთის ბოლოდროინდელი სამხედრო გააქტიურება ტაივანთან მიმართებით საერთაშორისო შეშფოთების საგანია, განსაკუთრებით, აშშ-ს მხრიდან, და ამასთან აქამდე ჩინეთი მშვიდობიან გაერთიანებას უსვამდა ხაზს, საინტერესოა განვიხილოთ ჩინეთის ამგვარი ქმედების მოტივები და პასუხი გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვას: რატომ გააქტიურდა 2021 წელს ჩინეთი სამხედრო თვალსაზრისით კუნძულთან მიმართებით?

ლიტერატურის მიმოხილვა:

წლების განმავლობაში ჩინეთი მუდმივად ცდილობდა ტაივანზე არასამხედრო საშუალებებით ზეწოლის მოხდენას. როგორცაა: ჩინელი ტურისტების ტაივანში შესვლის შეზღუდვა, ჩინეთის

მიერ სხვადასხვა ორგანიზაციაში განვერიანების შესაძლებლობის დაბლოკვა, ეკონომიკური ზენოლა და სხვ. ინგლისელი მკვლევარი ელენორ ელბერტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ზენოლისა, ტაივანი კვლავ განაგრობს დემოკრატიზაციის პროცესს და სულ უფრო შორდება ჩინეთს. მისი აზრით, სწორედ ამ მიზეზით დაიწყო ჩინეთმა სამხედრო კუთხით გააქტიურება (Maizland, 2021).

ურნალ „Foreign Policy“ ამერიკელი მკვლევარები ჯეიკ სულივანი და ჰალ ბრენდსი ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთის არნახულმა ეკონომიკურმა ზრდამ და საერთაშორისო მასშტაბით მისი გავლენის გავრცელებამ ლოგიკურად გააჩინა ვარაუდები იმისა, რომ ჩინეთი აშშ-ს სერიოზული „ჩელენჯერი“ გახდება და მსოფლიო ჰეგემონობაზეც განაცხადებს პრეტენზიებს. ჩინეთისთვის ტაივანის მიერთება განამტკიცებს მის რეგიონულ ჰეგემონობას, რაც ამუამად მისი მიზანი და მომავალი მსოფლიო ჰეგემონობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. აღსანიშნავია, რომ რეგიონული ჰეგემონობის მისაღწევად, ჩინეთი პანდემიის პერიოდს თავის სასარგებლოდ იყენებს და სწორედ მსოფლიო დაძაბულობების ფონზე ცდილობს ტაივანის მიმართ სამხედრო გააქტიურებას. ჩინეთს კარგად ესმის, რომ რეგიონში ჰეგემონობისთვის საჭიროა იქ არსებული ქვეყნებსა და აშშ-ს შორის არსებული კავშირების მინიმუმამდე დაყვანა. იმ ფონზე, როდესაც დაძაბულობა შეინიშნება უკრაინაში, ასევე აშშ-ს გაჰყავს ჯარები სირიიდან და ავღანეთიდან, ჩინეთი შესაძლოა თვლიდეს, რომ ეს საუკეთესო პერიოდია იმისთვის, რომ ნაკლები დანახარჯებით უკვე საბოლოოდ შეიერთოს ტაივანი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სამხედრო მანევრირებით, ჩინეთი ცდილობს გაიგოს რამდენად ჩაერთვება აშშ არსებულ დაპირისპირებაში (Sullivan & Brands, 2020).

პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის მკვლევარები წიგნში „China’s Rise Challenges and opportunities“ თვლიან, რომ აშშ-მ მხარი არ უნდა დუჭიროს ტაივანის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამასთან შეინარჩუნოს მუდმივი კავშირები, რათა გამორიცხოს ჩინეთის სამხედრო ინტერვენცია. ასევე, მან უნდა უზრუნველყოს ტაივანის დემოკრატიის დაცვა. ამასთან, საჭიროა აშშ-მ შეინარჩუნოს ზუსტი ბალანსი ტაიპეისა და პეკინთან, რათა არცე რთი მხარე არ იყოს დარწმუნებული, რომ აშშ მხარს დაუჭერს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ან სამხედრო ძალებით კუნძულის შეერთებას (Bergsten et al,

2016, p.172). შესაბამისად, ვაშინგტონმა კუნძულის დამოუკიდებლობას კი არ უნდა დაუჭიროს მხარი, არამედ გამოიყენოს დიპლომატია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში სამხედრო კუთხით არსებობა, რათა გააფრთხილოს პეკინი, რომ სამხედრო თავდასხმა მას ძვირად დაუჯდება. მსგავსად ფიქრობს ჯოზეფ ნაი, რომელმაც 1998 წელს შემოგვთავაზა აშშ-ს, ტაივანისა და ჩინეთის ქმედებების გეგმა. 1) აშშ-მ არ უნდა დაუჭიროს მხარი არც ტაივანის დამოუკიდებლობას და არც ჩინეთის მიერ ძალის გამოყენებას, 2) ჩინეთმა უნდა შესთავაზოს ტაივანს დიდი საერთაშორისო სივრცე „ერთი ქვეყანა სამი სისტემის ქვეშ“, 3) ტაიპეიმ საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ არ გამოცხადებს დამოუკიდებლობას და ამის მაგივრად უფრო ჩაერთვება ე.წ. სრუტეთშორის („cross-strait“) დიალოგებში (Bergsten et al, 2016, p. 182).

მაგრამ ცდილობს კი ჩინეთი სამხედრო ინტერვენციას?! The Diplomat-ის სტატიაში ვკითხულობთ, რომ ჩინეთი უბრალოდ ცდილობს კუნძულისთვის სამხედრო ძლიერების ჩვენებას, რათა შეენიანაღმდეგოს თავისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ტაიპეის რადიკალურ ნაბიჯებს. იგი ამისთვის იყენებს ე.წ. „რუხი ზონის ტაქტიკას“ (Gray Zone tactics), პროპაგანდას და დემინტორმაციას (Bolton & Zitelman, 2021).

„Brooking“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯონ ქულვერი (აშშ-ს ეროვნული დაზვერვის ყოფილი ოფიცერი აღმოსავლეთ აზიაში) ამბობს, რომ ჩინეთი დღეს რეალურად ცდილობს ფსიქოლოგიური სტრესი მიაყენოს ტაივანს. მისი ქმედებების უმრავლესობა ფორმალური და სიმბოლურია, ისევე როგორც მაგალითად "ანანასის ომი" (პეკინის მიერ ტაივანიდან ანანასის იმპორტირების აკრძალვა) და მიზნად ისახავს გააფრთხილოს სხვა ქვეყნები (განსაკუთრებით აშშ) მხარი არ დაუჭირონ ტაიპეის წინააღმდეგობას ჩინეთის მიმართ (Hass, 2021).

როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, ტაივანი ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის „დაუსრულებელი სამოქალაქო ომია“, თუმცა ეს არ გულისხმობს უშუალოდ სამხედრო თავდასხმას. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს შეუძლია ვეტო დაადოს გაეროს უშიშროების საბჭოს ქმედებებს, ცალკეულ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ შურისძიების სხვა ფორმები, როგორცაა სანქციები, დიპლომატიური კავშირების შემდგომი გაუარესება და პარტნიორის ჩანაცვლება. ასევე, ტაივანის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო ქმედების წამოწყება საკმაოდ ძვირია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამან შეიძლება

გამოიწვიოს რეგიონში დასავლეთის მოკავშირე სამხედრო ძალებთან დაპირისპირება. თავის მხრივ, კუნძულის ოკუპაციის შენარჩუნება კიდევ უფრო რთული იქნება (Bastian, A, 2021). შესაბამისად, ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურების უმთავრესი მიზანი არის ის, რომ კუნძული მუდმივი ზეწოლის ფონზე ამყოფოს, რათა ბოლოდროინდელი დემოკრატიზაციის გაძლიერებული პროცესი და მატერიკთან სრული დაშორება თავიდან აიცილოს. მისთვის ცხადი გახდა, რომ ტაივანზე მხოლოდ დიპლომატიური, ეკონომიკური და საინფორმაციო ზეწოლა საკმარისი არაა.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, დავადგინოთ ბოლო პერიოდში ჩინეთის ტაივანთან სამხედრო კუთხით გააქტიურების მიზეზები. შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვას: რატომ გააქტიურდა 2021 წელს ჩინეთი სამხედრო თვალსაზრისით კუნძულთან მიმართებით? მოცემული სტატია განსაკუთრებით დააინტერესებთ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებსა და სპეციალისტებს. კვლევის პერიოდში გამოიყო რამდენიმე ძირითადი ურთიერთდაკავშირებული მიზეზი. ვფიქრობთ, რომ საკითხი კომპლექსურია და საჭიროა მისი მრავალი კუთხით შესწავლა.

საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ კონტენტ-ანალიზს, მისი დახმარებით ვცდილობთ დავადგინოთ სხვადასხვა ტიპის ტექსტების პოლიტიკური მიმართულება, ე.წ პროცესის მიდევნების (Process Tracing) საშუალებით კი ვცდილობთ გავაანალიზოთ ისტორიულ მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. კვლევაში გამოყენებულია ცნობილი მეცნიერების სტატიები და წიგნები, ასევე მეორეული წყაროები. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე პოლიტიკოსთა გამოსვლები და ინტერვიუები. გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევით თემა აქტუალურია და მის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, ყურადღებას ვუთმობთ დარგის სპეციალისტთა ინტერვიუებს. კვლევა დაეყრდნობა ისეთი გამოცემების სტატიებს, როგორებიცაა: The Diplomat, The Foreign Policy, BBC, Politico.

ინფორმაციის ანალიზი

იმისთვის, რომ სათანადოდ ჩავწვდეთ საკითხის არსს, საჭიროა გავაკეთოთ მცირე ისტორიული მიმოხილვა. მეორე მსოფლიო ომამდე კუნძულს ასი წლის განმავლობაში, როგორც კოლონიას, იაპონია მართავდა. 1945 წლის შემდეგ კუნძული ჩან კაიშის ჩინეთის რესპუბლიკის (ROC) მმართველობის ქვეშ გადავიდა. აღსანიშნავია, რომ 1921 წელს ჩინეთში ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს ეყრდნობოდა და ცდილობდა ჩინეთში კომუნისტურ რევოლუციას. პარტია განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ნაციონალისტურ პარტიასთან სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, 1949 წელს, კომუნისტური პარტიის ლიდერმა მათ ძედუნმა გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება (PRC). ნაციონალისტური მთავრობა (გომინდანი) ჩან კაიშის მეთაურობით სამხედროებთან ერთად კუნძულ ტაივანზე გადავიდა და იქ მატერიკისგან დამოუკიდებლად სამხედრო მმართველობა დაამყარა (June, 2010, pp. 222-225). ამ პერიოდიდან იწყება ტაივანის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება და ამავდროულად უნიკალური ტაივანური იდენტობის გაღვივება. 2020 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ კუნძულზე მცხოვრებთა უმრავლესობა 83.2% თავს ტაივანელად თვლის, მხოლოდ 5.3% კი- ჩინელად (Everington, 2020). 1979 წელს აშშ-მ სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ამ ფაქტმა ტაივანში გააღრმავა დემოკრატიისკენ სწრაფვის სურვილი და 1987 წელს გომინდანის სამხედრო მმართველობა სრულდება. დროთა განმავლობაში ტაივანის დამოუკიდებულება ჩინეთის მიმართ იცვლებოდა მთავრობების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, 1992 წელს ჩინეთისა და ტაივანის წარმომადგენლებს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხარეები უერთგულებდნენ ერთიანი ჩინეთის პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ტაივანს სთავაზობდა "ერთი ქვეყანა, ორი სისტემის" პრინციპით გაერთიანებას, თუმცა, 2000-იან წლებში ტაივანში დამოუკიდებლობის მოძრაობის შედეგად დემოკრატიული პარტიის პროგრესის წევრმა გაიმარჯვა, რომელიც ერთიანი ჩინეთის და ერთიანი ტაივანის პოლიტიკას უწყობდა ხელს. დემოკრატიზაციის პროცესზე საპასუხოდ ჩინეთმა 2005 წელს დაიწყო ანტიცენსურის კანონზე მუშაობა (მას ამ კანონით ეძლევა საშუალება გამოიყენოს ძალა, თუ ოდესმე ტაივანი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს). ხაზგასასმელია ასევე ის ფაქტი, რომ კანონი მოიცავს შემდეგ პუნქტს: თუ ჩინეთი მშვიდობიანად ვერ მოახერხებს ტაივანის შემოერთებას, მაშინ იგი

გამოიყენებს სამხედრო ძალას. (Cody, 2005). ეს გარკვეულ დაბნეულობას ქმნის იმ კუთხით გავიგოთ, თუ სად გადის წითელი ხაზი ჩინეთისთვის.

ტაივანი- დემოკრატიისა და ეკონომიკური სასწაულის მაგალითი

ტაივანში განსაკუთრებული ეკონომიკური აღმასვლა იწყება 1950-იანი წლებიდან: 1952-1999 წლებში მისი ეკონომიკა საშუალოდ 9.21%-ით იზრდებოდა და იგი სინგაპურთან, სამხრეთ კორეასთან და ჰონგ-კონგთან ერთად ერთ-ერთი აზიური ვეფხვი გახდა (council for economic planning and development executive yuan, ROC, Taiwan, 2010). მან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები დაამყარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან. დღესდღეობით ტაივანი წამყვანია ნახევარგამტარების და ელექტრონული მოწყობილობების, მათ შორის, კომპიუტერების წარმოებაში. ამგვარმა ეკონომიკურმა წინსვლამ მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც შეუწყო ხელი.

2016 წელს ტაივანის არჩევნებში გაიმარჯვა ცაი ინგვენმა, რომელიც დემოკრატიის დაჩქარების პროცესს უწყობს ხელს, რაც მიუღებელი არის ჩინეთისთვის. ცაი ხელახლა აირჩიეს 2020 წელს ხმების უფრო დიდი პროცენტით და როგორც მან CNN-ს განუცხადა, სურს ტაივანის სამხედრო ძალების სწრაფი მოდერნიზაცია. მაგალითისთვის, აგვისტოში ტაივანმა გამოაცხადა, რომ დახარჯავდა 1,4 მილიარდ დოლარს ახალ გამანადგურებელ თვითმფრინავებზე, სავარაუდოდ F-16-ებზე. 2020 წლის დეკემბერში კუნძულის სამხედროებმა დაიწყეს შიდა წარმოების წყალქვეშა ნავის ფლოტის მშენებლობა ჰონგ-კონგში არსებულმა დაპირისპირებებმა უფრო მეტად შეუწყო ხელი ჩინეთთან დისტანცირებას. 2019 წელს ცაიმ განაცხადა, რომ ავტორიტარიზმი და დემოკრატია ერთად ვერ იარსებებს, შესაბამისად, ორი სისტემის ერთ ქვეყანაში არსებობა შეუძლებელია (Al Jazeera and news agencies, 2021). ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა ტაივანის სურვილი იყოს დამოუკიდებელი. „ტაივანის სასწაულის“ მოდელში დასავლელ მკვლევართა დიდი ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად მშვიდობიანი და შთამბეჭდავი დემოკრატიზაციის პროცესს აღიქვამენ, რასაც ხშირ შემთხვევაში, ჩინელი მკვლევარები უგულებელყოფენ (Tsang, 2017, pp. 11-19). შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთმა გააცნობიერა, რომ ტაივანი სულ უფრო და უფრო შორდებოდა მატერიკს და სი ძინპინის გაერთიანების გეგმასაც საფრთხე ექმნება. ბევრი თვლის, რომ სწორედ ტაივანის

დემოკრატიზაციისა და სუვერენიტეტისკენ სწრაფვის გაძლიერება გახდა ჩინეთის სამხედრო გააქტიურების მიზეზი. მას სურს საკუთარი ძალები აჩვენოს ტაივანს და ხელი შეუშალოს კუნძულის სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღიარებას.

ჩინეთისთვის ტაივანი ეკონომიკური კუთხითაც მნიშვნელოვანია. ეკონომიკურად, ტაივანის აღება პეკინს მისცემს კონტროლს მის მეხუთე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორზე. პეკინი ასევე მიიღებს წვდომას ტაივანის მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაზე, მათ შორის მსოფლიო დონის ნახევარგამტარების ქარხნებზე. თუმცა ისიც მნიშვნელოვანია როგორ მიიერთებს ჩინეთი კუნძულს. ორმხრივმა პერიგებამ შეიძლება მინიმალურად იმოქმედოს ტაივანის მშპ-ზე, მაშინ როცა კონფლიქტმა შეიძლება მთლიანად შეაფერხოს ვაჭრობა და გამოიწვიოს მშპ-ს ვარდნა (Bolton & Zitelman, 2021).

აშშ-ს მხარდაჭერა ტაივანისადმი

გარდა დემოკრატიზაციისა, ჩინეთისთვის შემამოთხოვებელია აშშ-სა და ტაივანს შორის არსებული მოლაპარაკებები, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ცაი ინგვენის დროს. ცაი გახდა ტაივანის პირველი პრეზიდენტი ათწლეულების განმავლობაში, რომელმაც CNN-თან ინტერვიუში აღიარა კუნძულზე სასწავლო მიზნებისთვის ამერიკული ჯარების არსებობა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ნოემბერში, ტაივანის თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა და შემდეგ ადგილობრივ მედიასთან უარყო, რომ აშშ-ს ჯარები წვრთნიდნენ ადგილობრივ სამხედროებს კუნძულზე. დღესაც ცაი არ ამბობს სამხედროების ზუსტ რაოდენობას, მაგრამ აცხადებს, რომ „ჩვენ გვაქვს თანამშრომლობის ფართო სპექტრი აშშ-თან, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაზრდას“ (CNN, 2021). ტაივანისადმი აშშ-ს მზარდი მხარდაჭერის ფარგლებში, ვაშინგტონმა დაიწყო ტაიპეის უფრო მეტი მონაწილეობისკენ სწრაფვა საერთაშორისო მმართველ ორგანოებში, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა თავის ოფიციალურ Twitter-ზე დაპოსტა, რომ ტაივანი არის „ფასეული პარტნიორი და დემოკრატიული წარმატების ისტორიის მაგალითი“ და მოუწოდებს მას უფრო მეტი როლი ჰქონდეს გაეროში (Reuters, 2021). პეკინი, რომელმაც ტაიპეის ადგილი გაეროში 1971 წელს დაიკავა, წარმატებით ახერხებს კუნძულის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში განწევრიანებისთვის ხელისშეშლას. საინტერესოა,

რომ ჯო ბაიდენმა 2021 წლის ნოემბერში დააანონსა დემოკრატიის სამიტი, სადაც მიიწვია ტაივანის წარმომადგენლები, მაგრამ არა ჩინეთი. ამას ჩინეთის მხრიდან მკვეთრი უკმაყოფილება მოჰყვა (Ni, 2021).

ბოლო წლებში ჩინეთის როლის ზრდამ გამოიწვია აშშ-ს ტაივანით კიდევ უფრო დაინტერესება. აშშ-ს ინტერესების გაძლიერებას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1) დემოკრატიის მხარდამჭერი ტაივანელი ხალხის მიმართ ვალდებულების გრძნობა განაპირობებს აშშ-ს პოლიტიკისადმი ნდობას აღმოავლეთ აზიაში. სამხედრო შესაძლებლობებით და მოკავშირეობით აშშ რჩება აღმოსავლეთ აზიაში რეგიონის ქვეყნებისთვის უსაფრთხოების და ძალის ბალანსის მთავარ გარანტორად, რათა ხელი შეუშალოს რეგიონული ჰეგემონის წარმოქმნას. 2) ტაივანი წარმოადგენს დემოკრატიის მაგალითს, რაც აშშ-სთვის საკმაოდ დიდი საყრდენია რეგიონში. შესაბამისად, აშშ-სთვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია წესებზე დაფუძნებული დემოკრატიის მხარდაჭერა. 3) ტაივანის ეკონომიკური მიღწევები არის აშშ-ს ქმედებების ამხსნელი კიდევ ერთი მიზეზი. იგი არის აშშ-სთვის მე-11 სავაჭრო პარტნიორი (2021 წლის მონაცემებით). 4) და ბოლოს, აშშ-ს გადანყვეტილება და ქმედებები ტაივანთან მიმართებით იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ გააგრძელებს აშშ ჩინეთთან ურთიერთობას მომავალში. დატოვებს თუ არა იგი კუნძულს ჩინეთთან მარტო და როგორ უპასუხებს ამ მნიშვნელოვან უსაფრთხოების გამოწვევას, რაც დღესდღეობით ერთ-ერთ მთავარ კითხვად რჩება (Bergsten et al, 2016, p. 169). სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ექსპერტი ბონი კლაიზერი „დოიჩე ველესთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ ჩინეთის მიერ ტაივანზე თავდასხმის შემთხვევაში აშშ მის დასასჯელად გამოიყენებს არა მხოლოდ სანქციებსა და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებას ჩინეთის წინააღმდეგ, არამედ სამხედრო ძალასაც (DW News, 2020).

1979 წელს აშშ-სა და ტაივანს შორის დაიდო „ტაივანის ურთიერთობების აქტი“. იგი ავალდებულებს შეერთებულ შტატებს კუნძულს მიჰყიდოს თავდაცვითი ხასიათის იარაღი. შესაბამისად, აშშ დღესდღეობით კიდევ უფრო აძლიერებს თავის ვალდებულებებს კუნძულთან მიმართებით, რაც გამოიხატა მის მიერ კუნძულზე სამხედრო წვრთნების აღიარებასა და ე.წ. Quad ჯგუფის (აშშ, ავსტრალია, ინდოეთი და იაპონია) გააქტიურებაში ინდოეთისა და წყნარი ოკეანის

რეგიონში. შესაბამისად, შესაძლოა ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურება აფრთხილებს რეგიონის ქვეყნებს შეწყვიტონ აშშ-სთან დაახლოება.

შეერთებულ შტატებთან ერთად ბოლო წლებში ტაივანმა ურთიერთობები გააძლიერა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან. მათ შორისაა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ლიეტუვა, იაპონია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია და სხვა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გაუჩნდა შიში, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება საბოლოოდ გამოიწვევს ამ ქვეყნების მხრიდან ტაივანის სუვერენიტეტის აღიარებას, რაც საფრთხეს შეუქმნის სი ძინპინის „გაერთიანების“ გეგმას. ჩინეთი ცდილობს ხელი შეუშალოს ამ პროცესს სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის ელჩების გამოწვევა, ვაჭრობის შემცირება, მუქარის შემცველი განცხადებები და სხვა. მაგალითად, სექტემბრის დასაწყისში პეკინმა თავისი ელჩი ლიეტუვაში გამოიწვია იმის გამო, რომ ლიეტუვამ გადაწყვიტა გაეხსნა ტაივანის წარმომადგენელთა ოფისი ვილნიუსში. ამასთან, ნოემბერში ლიეტუვამ თხოვა დახმარება ევროკავშირს, ვინაიდან მისი კომპანიების ნაწილს პრობლემა შეექმნა ჩინეთის პორტში საქონლის შეტანასთან დაკავშირებით (Lau, 2021).

სი ძინპინის „ჩინური ოცნება“

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლიდერის (Leadership) როლი. სი ძინპინის ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტირის შეცვლაზე 2012 წლიდან. ჩინეთის ახალ საგარეო პოლიტიკას სი ძინპინის მეთაურობით ეწოდა „მთავარი სახელმწიფო დიპლომატია ჩინური სპეციფიკით“ (Hu, 2018).

ჯოზეფ ნაი მიიჩნევს, რომ ტრანსფორმაციულ ლიდერს, რომელსაც გააჩნია ახალი და საქმიანი ხედვები, წარმატების მეტი შანსი აქვს (Nye, 2006). სი ძინპინი არის ამბიციური და ინოვაციური საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ამასთან, მან მოიპოვა უპრეცედენტოდ დიდი ძალაუფლება და ავტორიტეტი, რითაც მას ხშირად ადარებენ მათ ძედუნსა და დენ სიაოპინს. მისი აზრით, ჩინეთი არასდროს ყოფილა ისე ახლოს ჩინელი ერის გაერთიანების მიზანთან, როგორც თანამედროვე ერაში. 2012 წლის ნოემბერში, როდესაც იგი ჩინეთის კომუნისტური

პარტიის უმაღლეს თანამდებობაზე დაინიშნა, განაცხადა „ჩინეთის ოცნების“ შესახებ. მან ეს ტერმინი არაერთხელ გამოიყენა, სახელმწიფოს მეთაურის რანგში ერისადმი თავის პირველ მიმართვაში- "ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დაუნიჭებელი ძალისხმევა, გავაგრძელოთ სოციალიზმის დანინაურება ჩინური სპეციფიკით და ვიბრძოლოთ, მივალწიოთ ჩინეთის ოცნებას- ჩინელი ერის დიდ გაერთიანებას. ძინპინის მართვის პერიოდში ჩინეთი სამინაო და საგარეო კუთხით უფრო აგრესიული გახდა. ჯერ კიდევ 2019 წელს მან ტაივანის შესახებ განაცხადა- „ტაივანის საკითხი თაობიდან თაობას არ უნდა გადაეცეს". შესაბამისად, 2020 წლიდან ჩინეთის სამხედრო თვალსაზრისით გააქტიურება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ჩინეთის განმანათავისუფლებელი არმია (PLA) არაერთ სამხედრო წვრთნას ატარებს კუნძულთან. საერთაშორისო ყურადღებას ასევე იქცევს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სპიკერის განცხადება, რითაც იგი მოუწოდებს აშშ-ს არ ეთამაშოს ცეცხლს და დაუყონებლივ შეწყვიტოს არაოფიციალური კონტაქტები ტაივანთან (Crossley, 2021).

2017 წლის შემდეგ ხელისუფლებაში მისი მეორე ვადის განმავლობაში, სი ძინპინმა დაიწყო ჩინეთის გლობალური პოზიციის შეცვლა. ქვეყნის არმია გაიზარდა და დანინაურდა, ამასთან, ჩინეთის საზღვაო ფლოტმა აშშ-ს ზომით გადაუსწრო. ამავდროულად, ძინპინის საგარეო პოლიტიკის მიზნებმა გამოიწვია საგარეო საქმეთა სამინისტროში სასტიკად ნაციონალისტური დიპლომატების, რომლებიც ცნობილია როგორც "მგლების მეომრები", დანინაურება. ისინი მზად არიან ხმამაღლა დაიყვან ჩინეთის პოზიციები უაღრესად საკამათო და მგრძობიარე საკითხების შესახებ, განსაკუთრებით ტაივანთან მიმართებით, რომელიც პეკინის ე.წ. „წითელ ხაზებს“ შორის ყველაზე წითელია (Ripley et al, 2021).

შესაბამისად, ბევრი ავტორი ტაივანთან ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურებას სწორედ საგარეო პოლიტიკაში სი ძინპინის ცვლილებებს მიაწერს. ჩინეთის კომუნისტური პარტია (CCP) ტაივანს რეჟიმის ლეგიტიმურობისთვის საფრთხედ აღიქვამს. პრეზიდენტის ქმედებები უშუალოდ უკავშირდება კომუნისტური პარტიის გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს 2049 წლისთვის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავზე). უპირველესი მიზანი მათ შორის ტაივანის მიერთება და ჩინელი ერის გაერთიანებაა (Culver & Hass, 2021). აშშ-ს წყნაროკეანური სადაზვერვო ფლოტის ყოფილი უფროსის ჯეიმს ფანელის

აზრით, 2020- 2030 წლებს შორის პერიოდი იქნება განსაკუთრებით სახიფათო ტაივანისთვის და ზოგადად მსოფლიო უსაფრთხოებისთვის და ის განავითარებს თეორიას, რომლის მიხედვითაც, 2049 წლისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ვინც არ უნდა იყოს ამ დროისთვის მისი მმართველი, უკვე შემოერთებული ეყოლება ტაივანი და ახდენილი იქნება ჩინელი ერის გაერთიანების ოცნება (DW News, 2020).

რეგიონული ჰეგემონობისკენ სწრაფვა

დღესდღეობით ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო კუთხით განვითარების გამო მას აშშ-ს შესაძლო „ჩელენჯერად“ მიიჩნევენ. ჩინეთი თავისი ქმედებებით ცდილობს ტაივანის თანდათან დაახლოებას, რაც აშშ-სთვის რეგიონში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ჩინეთი განსაკუთრებით გააქტიურდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, რომლის უდიდეს ნაწილზეც აცხადებს პრეტენზიას და რეგიონის სხვა ქვეყნებთან (ფილიპინებთან, ვიეტნამთან, ინდონეზიასთან, იაპონიასთან) დაპირისპირების მუდმივი წყაროა. ჩინეთი ზღვაში აშენებს ხელოვნურ კუნძულებს და კიდევ უფრო ზრდის სამხედრო ბაზების რაოდენობას. ამასთან, იგი სადავო კუნძულებთან მიმართებით იყენებს ე.წ. „კომბოსტოს სტრატეგიას („Cabbage Strategy“) ამ სტრატეგიის მიხედვით, სადავო ტერიტორია გარშემორტყმულია უსაფრთხოების მრავალი ფენით მონინაალმდევე ქვეყნისთვის წვდომის აკრძალვის მიზნით (Kazianis, 2013). „კომბოსტოს სტრატეგიასთან“ ერთად აღსანიშნავია უძველესი ჩინური თამაშის ვეი ცის (გო) სტრატეგია, რომელიც სივრცეების კონტროლს გულისხმობს და ნებისმიერი უჯრა შეიძლება გადამწყვეტი იყოს თამაშისას. სწორედ ამიტომ, ჩინეთისთვის ამ კუთხითაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტაივანს.

რეგიონალური ძალები, როგორცაა ფილიპინები, ბრუნეი, მალაიზია და ვიეტნამი ბოლო პერიოდში უფრო ხმამაღლა ეწინააღმდეგებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქმედებებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას აშშ-სთან, ავსტრალიასა და იაპონიასთან ერთად სამხედრო წვრთნების ჩატარებით. ეს რეგიონული პასუხები განსაკუთრებით გააქტიურდა აღმოსავლეთ აზიაში ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის საზღვაო ძალების განლაგების შემდეგ (Bolton & Zitelman, 2021).

დასკვნა

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის სამხედრო კუთხით გააქტიურება ტაივანთან მიმართებით სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული მიზეზითაა განპირობებული. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხსნიან გააქტიურებულ ქმედებებს. მათ შორისაა ბოლო წლებში ტაივანის დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდი თავსატეხი ხდება ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის. დემოკრატიზაციის პროცესთან ერთად აღსანიშნავია ტაივანის, როგორც ერთ-ერთი აზიური ვეფხვის ეკონომიკური მიღწევები. შესაძლოა ჩინეთს იმედი ჰქონდა, რომ ეკონომიკური კავშირების გაღრმავებით პოლიტიკურ კავშირებსაც გააძლიერებდა, თუმცა ბოლო პერიოდში ეს არარეალისტური ჩანს. ამასთანავე ჩინეთს აშინებს ტაივანისადმი აშშ-სა და დასავლური სახელმწიფოების დაახლოების პროცესი, მათ მიერ წარმომადგენელთა ოფისების დაარსება და სხვა. ვინაიდან ლიდერის როლი დიდია კომუნისტური სახელმწიფოს მართვაში, გამოვყავით სი ძინპინის წინამორბედებთან შედარებით აგრესიული საგარეო პოლიტიკა და მისი „ჩინური ოცნება“- მიაღწიოს ჩინელი ერის საბოლოო გაერთიანებას. მისი ამგვარი მისწრაფებები აისახება ბოლო წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში დაწყებულ ქმედებებში, რომლებსაც ბევრი ავტორი რეგიონული ჰეგემონობის მოპოვების სურვილს უკავშირებს. მათ შორისაა ხელოვნური კუნძულებისა და სამხედრო ბაზების მშენებლობა და რეგიონის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების განევა, რომელიც ჩინეთზე დამოკიდებულების გაზრდას ისახავს მიზნად. დღესდღეობით ტაივანი საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონკვევად რჩება. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში წინასწარი პროგნოზების გაკეთება რთულია, საჭიროა დაველოდოთ მოვლენების შემდგომ განვითარებას, თუმცა სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჩინეთს ტაივანი სჭირდება პირველ რიგში რეგიონული და შემდგომ უკვე მსოფლიო ჰეგემონობის მოსაპოვებლად და ამისთვის იგი ყველა შესაძლო გზას მიმართავს.

ბიბლიოგრაფია:

Al Jazeera and News Agencies, (2021). 'Yes': Biden says US would defend Taiwan against China, retrieved from: <https://bit.ly/3DPYF61>

Bastian, A, (2021) „Threatening Taiwan Gets China More Than Invading It Would”, retrieved from: <https://foreignpolicy.com/2021/11/30/taiwan-china-threats-invasion/>

BBC News, (2021). „China-Taiwan tensions: Xi Jinping says 'reunification' must be fulfilled”, retrieved from: <https://bit.ly/3oxQ7w3>

Bergsten, C, Freeman, Ch, Lardy, N, Mitchell, D. (2016), „China's rise: challenges and opportunities” chapter 8, Why Does the United States Care about Taiwan? Peterson institute for international economics. Pp. 169-182.

Bolton, J., Zitelman, D., (2021). Why Taiwan Matters to the United States, retrieved from: <https://thediplomat.com/2021/08/why-taiwan-matters-to-the-united-states/>

Crossley, G, 2021. Don't play with fire on Taiwan, China warns U.S., Reuters, retrieved from: <https://reut.rs/307pxjS>

Cody, E, (2005). China Sends Warning to Taiwan With Anti-Secession Law, The Washington Post, retrieved from: <https://wapo.st/3dBRvHL>

DW News. (September 18, 2020). Taiwan: China's next target? [Video] YouTube. <https://www.youtube.com/watch?v=VkuNWDG3yNM>

Everington, K, (2020). „Record 83% of people in Taiwan identify as Taiwanese amid Wuhan virus outbreak”, retrieved from: <https://www.taiwannews.com.tw/en/news/3880591>

June, N, (2010). The Cambridge History of the Cold War, volume 1, II The birth of the People's Republic of China and the road to the Korean War, Edited by Melvyn P. Leffler, Odd Arne Westad, pp. 222-225

Hass, R, (2021). „ Understanding Beijing's motives regarding Taiwan, and America's role”. Retrieved from: <https://cutt.ly/HYn2BgW>

Hu, W, 2018. „ Xi Jinping's 'Major Country Diplomacy': The Role of Leadership in Foreign Policy Transformation”, Journal of Contemporary China, ISSN: 1067-0564 (Print) 1469-9400, retrieved from: <https://sci-hub.hkvisa.net/10.1080/10670564.2018.1497904>

Kazianis, H, (2013). China's Expanding Cabbage Strategy, retrieved from; <https://thediplomat.com/2013/10/chinas-expanding-cabbage-strategy/>

- Lau, S, (2021). Lithuania asks EU for ‘strong reaction’ to Chinese pressure, Politico, retrieved from: <https://politi.co/3ICF8JU>
- Maizland, L, (2021). „ Why China-Taiwan Relations Are So Tense ”. Retrieved from: <https://on.cfr.org/3Llqeag>
- Ni, V., (2021) „China attacks ‘US-style democracy’ prior to Biden summit”. The Guardian, retrieved from: <https://bit.ly/3DDXSET>
- Nye, J, JR (2006). „Transformational Leadership and U.S. Grand Strategy”. Retrieved from: <https://fam.ag/3dBdb6U>
- Reuters, 2021. Blinken urges all U.N. member states to support Taiwan participation, retrieved from: <https://reut.rs/3pCYvd6>
- Ripley, W, Cheung, E, Westcott, B. (2021) „Taiwan's President says the threat from China is increasing 'every day' and confirms presence of US military trainers on the island”. Retrieved from: <https://cnn.it/3dusqyv>
- Sullivan, J., Brands, H, (2020) „ China Has Two Paths To Global Domination”. Retrieved from: <https://bit.ly/3IyO8zk>
- Tsang, S (2017). „Taiwan's Impact on China: Why Soft Power Matters More than Economic or Political Inputs”, chapter; The Importance of Taiwan to China, pp. 11-19. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/313120674_The_Importance_of_Taiwan_to_China



ელექტორატის საარჩევნო ქცევა საქართველოში
2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების მაგალითზე

დათო დოლაბერიძე
ქეთევან გელაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: dato.dolaberidze828@sps.tsu.edu.ge
ketevan.gelashvili906@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ნებისმიერი დემოკრატიული კონსტიტუციისთვის ხალხის სუვერენიტეტი ამოსავალი პრინციპია, რომლის გამოვლინებაა არჩევნების გზით ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების ფორმირება. არჩევნების საკითხი საქართველოში, ბოლო პერიოდის ყველაზე აქტუალური თემაა, საზოგადოებას აინტერესებს, თუ როგორი იყო ამომრჩეველთა აქტივობა, რამდენმა ადამიანმა მისცა ხმა, რატომ მიღის ასე ცოტა ადამიანი არჩევნებზე, რა ინვეს მათ ინერტულობას და ა.შ.

კვლევის მიზანია, განისაზღვროს ამომრჩეველთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები, საარჩევნო გარემო, ამომრჩევლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, მათი ქცევა და დამოკიდებულება პარტიებისადმი.

კვლევითი კითხვები შემდეგია: რა არის არჩევნებში მონაწილეობა-არ მონაწილეობის მიზეზები, როგორია დამოკიდებულება, ქცევა პარტიების მიმართ, ასახავს თუ არა კონკრეტული მოქალაქის შეხედულებებს კონკრეტული პარტია, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არჩევნებში ხმის მიცემისას და რით ხელმძღვანელობენ ამომრჩევლები გადაწყვეტილების მიღების დროს.

საკითხი ეფუძნება რაოდენობრივ კვლევას, კერძოდ - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC), კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ბაზებს. ნაშრომი ძირითადად იქნება მეორადი წყაროების ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოხდება - NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის ივლისი; NED: თბილისის გამოკითხვა საჯარო პოლიტიკის შესახებ, 2021 წლის აგვისტო; ISFED: გამოკითხვა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, 2021 წლის (აგვისტო-სექტემბერი) კვლევის შედეგების შედარება და თემისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების ამოღება.

ჩვენი ორიგინალური კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები ასე გამოიყურება: გარკვეული ლიდერების მიმართ სიმპათია/ანტიპათია, ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განათლების საფეხური, დასახლების ტიპი, რომელიც განსაზღვრავს ამომრჩეველთა ქცევას. ამასთანავე, ძირითადი ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხი დაბალია, ამომრჩეველი ვერ ხედავს სასურველ პარტიას ან კანდიდატს, ვისაც მისცემს ხმას, შეინიშნება გულგრილობა პოლიტიკის მიმართ და პარტიებს მყარი ელექტორალური ბაზა მხოლოდ ნაწილობრივ გააჩნიათ.

საკვანძო სიტყვები: ამომრჩეველთა ქცევა, ელექტორატი, თვითმმართველობის არჩევნები, პარტია

შესავალი

არჩევნები ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ყველაზე ფართომასშტაბიანი და გარდამტეხი ეტაპია, მასში მოსახლეობის უდიდესი ნაწილია ჩართული, რომელიც წყვეტს ქვეყნის მომავალს. როგორც წესი, სწორედ თავისი წარმომადგენლების, რეფერენდუმში, არჩევნებში, პლემბისციტში ჩართულობით და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით ახორციელებს თავის ხელისუფლებას საზოგადოება, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს წარმოადგენენ (საქართველოს კონსტიტუცია).

ერთია არჩევნების ჩატარება და მეორე ის, თუ როგორ აღიქვამს მას ხალხი. ლეგიტიმიზაცია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უმნიშვნელოვანესია, იგი ვერ იარსებებს საზოგადოებრივი

მხარდაჭერის გარეშე და ეფუძნება ადამიანის თანხმობას, იყენენ მართულნი (ლეველენი, 2017). სწორედ ამიტომ, მათი მხრიდან უკუკავშირი გარდამტეხს ხდის პროცესს.

სამეცნიერო წრეებში, ხშირია და საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია საუბრები ამომრჩეველთა ქცევის შესწავლაზე. პარტიებისთვის, პოლიტიკოსებისთვის, ინტერესთა ჯგუფებისთვის, კრებსითად, საზოგადოებისთვის, საინტერესოა თუ რა ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველის ეთნიკურობა, სქესი, განათლების დონე, საცხოვრისი, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა კერძო ფაქტორი ელექტორალურ ქცევაზე. გარდა იმისა რომ ეს პროცესი საინტერესოა, მას კორელაცია აქვს პროპაგანდისტულ, პროგნოზისტულ, საინფორმაციო, შემეცნებით და სხვადასხვა ტიპის ფუნქციებთან, რაც ეხმარება დაინტერესებულ ჯგუფებს თავისი დღის წესრიგი შესთავაზოს საარჩევნო უბანზე მისულ მოქალაქეს (ბაგრატია, 2020).

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე რეკორდული რაოდენობის აქტივობა შეინიშნებოდა, მიუხედავად პანდემიისა - პირველ ტურზე 51,91%, მეორეზე კი 49,09%, რაც ორივე შემთხვევაში აჭარბებს როგორც პირველ, ისე მეორე ტურზე გამოცხადებულ მოქალაქეთა რაოდენობას, გასულ წლებთან შედარებით.

სწორედ ჩვენი კვლევის მიზანია, განისაზღვროს ამომრჩეველთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაგალითზე, თუ რის მიხედვით აკეთებს ელექტორატი არჩევანს კანდიდატებს შორის. რომლის მიკვლევაშიც შემდგომი ამოცანები დაგვეხმარება: გაირკვეს თუ რა განაპირობებს ამომრჩეველთა მსგავს დამოკიდებულებას, აქტივობას უბანზე, როგორ აფასებენ პარტიებს, მათ ლიდერებს, რამდენად ენდობიან სხვადასხვა ინსტიტუტებს, ეს საერთო ჯამში, მოგვცემს სურათს, რომელიც ასახავს არჩევნების შედეგებს, ამომრჩეველის პოზიციას, რაც შემდგომში უკვე ყალიბდება ამომრჩეველის ქცევად.

საკვლევი კითხვებია: რა უბიძგებს ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობა-არ მონაწილეობაზე, როგორია დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ, ასახავენ თუ არა ისინი ამომრჩეველთა შეხედულებას, ზოგადად რა საკითხებს ანიჭებენ უპირატესობას ხმის მიცემის დროს, რითი ხელმძღვანელობენ საარჩევნო უბანზე და კაბინაში ყოფნისას?

ელექტორატის ქცევა და მისი შესწავლა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, თუ რა პოზიცია, შეხედულება გააჩნია მას, როგორ აღიქვამენ, აფასებენ მოვლენებს, რის გაკეთებას აპირებენ ამის საპირისპიროდ. იმისათვის, რომ ეს განვსაზღვროთ, აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ სოციოლოგიურ კვლევებს, შევაფასოთ რესპონდენტთა პასუხები, მოვახდინოთ მათი შედარება სხვა ფაქტებთან, რაც შემდგომში უკვე მოგვცემს დასკვნების გამოტანის საფუძველს.

ლიტერატურის მიმოხილვა

დღეს, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს. ქვეყნები, საზოგადოებები, თუ ინდივიდები ცდილობენ დაამკვიდრონ და დაიცვან დემოკრატიული ღირებულებები, იმისათვის, რომ შექმნან უკეთესი საცხოვრებელი/საარსებო გარემო. როგორც ჩერჩილმა თქვა: „დემოკრატია ყველაზე საშინელი მმართველობის ფორმაა, მაგრამ მასზე უკეთესი არ არსებობს“ (International Churchill Society , 2016) დღეს მმართველობის არსებულ ფორმებს შორის

დემოკრატია საუკეთესოა, რომლის დასამკვიდრებლად მთელი მსოფლიო იღვწის. არჩევნები, მასში მონაწილეობა, ადამიანთა საარჩევნო ქცევა კი მისი ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომლის გარეშეც დემოკრატიის არსებობა ვფიქრობთ უტოპიაა.

ელექტორატის შეხედულებაზე შეიძლება არაერთმა ფაქტორმა მოახდინოს გავლენა, მათ შორის: მედიამ, მის ირგვლივ არსებულმა სოციუმმა, გარემომ სადაც ის ცხოვრობს და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ შიდა პროცესები და გარე გავლენები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ხმის მიცემის გადანყვეტილებაზე, ცხადია ის ჭეშმარიტად ცვლის დემოკრატიული გადანყვეტილებების მიღების ხარისხსაც. ბრუტერი და ჰარისონი ფიქრობენ, რომ გადანყვეტილება არ არის უბრალო უპირატესობის გამოხატულება, რადგან ამომრჩევლებს აქვთ „როლი“ არჩევნებში და შეუძლიათ განასხვავონ/არჩევანი გააკეთონ „მსაჯებსა“ და „მხარდამჭერებს“ შორის (Michael Bruter, 2020). ბრუტერისა და ჰარისონის შეხედულება საკმაოდ კარგად ასახავს, თუ რა როლი აქვს ამომრჩეველს და რომ არჩევნებში მონაწილეობა, ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ფიქრობენ, რომ „საჩუქარია“ შეძლო განსხვავება და არჩევანის გაკეთება, ორ ან მეტ სუბიექტს შორის.

ამომრჩევლის ქცევაზე ხშირად გავლენას ახდენს ამომრჩევლის ლოიალობა. უფრო კონკრეტულად კი, ელექტორატში გარკვეულწილად არსებობს კმაყოფილების „ნაზავი“ და გარდა ამისა, საინტერესოა თუ როგორ განიხილავს საკითხებს სხვადსხვა მხარე. არსებობს კორელაცია, წინამდებარე ასპექტებს შორის: როგორ პოულობს ამომრჩეველი კმაყოფილებას იმით, რასაც პარტიამ მიაღწია, თუ როგორ გაუმკლავდა სიტუაციას, და შემდეგ განზრახვას, რომ კვლავ მისცეს ხმა იმავე პარტიას (Thomas R. Palfrey, n.d.). ამომრჩევლისთვის მინოდებული ინფორმაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმაზე, თუ ვის მისცეს ხმა, არამედ საერთოდ აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას და შესაბამისად, ხმის მიცემას. აღნიშნულს, პალფრეი და პუელი განიხილავენ თავიანთ ნაშრომში - ინფორმაციისა და ხმის მიცემის ქცევის შესახებ. ეს ელემენტები პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ სად დევს მხარის იდენტიფიკაცია. ეს დიდწილად განპირობებულია პარტიული დღის წესრიგის ხელმისაწვდომობისა და განხილული თემების გაგებისა და აღიარების უნარით. სქოფილდთან და რივზთან კომბინაციისას, აღინიშნება, რომ იდენტიფიკაციის პროგრესი მოდის აღიარებიდან და ლოიალობა მოჰყვება იმას, თუ რამდენად კმაყოფილები არიან პარტიით, მისი „მოვალეობის“ შესრულებით და თუ ისინი კმაყოფილებას ვერ იპოვიან, მაშინ შემდეგ არჩევნებზე, განმეორებითი კენჭისყრის ალბათობა მაღალია (T.R Palfrey, K.T Poole, 1987).

საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებით საუბრისას არის რამდენიმე საინტერესო ფაქტორი, რომლებიც გასათვალისწინებელია და ამ შემთხვევაში, ხმის მიცემის სამი ფაქტორი, რომელიც ორიენტირებულია კვლევაზე, ეს არის: კლასი, სქესი და რელიგია (Diener, 2020). პირველ რიგში, რელიგია ხშირად არის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქის მიერ პარტიის არჩევაზე. ბოლო წლებში, ხმის მიცემის ეს გაყოფა გადავიდა პროტესტანტების წინააღმდეგ, კათოლიკეების შემფოთებისგან და უფრო მეტი ყურადღება გაამახვილა რელიგიურ და არარელიგიურ მიდრეკილებებზე. მეორე გავლენიანი ფაქტორი არის კლასი. თუ რომელიმე მათგანი ითვლება მუშათა კლასში, ისინი, როგორც წესი, უფრო ხშირად უჭერენ მხარს პოლიტიკური სკალის მარჯვენა მხარეს მყოფ პარტიას, მაშინ როცა საშუალო კლასის ამომრჩევლები უფრო მეტად იდენტიფიცირდებიან პოლიტიკური შკალის მარცხენა მხარეს

არსებულ პარტიასთან. და ბოლოს, ეს არის სქესის გავლენა. ქალები უფრო მეტად უჭერენ მხარს მემარცხენე პარტიებს. ამის ერთ-ერთი ახსნა არის დასაქმება, რადგან ქალები უფრო ხშირად მუშაობენ საჯარო სექტორში. მემარცხენე პარტიები, როგორც წესი, მხარს უჭერენ უფრო ჩართულ კეთილდღეობის სახელმწიფოს და უფრო მეტ დაფინანსებას საჯარო სექტორის სამუშაოებისთვის, ხოლო ადამიანები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სამსახურზე სამთავრობო სექტორში, ისარგებლებენ მემარცხენე პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგით. ხმის მიცემის მრავალი ქვეყა ურთიერთდაკავშირებულია და ხშირად ერთმანეთზეა აგებული. ეს ფაქტორები ერთმანეთთან (შედგებად, არჩევნების შედეგებთან) მჭიდრო კავშირშია, თუმცა ისინი განსხვავებულია და ინარჩუნებენ თავ-თავის დონეს, რაც რა თქმა უნდა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე და მასში არსებულ მდგომარეობაზე. არ არსებობს პოლარიზაციის უნივერსალური ახსნა და არ არსებობს ზოგადი პასუხი, რომელიც ხსნის ყველა დემოკრატიული ქვეყნის პოლარიზაციას (Brooks C., Nieuwbeerta P. & Manza J., 2006). თითოეულ ფაქტორს (არჩევნებში მონაწილეობის მიზეზები), მნიშვნელობისა და ზეგავლენის სხვადასხვა დონე გააჩნია, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის საარჩევნო სისტემაზე, იმაზე, თუ რომელი ქვეყანა ხმის მიცემის როგორ სისტემას იყენებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოება, სადაც ადამიანი იზრდება, დიდ გავლენას ახდენს პიროვნების დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და ცვლაზე. ლაზარსფელდმა და ბერელსონმა იკვლიეს, თუ რა ახდენს გავლენას ინდივიდის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე და დაასკვნეს, რომ მემკვიდრეობით, მშობლიდან შვილზე ხდება ელექტორალური ქმედებისა და არჩევანის გადასვლა, ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ამომრჩეველია. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს იმის ალბათობა, რომ ერთ სახლში მცხოვრები ზრდასრული ადამიანები, რომლებიც იგივე პარტიას/კანდიდატს მისცემენ ხმას, წარმოადგენს 90%-ს (Lazarsfeld P.F, Berelson B. & Gaudet H, 1944).

როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ დადის არჩევნებზე და ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ახსნა აქვს. ცხადია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პოლიტიკის მეცნიერი გია ხუხაშვილი აღნიშნავს, რომ ელექტორალური დისტანცირებულია პოლიტიკური ელიტისგან და ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ ჰყვას ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპორტიუნა ((for.ge), 2016), რაც უთუოდ ახდენს გავლენას ადამიანთა პოლიტიკურ ჩართულობაზე და შესაბამისად, იწვევს აბსენტეიზმს.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები გამორჩეული იყო დემინფორმაციული სახის კამპანიებითაც. მანიპულაციური ინფორმაცია საკმაოდ მძლავრი „იარაღი“ იყო ოპონენტებს შორის (IDFI, 2021). ყოველივე ეს კი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა ამომრჩეველზე, იწვევდა მათ დაბნეულობას და არ აძლევდა ჯანსაღი დებატებისა და მსჯელობის საშუალებას, რამაც ცხადია გამოიწვია ელექტორალის გულგრილობა და არჩევნებზე პასიურობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა თუ შეფასებებისა, არაერთი ექსპერტი გამოთქვამს საკუთარ აზრს და საბოლოოდ, უმრავლესობა თანხმდება, რომ ამომრჩეველთა საარჩევნო ქვეყა, ერთგვარად განსაზღვრავს პოლიტიკის „დღის წესრიგს“ და აბსენტეიზმში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, როგორც მსოფლიოში, ასევე - საქართველოში, რომელსაც

არაერთი ფაქტორი იწვევს და მისი მოგვარება, ჯერ-ჯერობით პარადოქსადაც კი ეჩვენებათ (გვეჩვენება).


კვლევის მეთოდოლოგია

საკითხი ეფუძნება სოციალურ მეცნიერებათა რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ბაზების შესწავლას - 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოების განწყობის კვლევას საქართველოში, 2021 წელს ISFED-გამოკითხვას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით და 2021 წლის აგვისტოში NED-ის გამოკითხვას თბილისში, საჯარო პოლიტიკის საკითხების შესახებ, რომელზეც იმუშავა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC).

ნაშრომი ძირითადად იქნება მეორადი წყაროების ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოხდება ჩატარებული კვლევების შედეგების შედარება, გააზრება და საკითხისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების გაანალიზება.


შედეგები/დისკუსია

სანამ დავიწყებთ უშუალოდ ამომრჩეველთა ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებზე საუბარს, განვიხილოთ გასული დეკადიდან დღემდე ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტიუობა, რაც არ არის მაღალი - უბანზე 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა 49% გამოცხადდა, 2014 წლის პირველ ტურზე 43,31%, მეორე ტურზე 35,99%, 2017 წელს პირველზე 45,65%, მეორეზე 33,24%, მაქსიმალური იყო ამომრჩეველთა რაოდენობა 2021 წლის პირველსა და მეორე ტურებზე, 51,92% და 49,09%. არსებული სტატისტიკა გარკვეულ ნიადაგს შეგვიქმნის უკეთესი წარმოდგენა გვექონდეს ამომრჩეველთა დამოკიდებულებებზე საარჩევნო პროცესების მიმართ.



დიაგრამა N1 (წყარო: <https://cesko.ge/>)


ახლა კი უშუალოდ კვლევაზე გადავიდეთ და განვიხილოთ მონაცემთა ბაზები, რომელთა ანალიზის შედეგად, სხვადასხვა ცვლადების კომბინირების გზით, ჩვენთვის საინტერესო დეტალებს მივაკვლიეთ.



დიაგრამა N2 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/VOTLCL4/>)


ლაზერფელდის (Lazarsfeld, P. F.) ბერელსონის (Berelson, B.) და გოდეს (Gaudet, H) მიხედვით ახალგაზრდა ამომრჩეველსა და მისი მშობლის თაობის წარმომადგენელს შორის საარჩევნო ქცევის კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც ნიშნავს იმას რომ ასაკი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ხმის მიცემისას. მონაცემთა ცვლადების კომბინირების მეშვეობით შემდგომი დეტალი გამოვკვეთეთ.

2021 წლის ივლისში NDI-ის გამოკითხულთა 61% აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში, 10% დარწმუნებით უარს ამბობდა არჩევნებში მონაწილეობაზე, 6% კი იყო გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. ჩვენ დაგვაინტერესა ვინ იყვნენ ის გამოკითხული ადამიანები, რომლებმაც დააფიქსირეს მსგავსი ტიპის მოსაზრება, ამიტომაც აღნიშნულ შეკითხვას დავადეთ მეორე ცვლადი, რომელიც ასახავს რესპონდენტის ასაკს და ცვლადების კომბინირების ასეთი შედეგი მივიღეთ, 18-34 წლის ასაკის ამომრჩეველთა 60%, ხოლო 55+ ასაკის ამომრჩეველთა 78% დარწმუნებულია რომ ჩაერთვება საარჩევნო პროცესში, რაც გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ ასაკი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა აქტიუობაზე.



დიაგრამა N3 (წყარო: NED <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/VOTLCL4-by-AGEGROUP/>)


ამავე შეკითხვას დავადეთ განათლების დონის ცვლადიც, გვინტერესებდა განსაზღვრავს თუ არა ამომრჩევლის ქცევას განათლების საფეხური, საინტერესო შედეგი მივიღეთ. საშუალო და დაბალი განათლების საფეხურის მქონე ადამიანთა 54% აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში, ხოლო უმაღლესი განათლების საფეხურის მქონე - 72%. ფაქტია, რომ მათ შორის განსხვავება 18%-ია.



დიაგრამა N4 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/VOTLCL4-by-RESPEDU/>)


კლემ ბრუკსის (Clem Brooks), პოლ ნიუბერტასა (Paul Nieuwbeerta) და ჯეფ მანზას (Jeff Manza) შეხედულებათა მიხედვით - ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, გარემოება, სტატუს კვო, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, რომელიც უბანზე მიდის და სასურველ კანდიდატს უჭერს მხარს. ამ კუთხით ავტორებმა გამოკვეთეს პოლარიზაციის საკითხი, რომელიც საზოგადოებას ყოფს ორად, რამდენიმე ბანაკად და შუღლს აღვივებს ორივე მათგანში. მათვე აღნიშნეს ამომრჩეველთა გათვითცნობიერების ღონე გარკვეული საკითხების მიმართ, მნიშვნელობა, ზეგავლენა, დამოკიდებულება ქვეყნის საარჩევნო სისტემის და ხმის მიცემის სტილის მიმართ. ამიტომაც, ამ საკითხების ასახსნელად შესაბამისი მონაცემიც მოვიძიეთ.

NED-ის 2021 წლის აგვისტოს ჩატარებული კვლევისას ასეთი შეკითხვა დაისვა - „რა არის იმის მთავარი მიზეზი, რომ აუცილებლად მიიღებდით მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?“ - გამოკითხულთა 71%-ის აზრით ეს მათი სამოქალაქო ვალი იყო. 7-7%-ს იყოფს მთავრობის შეცვლის წადილი და აზრობრივი კორელაცია პარტიასთან. უფრო ნაკლებისთვის კი მიზეზი მისი ხმის არ გაყალბება და მთავრობის მხარდაჭერაა.




დიაგრამა N5 (წყარო: NED <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/VOTEWHY/>)

ISFED-ის აგვისტო-სექტემბრის 2021 წლის გამოკითხვის მიხედვით გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხმის მიცემისას. ამ შემთხვევაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, 34%-ისთვის გარდამტეხი პარტიის საარჩევნო პროგრამა და დაპირებებია, 31%-ისთვის პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიმართ ნდობა, 27%-ისთვის თავად კონკრეტული პარტიის წარმომადგენლების მიმართ სიმპათია, უფრო ნაკლებისთვის კი პარტიის წარსული საქმიანობა და სხვა ფაქტორები.




**დიაგრამა N6 (წყარო ISFED: გამოკითხვა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, 2021
<https://caucasusbarometer.org/ge/is2021ge/ELIMPLIKLP/>)**

ლიდერის როლი იკვეთება სხვა გამოკითხვებშიც. შეკითხვაზე - „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიის ან კანდიდატის არჩევაზე თუ ვისაუბრებთ, რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?“ - გამოკითხულთა 46% ამბობს რომ მათთვის პარტიის ლიდერია უფრო მნიშვნელოვანი, ხოლო 28%-ისთვის პარტიის საპროგრამო ხედვა და დაპირებები.




დიაგრამა N7 (წყარო:NED <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/TBVOTDCD/>)

საგულისხმოა არჩევნებში არ მონაწილეობის მთავარი მიზეზებიც, რაც მნიშვნელოვნად ასახავს ამომრჩევლის დამოკიდებულებას, შეხედულებებსა და ქცევას. გამოკითხულთა 15%-ისთვის ხმის მიცემა არაფერს შეცვლის, 8%-ისთვის პოლიტიკა არ არის საინტერესო, 7%-ისთვის არცერთი პარტია იღებების გამტარი, ამიტომაც არც ერთს არ უჭერს მხარს.



დიაგრამა N8 (წყარო: ISFED shorturl.at/tyAHU)

მეორე კვლევაში, NED-ის 2021 წლის აგვისტოს ჩატარებულ გამოკითხვაში, იმავე შეკითხვაზე - თუ რატომ არ აპირებს გამოკითხული არჩევნებში მონაწილეობას, ან რატომ არ არის დარწმუნებული რომ ჩაერთოს პროცესში, შემდგომი ტენდენცია გამოიკვეთა - 26-26% ამბობს რომ მათ არ აინტერესებთ პოლიტიკა და არ მოსწონთ არც ერთი კანდიდატი/პარტია, 4-4%-ისთვის პრობლემას ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენს ამ საკითხთან დაკავშირებით და უბნამდე ვერ მისვლა, ტრანსპორტირების პრობლემის გამო, ყველაზე მეტი, 27% კი სხვა არგუმენტს ასახელებს.




დიაგრამა N9 (წყარო: NED <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/NOVOTEWHY/>)

თომას პელფრის (Thomas Palfrey) მიხედვით გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს პარტიის მიმართ ამომრჩევლის კმაყოფილების კუთხით, თუ როგორ გაართვა თავი მმართველმა, ანდა ოპოზიციურმა პარტიამ ამა თუ იმ პოლიტიკურ კრიზისს, როგორი პოზიცია ეჭირა საკანონმდებლო ორგანოში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ვის ან რას დაუჭირა მხარი კანონში ცვლილების შეტანისას, პოლიტიკის კეთებისას. აქვე საგულისხმოა ქეით პოლის (Keith Poole) ხედვაც, რომელმაც გვიბიძგა აგველო პარტიის ცვლადი ქცევის განსაზღვრისას. ავტორების მიხედვით მნიშვნელოვანია პარტიის მიმართ იდენტიფიცირება, რამდენად აღიქვამს, ანალიზებს, ხედავს ამომრჩეველი პარტიულ პოლიტიკას, გეგმას, საქმეს, რამდენად ლოიალურია მის მიმართ, ანდა გააჩნია თუ არა ელექტორალური ბაზა რომელიმე მათგანს. საგულისხმოა კმაყოფილების ინდექსიც. კმაყოფილია კი მოქალაქე არჩეული პარტიით, ვისაც მან მხარი დაუჭირა, აღიარებენ თუ არა მას ლეგიტიმურად, ასრულებს თუ არა დაკისრებულ მოვალეობას, თუ არა, ამომრჩეველთა ბაზის სიმყარე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაგვინტერესა როგორი იყო პარტიების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

ამომრჩეველთა ქცევა პარტიების მიმართ გარდამტეხია, რადგან სწორედ ისინი არიან მთავარი აქტორები მიმდინარე პროცესების, ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკურ ამინდს და რაღაც კუთხით, ელექტორატის პოზიციის ჩამოყალიბებასაც.


NED-ის 2021 წლის აგვისტოს ჩატარებულ გამოკითხვაში, დასმულ შეკითხვაზე - „ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას/გაერთიანებას მისცემდით ხმას? (%)\", საინტერესო სურათი

გამოიკვეთა - მხოლოდ 16% ასახელებს მმართველ პარტიას და ამბობს რომ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ იქნება მისი არჩევანი. 3% ასახელებს მთავარ ოპოზიციურ პარტიას - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, თითო-თითო პროცენტს ინანილებენ - საქართველოსთვის (გიორგი გახარია), „გირჩი - მეტი თავისუფლება“ (ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის) და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი), ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა კი არ იცის ვის, რომელ პარტიას უნდა მისცეს ხმა, ამდენივე პროცენტი უარს აცხადებს პასუხზე. ეს არის პარტიების მიმართ ქცევის ერთი მხარე, ახლა კი განვიხილოთ მეორე, რომელიც უფრო საინტერესოა.




დიაგრამა N10 (წყარო: NED <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/VOTPPELG/>)


NDI-ს მიერ დასმულ შეკითხვაზე - „რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“ (%) გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, 51% ამბობს რომ არცერთი. 18% ასახელებს მმართველ პარტიას, 6% კი - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. 10%-მა პასუხი არ იცის, 9% კი უარს აცხადებს მასზე. უკანასკნელი ორი დიაგრამა საკმაოდ კარგ წარმოდგენას გვიქმნის ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე, მათ ხედვებზე, საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ დამოკიდებულებებზე, რასაც ჩვენ დასკვნებში ავსახავთ.



დიაგრამა N11 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/PARTSUPP/>)




დიაგრამა N12 (წყარო: NDI shorturl.at/dzJY9)



დიაგრამა N13 (წყარო: NDI shorturl.at/hGIQU)


პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის პარლამენტი და მთავრობა, ცალსახად გამორჩეული ორგანოებია, რომელთა მიმართ ნდობის ხარისხი შესაბამისად მაღალი უნდა იყოს, თუმცა სტატისტიკა სულ სხვას გვიჩვენებს. NDI-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის 47% უარყოფითად აფასებს პარლამენტის, ხოლო 52% - მთავრობის საქმიანობას, რაც ხაზს უსვამს მათ მიმართ ნდობის ძალიან დაბალ მაჩვენებელს.



დიაგრამა N14 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/RATEGOV4-by-ETHNIC/>)


ფსიქოლოგიის პროფესორის, ედ დინერის მიხედვით (Ed Diener) ეთნიკურობა და სქესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოქალაქის მიერ ამა თუ იმ პარტიის არჩევაზე, ამიტომაც ცვლადების კომბინირების გზით ჩვენთვის საინტერესო დეტალებს მივაკვლიეთ.

ამავე გამოკითხვაში, ეთნიკურობის მიხედვით გამოკითხული მოსახლეობის პასუხებს შორის, აშკარა მკვეთრი სხვაობაა და მაგალითად, თუ ქართველი მოსახლეობის მხოლოდ 35% აფასებს მთავრობის საქმიანობას დადებითად, ეს მაჩვენებელი რადიკალურად განსხვავებულია აზერბაიჯანელ გამოკითხულ მოსახლეობასთან, რომელთა 53%-ს მოსწონს მთავრობის საქმიანობა, შესაბამისად, ეთნიკურობა გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანთა შეხედულებების ჩამოყალიბება-განვითარებაზე.




დიაგრამა N15 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/LOGGLEG/>)

როდესაც საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და ნდობის ხარისხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულო, მერი) საქმიანობას და NDI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან გამომდინარე, მოსახლეობის 41% ამბობს, რომ აღნიშნული ორგანო არ იღებს მისთვის/მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.




დიაგრამა N16 (წყარო: NDI <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/LOGGLEG-by-SETTYPE/>)

ხოლო, იგივე კითხვაზე დასახლების ტიპის მიხედვით გამოკითხული მოსახლეობიდან, დედაქალაქში მცხოვრებთა მხოლოდ 36%-ია კმაყოფილი ადგილობრივი მთავრობის საქმიანობით და სხვაობა აშკარად კარდინალურია, სოფელში მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით, რადგან მათ 51%-ს მოსწონს მათი მუშაობა.



დიაგრამა N17 (წყარო: ISFED <https://caucasusbarometer.org/ge/is2021ge/CECVTC/>)

ISFED-მა ჩაატარა გამოკითხვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, რომელიც საარჩევნო პროცესების წარმართვის მთავარი აქტორია, მისი ლეგიტიმაცია კი უდრის არჩევნების ლეგიტიმაციას. საგულისხმოა ხალხის ნდობის ხარისხის მაჩვენებელი ამ ინსტიტუციის მიმართ, რამაც ნათელყო, რომ ის არ სარგებლობს ადამიანთა დიდი ნდობით, რადგან გამოკითხული მოსახლეობის 33% მიიჩნევს, რომ ცესკო ხმებს არ ითვლის ზუსტად, რაც საკმაოდ მაღალია.



დიაგრამა N18 (წყარო: ISFED <https://caucasusbarometer.org/ge/is2021ge/CNDLELC/>)

და ბოლოს, საინტერესოა გამოკითხულთა ხედვაც, პროგნოზი თუ როგორ ჩატარდება 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები? რადგან ესეც ერთგვარად ასახავს ამომრჩევლის წინასწარ დამოკიდებულებას, როგორც პოლიტიკური პროცესების მიმართ, ისე ზოგადად, საარჩევნო გარემოსთან მიმართებით. აღნიშნული გამოკითხვა ISFED-მა ჩაატარა და სტატისტიკიდან გამომდინარე, გამოკითხულ ადამიანთა უმრავლესობა, კერძოდ 57% მიიჩნევს, რომ არჩევნები ჩატარდება დარღვევებით, რაც კვლავ ხაზს უსვამს ინსტიტუტების მიმართ უნდობლობას.

დასკვნა

გამოკითხულთა 52% თუ უარყოფითად აფასებს მთავრობის საქმიანობას, 47% პარლამენტის საქმიანობას, 41% თვლის რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არ იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, 33% არ ეთანხმება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ შედეგებს, ხოლო ამომრჩეველთა 57%-ს მიაჩნია რომ არჩევნები დარღვევებით წარიმართება - ეს ნიშნავს რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხი დაბალია; (პოლიტიკური აპათია) თუ ამომრჩეველთა 31%-მა არ იცის ვის მისცემს ხმას, 31% უარს აცხადებს პასუხზე და 16%-ს გადაწყვეტილი არ აქვს, წავა თუ არა არჩევნებზე - ვერ ხედავენ სასურველ პარტიას ან კანდიდატს, ვისაც მისცემდნენ ხმას, ეს არის გულგრილობა პოლიტიკის მიმართ.

თუ გამოკითხულთა 51% ფიქრობს, რომ არც ერთი პარტია არ ღვას მის შეხედულებებთან ახლოს - ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ პარტიებს მყარი ელექტორალური ბაზა მხოლოდ ნაწილობრივ გააჩნიათ.

თუ გამოკითხულთა 31%-სთვის ხმის მიცემის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი პარტიების ლიდერების მიმართ ნდობაა, ხოლო 46% ფიქრობს, რომ კანდიდატის არჩევასას მისთვის უფრო მნიშვნელოვანი პარტიის ლიდერია - მაშინ, გარკვეული ლიდერების მიმართ სიმპათია/ანტიპათია ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორია.

თუ 18-34 წლის ასაკის ამომრჩეველთა 16% ნამდვილად არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ხოლო 60% აუცილებლად მიიღებს და 55+ ამომრჩევლების 8% არ მიიღებს მონაწილეობას და 78% მიიღებს - მაშინ, ასაკი ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

თუ ქართული დასახლებების მცხოვრებთა 32%, ხოლო უმცირესობათა 53% უარყოფითად აფასებს მთავრობის საქმიანობას - მაშინ, ეთნიკური კუთვნილება ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

თუ საშუალო და დაბალი განათლების საფეხურის მქონე გამოკითხულთა 54% და უმაღლესი განათლების მქონეთა 72% ამბობს, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში - მაშინ, განათლების საფეხური ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორია.

თუ დედაქალაქში მცხოვრებთა 36%, ხოლო სოფელში მცხოვრებთა 51% ეთანხმება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს - მაშინ, დასახლების ტიპიც განსაზღვრავს ამომრჩეველთა ქცევას.

ბიბლიოგრაფია

- ბაგრატია თ. (2020). ქალი ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის ირაციონალური და რაციონალური ასპექტები. აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD) <https://cutt.ly/qYYjFS0>
- ლეველენი ტ. (2017), პოლიტიკური ანთროპოლოგია - შესავალი (მესამე გამოცემა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის გამომცემლობა. (თავი - 6)
- საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის ივლისი <https://caucasusbarometer.org/ge/nj2021ge/factsheet/>
- NED: თბილისის გამოკითხვა საჯარო პოლიტიკის შესახებ, 2021 წლის აგვისტო <https://caucasusbarometer.org/ge/da2021ge/codebook/>
- ISFED: გამოკითხვა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, 2021 <https://caucasusbarometer.org/ge/is2021ge/codebook/>
- ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) <https://cesko.ge/> (for.ge), გ. ბ. (2016). *For.ge*. <https://cutt.ly/hJtzT5r>
- Brooks C., Nieuwbeerta P. & Manza J. (2006). *Cleavage-based voting behavior in cross-national perspective: Evidence from six postwar democracies*. Social Science Research. <https://cutt.ly/1JtzUgj>
- Diener, E. (2020). *Subjective well-being: the science of happiness and a proposal for a national index*. <https://cutt.ly/hJtzOZ3>
- IDFI. (2021 წლის 3 დეკემბერი). *დემინფორმაცია და არჩევნები – 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეჯამება*. <https://cutt.ly/TJtzSN5>
- International Churchill Society* . (2016 წლის 25 February). *მოპოვებული THE WORST FORM OF GOVERNMENT*: <https://cutt.ly/xJtzGt9>
- Lazarsfeld P.F, Berelson B. & Gaudet H. (1944). *The people's choice: How the voter makes up his mind in presodental campaign*. New York: Columbia University press.
- Michael Bruter, S. H. (2020 წლის 26 May). <https://cutt.ly/tJtzJEh>
- T.R Palfrey, K.T Poole. (1987). *The Relationship between information, ideology and Voting Behavior*. American Journal of Political Science. The relationship between information, Ideology and voting behavior: <https://cutt.ly/qJtzKBE>
- Thomas R. Palfrey, K. T. (თ. გ.). *The relationship between information, ideology and voting behavior*. მოპოვებული <https://www.jstor.org/stable/2111281>



აფრიკის კოლონიალიზმი-გზა ეთნიკურ დაპირისპირებამდე

ნინო ხარაბაძე

თეკლა აბუანდაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino.kharabadze001@sps.tsu.edu.ge

E-mail: tekla.abjandadze016@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

დღევანდელი მსოფლიოს მიზანია მშვიდობის და მსოფლიო წესრიგის შენარჩუნება. როგორც ვხედავთ, 21-ე საუკუნეში კვლავ ვხვდებით სხვადასხვა სახის კონფლიქტს. ამ სტატიაში განხილული იქნება აფრიკის რეგიონი და მის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნო-კონფლიქტები. ეთნიკური კონფლიქტი არის დაპირისპირება ორ მეზობელ ეთნიკურ ჯგუფს შორის, რომელიც ხასიათდება აგრესიულობით და შეიძლება საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღოს. ეს თემა დღემდე აქტუალურია და ხშირად ვხვდებით აფრიკის ტერიტორიაზე მსგავს კონფლიქტებს, ამის მაგალითებია, ეთიოპიაში განვითარებული მოვლენები, რუანდას გენოციდი, კონგოს მეორე ომი, სამხრეთ სუდანში არსებული ეთნიკური დაპირისპირება, კონგოში არსებული კივე კონფლიქტი და მრავალი სხვა.

ნაშრომში შესწავლილია, თუ რა კავშირი არსებობს აფრიკის კოლონიზაციასა და დღევანდელ აფრიკულ კონფლიქტებს შორის. როგორც ვიცით, ბერლინის კონფერენციის შემდეგ აფრიკის ტერიტორია ევროპულმა სახელმწიფოებმა დაინაწილეს, ამ დაყოფისას ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, არც ადგილობრივ კულტურას, არც ეთნიკურ ჯგუფებს და ერთი ტომის ხალხს ევროპელთა მიერ გავლენილი საზღვრების სხვადასხვა მხარეს ტოვებდნენ. სტატიაში აქცენტი გაკეთებულია კოლონიალიზმის გავლენის შესწავლაზე აფრიკული კონფლიქტების განვითარებაში, განხილული იქნება მის მიერ შექმნილი ხელოვნური გარემო და ფაქტორები, რომლებიც ეთნიკურ დაპირისპირებებს ბიძგს აძლევს. ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა- აფრიკის კოლონიზაციის შემდეგ, რა ფაქტორებმა დაუდო საფუძველი კონფლიქტების განვითარებას, რომლებიც დღემდე გრძელდება?

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, სამაგიდო კვლევა, სხვადასხვა ნაშრომის ანალიზი და ა.შ. თავდაპირველად შესავალ ნაწილში განხილულია აფრიკაში არსებული პოსტ-კოლონიალური მდგომარეობა, სიტუაციის უკეთ აღსაქმელად აღწერილია კოლონიალიზმის დროინდელი პერიოდი, მოკლედ ააღწერა აფრიკის კოლონიზაციის შესახებ, რაც უფრო ნათელს გახდის აქ არსებულ მდგომარეობას, უკეთ შეგვეძლება დღევანდელი სიტუაციის გააზრება და აფრიკის მოსახლეობის მდგომარეობაში შესვლა. სტატიის ძირითად ნაწილში უშუალოდ საკვლევ კითხვას გავცემა პასუხი, ყველაფრის დეტალურად ასახსნელად მოკლედ განვიხილავთ ეთნიკურობისა და ეთნო კონფლიქტის მნიშვნელობებს. მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები რომლებიც ასახავს სტატიაში აღწერილ რეალობას.

საკვანძო სიტყვები - აფრიკა, აფრიკის კოლონიზაცია, კოლონიზაციის შედეგები, ეთნიკურობა, ეთნიკური კონფლიქტი, ეთნოკონფლიქტი.

შესავალი

აფრიკა ყველაზე ნათელი მაგალითია ეთნიკური კონფლიქტებისა. აფრიკის რეგიონის ქვეყნების ნახევარზე მეტს ბოლო სამი ათასწლეულის განმავლობაში მინიმუმ ერთნაირი შეიარაღებული კონფლიქტი მაინც აქვს გამოცდილი. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების რაოდენობა აფრიკაში ყველა სხვა რეგიონს მნიშვნელოვნად აჭარბებს. აფრიკის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი ცხოვრობს კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალებულ

ადგილებში. მართო საპარის სამხრეთით აფრიკაში 47 ქვეყნიდან, 32 ქვეყანაში 1980 წლიდან 126 შეიარაღებული კონფლიქტია მომხდარი. კონფლიქტების დაწყებიდან აფრიკაში დაპირისპირება დღემდე გრძელდება. დაბალშემოსავლიანი ქვეყნები, კონფლიქტების შემდგომ რთულად ახერხებენ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკურ განვითარებას. იმის გათვალისწინებით თუ როგორ შემცირდა ცხოვრების დონე თითქმის მთელი აფრიკის კონტინენტზე და რამდენად გაიზარდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სიღარიბე და შიმშილობა, რთულია არ აღვნიშნოთ რომ ეთნიკური და რასობრივი კონფლიქტი მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის განვითარებას ღარიბ ქვეყნებში (Venkatasawmy, 2015). ასეთია აფრიკის რეალობა დღეს, ცხადია იგი უფრო და უფრო უმჯობესდება და წინსვლას განიცდის, მაგრამ ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა წარმოუდგენელია. მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მოსაპოვებლად აუცილებელია ამ რეგიონის პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და მათი გამოსწორება.

საკვლევი კითხვის- აფრიკის კოლანიზაციის შემდეგ, რა ფაქტორებმა დაულო საფუძველი კონფლიქტების განვითარებას, რომლებიც დღემდე გრძელდება?- სწორად გააზრებისათვის აუცილებელია აფრიკის პოსტ-კოლონიალური ეპოქის განხილვა. მასზე საუბრისას და კოლონიალიზმის შედეგების აღწერისას აუცილებელია ამ პერიოდის გააზრება, მისი წამოწყების მიზეზების ცოდნა, პირობები, რომელშიც მაშინ ადამიანებს ცხოვრება უხდებოდათ და ა.შ. ამ შემთხვევაში უკეთ იქნება შესაძლებელი ამ პრობლემის გაანალიზება.

1870 წლებამდე ევროპელების ურთიერთობა აფრიკასთან მხოლოდ მონების ვაჭრობით შემოიფარგლებოდა და დანიტერესებულები იყვნენ ძირითადად სანაპირო ზოლით, რაც ამარტივებდა მათ მიმოსვლას ინდოეთთან. მონებით ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ ამ საქმიანობის ჩასანაცვლებლად ევროპელებმა დაინახეს აფრიკაში სხვა პოტენციური და დაიწყეს მისი სხვა ეკონომიკური მიზნებით გამოყენება და მათი ტერიტორიის ათვისება. აფრიკის გადანაწილებისათვის ბრძოლა 1870-იანი წლებიდან დაიწყო და ნელ-ნელა უფრო და უფრო მწვავე სახე მიიღო .

აფრიკის დაპყრობის ძირითადად სამი მიზეზი არსებობდა:

- ეკონომიკური-კაპიტალისტური ინდუსტრიალიზმის განვითარება მოითხოვდა ევროპულ სახელმწიფოებს ჰქონოდათ ნედლეულის მომწოდებელი ბაზარი. ცხადია აფრიკის მოსახლეობა წარმოადგენდა კარგ ბაზარს ევროპაში წარმოებული ჭარბი პროდუქციის გასაყიდად და აქვე შესაძლებელი იყო იათუად ნედლეულის მოპოვება. ცხადია ეს ეკონომიკის ზრდას უწყობდა ხელს და ასეთი „ბაზრის“ არსებობა ხელს უწყობდა ევროპული სახელმწიფოების გამდიდრებას. ასევე იათუი ნედლეული შესაძლებლობას ქმნიდა უფრო იათუად მეტი პროდუქცია ეწარმებინათ (Mensah, 2015).
- სოციალური-ინდუსტრიალიზაციის შედეგად მრავალი სოციალური პრობლემა გაჩნდა ევროპაში, მაგალითად უმუშევრობა, ხელმოკლეობა, მრავალი ოჯახი სახლის გარეშე დარჩა, ბევრი შიმშილის ზღვარზე იყო. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სახელმწიფოები ვერ ახერხებდნენ ჭარბი მოსახლეობის დასაქმებას, კოლონიების შექმნამ კი მათ საშუალება მიცათ ჭარბი უმუშევარი მოსახლეობა კოლონიებში გადაესახლებინათ და იქ დაესაქმებინათ. ასევე ამ შესაძლებლობას ქრისტიანობის გასავრცელებლადაც იყენებდნენ (Boahen, 1985).
- პოლიტიკური-ცხადია ამ პერიოდში ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ. ისინი უპირატესობისთვის

იბრძოდნენ, იქნებოდა ეს ეკონომიკური უპირატესობა თუ სხვა. აფრიკის კოლონიზაციით ისინი თავიანთ სიძლიერესა და შესაძლებლობებს ამტკიცებდნენ, კოლონიის ქონა პრესტიჟს ნიშნავდა. საფრანგეთი ევროპაში დაკარგული ტერიტორიის სანაცვლოდ კოლონიებით ცდილობდა თავისი ტიტულისა და ძლიერების დამტკიცებას, მას პრესტიჟის აღდგენა სურდა, ინგლისს ბრიტანეთის იმპერიის გაფართოების და ჰეგემონობის მოპოვების სურვილი ჰქონდა, დანარჩენ სახელმწიფოებს კოლონიური იმპერიის შექმნა სურდათ, არსებული კოლონიების გაფართოება და კონტინენტზე უპირატესობის დამტკიცება. კარგად ჩანს, რომ აფრიკის კოლონიზაცია პოლიტიკური ომი იყო ტიტულის მოსაპოვებლად (Boahen, 1985).

აფრიკის ტერიტორიისათვის ბრძოლა იმდენად კონკურენტული იყო, რომ 1884-1885 წელს ბერლინის კონფერენციის ჩატარებაც კი გახდა საჭირო, რომელზეც აფრიკის ტერიტორია ევროპულმა სახელმწიფოებმა დაინაწილეს და განსაზღვრეს თავიანთი გავლენის სფეროები. ამ კონფერენციას არც ერთი აფრიკის წარმომადგენელი არ დასწრებია. გადანაწილებისას არ გაუთვალისწინებიათ არც კულტურული და არც ეთნიკური საზღვრები. ერთი ტომის ხალხი ევროპულმა საზღვრებმა სხვადასხვა მხარეს დატოვეს (ვახანია, 2013).

ცხადია კოლონიზატორებს არ აინტერესებდათ აფრიკული სახელმწიფოების განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობა, განათლება და სხვა. მათ ერთადერთი მიზანი ჰქონდათ რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახათ ამ ხალხისა და ტერიტორიისაგან. საშინელ პირობებში აცხოვრებდნენ ამ ადამიანებს, მაგალითად კონგო ბელგიის კოლონიად ითვლებოდა ბერლინის კონფერენციის შემდეგ. ამ კონფერენციამ კონგოს სუვერენად ლეოპოლდ II, ბელგიის მეფე, აღიარა. ლეოპოლდი ბელგიის ისტორიაში გმირ მეფედაა წოდებული, მაგრამ აფრიკის ტერიტორიაზე იგი სასტიკი მმართველი იყო. მან კონგოს თავისუფალ სახელმწიფოში დაამყარა სრული დიქტატურა, მოსახლეობას ამომშობებდა, უმიზეზოდ აწამებდა, ვინც ცოტა მოსავალს აიღებდა ან ყველას დასანახად სჭიდა ან კლავდა. მოსახლეობას ან კლავდნენ ან გაუსაძლისი პირობების გამო იხოცებოდნენ, კონგოს მოსახლეობა 1884 წელს 30 მილიონს შეადგენდა, 1915 წელს კი 15 მილიონს. ლეოპოლდის დიქტატურამ მოსახლეობის ნახევარი შეიწირა (ლეოპოლდ II ბელგიის გმირი მეფე, 2015). სამხრეთ აფრიკაში კანონის თანახმად შავკანიან მოსახლეობას უფლება არ ჰქონდა მიწის მფლობელი ყოფილიყო, აქ ასევე არსებობდა ცალკე დასახლებები თეთრკანიანი მოსახლეობისათვის და ცალკე შავკანიანებისათვის, ზოგჯერ ფერადკანიანებს გადაადგილებაც კი ეკრძალებოდათ სპეციალური თანხმობის გარეშე. ასეთი მაგალითი უამრავია, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას ძირითადად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა სტატია და ნაშრომი ამ თემის გარშემო, გამოვიყენეთ როგორც ქართული ასევე უცხოენოვანი წყაროები. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია აფრიკის კოლონიალიზმის გამომწვევი მიზეზები და არსებული პირობები. სტატიის ძირითად ნაწილში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა არსებული პრობლემა და ჩვენი საკვლევი კითხვისთვის მაქსიმალურად ამომწურავად გავვეცა პასუხი. ნაშრომში განხილული გვაქვს რამდენიმე კერძო შემთხვევა მეტი თვალსაჩინოებისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ პრობლემის სიმწვავე აუცილებელია ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეთნიკურობა და ეთნო-კონფლიქტი. თავდაპირველად, გავარკვიოთ რა არის „ეთნიკურობა“. ეთნიკურობის მთავარი ორი დამახასიათებელია ის, რომ იგი არ არის შემთხვევითი ან ბუნებრივი, არამედ იგი სოციალური აქტორების შეგნებული ძალისხმევის პროდუქტია. ასევე ეთნიკური ნიშნები არა მხოლოდ ძალადობასა და კონფლიქტებში ვლინდება, არამედ თანამშრომლურ ურთიერთობებშიც. ეთნიკური აზროვნება ეთნიკურ ჯგუფებზეა ორიენტირებული. ეთნიკური ჯგუფები ისეთი ჯგუფებია, რომელთა წევრობაც ჩვეულებრივ ემყარება საერთო ისტორიას, წარმოშობას, ენას, რელიგიას, კულტურულ და ტერიტორიულ ერთობას. ანალიტიკოსების უმრავლესობა ეთანხმება ეთნიკური ჯგუფების ძირითად შემადგენელ ელემენტებს, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაზე თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ისინი, რატომ ხდება ეთნიკურობის წარმოშობა, რატომ გამოიხატება ის ზოგჯერ ძალადობრივ კონფლიქტებში და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის რომ არ მოხდეს მისი უარყოფითი მხარეების გამოვლენა (Ukiwo, 2005). რაც შეეხება ეთნიკურ კონფლიქტს, ესაა დაპირისპირება სახელმწიფოს ხელისუფლებასა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფს შორის, ასევე ამ ტერმინში შეიძლება მოიაზრობდეს მეზობლად მცხოვრები ტრადიციულად შეუმწყნარებელი ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთში დაპირისპირება და სისხლიანი კონფლიქტი, ორ ან მეტ ეთნიკურ ჯგუფს შორის ყოფით ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი (ალექსიძე, 2005). ზოგჯერ რეგიონები, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან. ხშირად ეს ახდენს კონფლიქტის პროვოცირებას. ეთნიკური კონფლიქტი შეიძლება კიდევ უფრო გამძაფრდეს, თუ ამ ხალხთან ახლოსაა ისტორიული სამშობლო (ირედენტიზმი), ან სეპარატიზმის, კერძოდ, მისი უკიდურესი ფორმის, სეცესიის სახე მიიღოს (გამოეყოს არსებულ სახელმწიფოს და ჩამოყალიბდეს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად). (დავითაშვილი, 2001).

მაინც რა ხდება ეთნოკონფლიქტების მიზეზი, ამას უამრავი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ზოგი თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ შიშის ფაქტორი თამაშობს უდიდეს როლს, როდესაც ერთ ეთნიკურ ჯგუფს ემინია მეორეს მხრიდან ძალადობის იგი ცდილობს დაასწროს მას და დაამტკიცოს თავისი უპირატესობა (Violence in Twentieth century Africa, 2016), შეიძლება უსამართლობის განცდის გრძნობაც გახდეს, თუ ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონი გამოირჩევა სიღარიბით, სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით მათ შეიძლება პრეტენზია გამოთქვან და დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს და ყველაზე ცუდ ვარიანტში გამოყოფა მოითხოვონ (დავითაშვილი, 2001). მაკლ ბრაუნი გამოყოფს ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევ 4 მიზეზს: სუსტი სახელმწიფოები, პოლიტიკური პრობლემები, ეკონომიკური პრობლემები და კულტურული პრობლემები. შეიძლება ოთხივე ერთად გახდეს ეთნიკური დაპირისპირების მიზეზი ან ცალკეულები (Tepfenhart, 2013). ცხადია ეს საკითხი ცალკე ძალიან ფართო თემაა.

ცხადია არსებობს ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი უამრავი მიზეზი, მაგრამ ჩვენ გვსურს ამ მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ კოლონიალიზმის გავლენაზე და მის როლზე ეთნიკურ დაპირისპირებებში, კერძოდ, აფრიკის რეგიონში. კოლონიური მმართველობა

პოლიტიკური ეთნიკურობის წყაროდ იქცა. კოლონიურმა მთავრობებმა ძალიან მცირე ადმინისტრაციული ყურადღება დაუთმეს ფართო კოლონიურ ტერიტორიებს და ძირითადად ადმინისტრირება ხარჯების ანაზღაურებისკენ მიმართეს. ამგვარმა კოლონიურმა პოლიტიკამ შეცვალა ტრადიციული ძალაუფლების ურთიერთობები და ამავედროულად საფუძველი დაუდო ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტენსიურ პოლიტიკურ კონკურენციას. დეკოლონიზაციის პროცესმა ასევე ხელი შეუწყო პოლიტიკურ ეთნიკურობას. დავიწყობთ იქიდან, რომ ნაციონალისტურმა მოძრაობამ განაპირობა ეთნიკური ჯგუფების მობილიზება პოლიტიკაში. პოლიტიზირება შეიცვალა პოლიტიკური ეთნიკურობით, მას შემდეგ ნაციონალისტურმა მოძრაობამ დაიწყო დაშლა დამოუკიდებლობის ზღვარზე, რადგანაც უკვე დეკოლონიზაციის შემდგომ ლიდერები კოლონიური ძალაუფლების მემკვიდრეობის მიხედვით მანევრირებდნენ (Ake, 1993).

რუანდას მაგალითი

კოლონიური მემკვიდრეობის ორმა ასპექტმა განსკუთრებული გავლენა მოახდინა შემდგომში აფრიკაში მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებზე. პირველ რიგში, ერთმანეთში აფრიკის რეგიონის გაყოფისას, კოლონიურმა ძალებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს არსებული ეთნიკური ჯგუფების ბუნებრივ საზღვრებს. თითოეული კოლონია მოიცავდა რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს მის ახლად დაწესებულ ტერიტორიულ საზღვრებში და ისეც ხდებოდა, რომ მრავალი ეთნიკური ჯგუფი იყოფოდა ორ ან მეტ კოლონიას შორის. დამოუკიდებლობის მოპოვებით, ამ ხელოვნურად შექმნილმა საზღვრებმა უკვე მოიპოვეს საერთაშორისო ლეგიტიმაცია როგორც ახალი სუვერენული სახელმწიფოების საზღვრებმა. თუმცა, მაშინვე დაიწყო კონფრონტაცია გეოგრაფიულად განაწილებულ ეთნიკურ ჯგუფებს და სახელმწიფო საზღვრებს შორის (Blanton, 2001). მაგალითად რუანდას შემთხვევაში, მათ ორი ეთნიკური ჯგუფი ტუტსი და ჰუტუ ერთმანეთს დაუპირისპირეს. ცხადია ამ ორ ტომს შორის კოლონიანმდელ პერიოდშიც არსებობდა უთანასწორობა, ტუტსი კოლონიალიზმამდეც პრივილეგირებული ტომი იყო, რადგან მეცხოველეები იყვნენ და ეს პრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა, განსხვავებით მიწათმოქმედ ჰუტუსგან. გერმანელმა კოლონიზატორებმა ეს პრობლემა უფრო გაამწვავეს, როდესაც ტუტსის ხალხს ადმინისტრაციული როლის შესრულება დააკისრეს, ჰუტუს ხალხი კი უგულვებელყოფეს და მმართველობას თითქმის მთლიანად ჩამოაცილეს. თავდაპირველად (გერმანელი კოლონიზატორების დროს) ეთნიკურობა პოლიტიკურ სტატუსს უტოლდებოდა. ტუტსი მმართველ ფენას წარმოადგენდა და მდიდარ გავლენიან ჰუტუს შეეძლო თავისუფლად გამხდარიყო ტუტსი. ეს დივერსიფიცირება უფრო მწვავედ გამოიხატა და გაიმიჯნა მაშინ, როდესაც 1935 წელს ბელგიელმა კოლონიზატორებმა აქ შემოიღეს ეთნიკური ჯგუფების მუდმივი დაყოფის კანონი და პირადობის/ეთნიკურობის დამადასტურებელი მონშობები, რაც შეუძლებელს ხდიდა ამ გადაადგილებას. ცხადია ასეთმა დაყოფამ ძალიან დიდი აგრესია, შური და უკმაყოფილება გამოიწვია. ასეთი დაყოფა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანასწორობა გახდა საბოლოოდ რუანდას გენოციდის, კონგოს პირველი და მეორე ომების საფუძველი (Melvern, 2004). რუანდას მაგალითი ცხადყოფს, რა გავლენა მოახდინა კოლონიების მიერ ტერიტორიის, ეთნიკური ჯგუფებისა და ისტორიის უგულვებელყოფამ შემდგომ მოვლენებზე. მეორე ასპექტი იყო ის რომ ევროპულმა ძალებმა გარდაქმნეს საზოგადოებაში წარმოებითი ურთიერთობები. ამით მათ შეარყიეს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული სოციალური ორგანიზაცია.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ უპრეცედენტო მოთხოვნა წარმოშვა ისეთი კულტურებისთვის, როგორცაა პალმის და არაქისის ზეთი, ბამბა და ასე შემდეგ. ამ კულტურების საწარმოებლად კოლონიურმა ძალებმა სხვადასხვა ზომები მიიღეს, რათა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამ კულტურების წარმოება აეძულებინათ. შესაბამისად, ამ ხალხის კულტურა უგულვებელყოფილი დარჩა, რამაც მთლიანად გარდაქმნა ადგილობრივი აფრიკული ბაზრები ევროპული ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად. აფრიკის კოლონიების მრავალეთნიკური ხასიათი ყველა კოლონიური ძალებისთვის მსგავსი იყო, რადგანაც კოლონიური სახელმწიფოების საზღვრების გამოყოფის კრიტერიუმები საერთოდ არ ითვალისწინებდნენ ეთნიკურ საზღვრებს. ამასთან ერთად, კოლონიური სახელმწიფოები საკუთარი მმართველობის სტილის მიხედვით აწყობდნენ სოციალური ორგანიზაციის ტრადიციულ ნიმუშებს. სწორედ ამგვარმა სტილმა დაუღო საფუძველი პოსტკოლონიურ ეპოქაში მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებს (Blanton, 2001).

არ უნდა დავივიწყოთ არაპირდაპირი მართვის მექანიზმიც, რომელსაც უკვე ყოფილი კოლონიზატორები იყენებდნენ, ეს გახლდათ ადმინისტრაციული მეთოდი გაეკონტროლებინათ ყოფილი კოლონიების მოქმედებები. ამ დროს ისინი ნიშნავდნენ ლოკალურ, აფრიკელ მმართველს და ინსტიტუციებს, რომლებიც საბოლოოდ მათ მითითებებს შეასრულებდნენ. ასეთი მართვა ცხადია არ იყო ორიენტირებული ადგილობრივი სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. ასეთი მმართველობა ძალიან კარგ ნიადაგს ქმნიდა კონფლიქტის ჩამოსაყალიბებლად, კორუმპირებული უმცირესობა ხშირად ახდენდა სხვა ეთნოჯგუფების ექსპლუატაციას, მათ დაჩაგვრას და უფლებების შეზღუდვას (Violence in Twentieth century Africa, 2016).

ნიგერიის მაგალითი

ძალიან საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ნიგერია. კოლონიური მმართველობისას ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეთნიკური ჯგუფები ხელოვნურად გააერთიანეს ერთ სახელმწიფოში, რომელსაც ნიგერია ეწოდა (1914წ). ბრიტანეთმა სრულიად უგულვებელყო აქ მცხოვრები ხალხების ინტერესები და მათი აზრის გათვალისწინების გარეშე გადადგა ეს ნაბიჯი. აქვე იყენებდნენ არაპირდაპირ მმართველობას, რის გამოც ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთის მიმართ უფრო დისტანციურები ხდებოდნენ. ამ ყველაფერთან ერთად კოლონიზატორმა ბრიტანეთმა ნიგერია სამ ოლქად დაყო: დასავლეთ ნიგერია (დომინანტური ეთნიკური ჯგუფი იურობა), აღმოსავლეთ ნიგერია (იგბო) და ჩრდილოეთ ნიგერია (ჰაუსა). ამან ხელი შეუწყო ეთნიკურობის პოლიტიზირებას. ყველა ცდილობდა თავიანთი რეგიონის დანინაურებას, ამ დროს კი ერთობის იდეა სრულიად იკარგებოდა. ამის გამო ამ სამ რეგიონს შორის უფრო და უფრო მწვავედებოდა დაძაბულობა. ასეთმა დაყოფამ სახელმწიფო იქამდე მიიყვანა, რომ აქ მუდმივად არსებობს კონფლიქტი, ეს რეგიონები ვერ თანხმდებიან სასურველ მმართველზე, ყოველთვის ცდილობენ უპირატესობა მოიპოვონ და დანინაურდნენ. სამხრეთ ნიგერია საერთოდ ავტონომიის მიღებას ცდილობს და სხვა. არაპირდაპირმა მმართველობამ, კულტურის უგულვებელყოფამ ხელოვნურად შექმნა დაპირისპირება და კონკურენცია შიდასახელმწიფოებრივ დონეზე (Irobi, 2005).

ეთნოკონფლიქტის პირისპირ

ზემოთ განხილული ინფორმაციის საფუძველზე ჩნდება კითხვები, როგორ შეიძლება თავი ავარიდოთ ეთნოკონფლიქტებს? ყოველი ეთნიკური ჯგუფისათვის სახელმწიფო მინიჭების უფლება

შეამსუბუქებს ეთნიკურ დაპირისპირებებს? ცხადია, ეს მიდგომა ეთნოკონფლიქტებს ვერ მოაგვარებს, პირიქით აფრიკაში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა სახელმწიფო, რომ დაარსოს შეიქმნება სრული ქაოსი. მხოლოდ აფრიკის ტერიტორიაზე 3000 ზე მეტი ეთნიკური ჯგუფია, წარმოიდგინეთ, როგორი ქაოსი დამყარდება მსოფლიოში ყოველ მათგანს საკუთარი სახელმწიფო რომ ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ეს გამოსავალი არაა. ამ კონტინენტზე სახელმწიფოები უკვე ჩამოყალიბებულია, შეიძლება ეს საზღვრები უსამართლოდაა გადანაწილებული, მაგრამ მათი დარღვევა და თავიდან გადანაცობა ყოველგვარი საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიდის. ცხადია ყველა სარგებლობს თვითგამორკვევის უფლებით, მაგრამ რამდენადაც ვხედავთ ეს უფლება არ გულისხმობს აუცილებლად სახელმწიფოსგან გამოყოფას და ახლის შექმნას. ამ სიტუაციაში ეთნიკურ ჯგუფებს ისლა დარჩენიათ ქვეყნის შიგნით მოაგვარონ ეს პრობლემა და საერთაშორისო სამართლის წესების დაცვით იმოქმედონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კონფლიქტურ ზონებს შექმნიან, რომლებიც ყველაზე ცუდ შემთხვევაში ომით დასრულდება. როგორ შეიძლება არსებულ რეალობაში მსგავსი დაპირისპირებების თავიდან აცილება. პირველ რიგში აუცილებელია, სახელმწიფოში მაცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი თანაბარუფლებიანად იყოს წარმოდგენილი სახელმწიფოს წინაშე. არც ერთ ჯგუფს არ უნდა გააჩნდეს რაიმე სახის პრივილეგიები, უნდა არსებობდეს სახელმწიფო იდენტობა საზოგადოებაში. ასეთ პოსტ-კოლონიურ სახელმწიფოებში ხშირად დაპირისპირება ჩნდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფი უნდა იდგეს სათავეში, ამ შემთხვევაში ყველაზე ლოგიკური გამოსავალია, სახელმწიფოში წარმოდგენილ ყველა ეთნიკურ ჯგუფს უნდა ყავდეს წარმომადგენელი ხელისუფლებაში, ადამიანი ვისაც ენდობიან და მათ ინტერესებს სახელმწიფო ინტერესად წარმოაჩინენ. ზოგ შემთხვევაში გამოსავალი ავტონომიის მინიჭებაა. რა თქმა უნდა, რთულია ასე ზოგადად პრობლემის გადაჭრაზე საუბარი, რადგან ყველა შემთხვევა განსხვავებულია. აუცილებელია სახელმწიფოს კულტურის, მოსახლეობის მენტალობის, ისტორიის და მოთხოვნების გათვალისწინება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არ იარსებებს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე განსხვავებები, მაშინ ამ ჯგუფებს შორის უფრო ჰარმონიული დამოკიდებულება იქნება, რაც უფრო მეტად იქნებიან ეს ჯგუფები ერთმანეთთან დაახლოებული და ექნებათ მეტი საერთო მით უფრო დიდი შანსია იმისა, რომ ეს საზოგადოება ნაკლებად კონფლიქტური იქნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ამ ეთნიკური ჯგუფების წარსული და მათი ადრინდელი ურთიერთობები, ისინი ძალიან დიდ როლს თამაშობენ მსგავსი პრობლემებისას (Jinadu, 2007).

დასკვნა

ყოველივე ზემოთ განხილულიდან ვხედავთ, რომ აფრიკის რეგიონისათვის ეთნოკონფლიქტები უჩვეულო მოვლენა არ არის. აქ არსებობს ამის კარგი ნიადაგი და შესაბამისად ეს პრობლემა ხშირად იჩენს თავს. მის წამოწყებას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქცენტი გავაკეთეთ კოლონიალიზმის გავლენაზე. აფრიკის ტერიტორიაზე არსებული კულტურის, ტრადიციების, ისტორიის უგულებელყოფამ ძალიან ბევრ პრობლემას დაუდო საფუძველი. ხშირად კოლონიზატორები მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ და ამის გამო სრულიად ხელოვნურ გარემოს ქმნიდნენ აფრიკის ტერიტორიაზე, აიძულებდნენ ადგილობრივებს, შეეცვალათ ტრადიციები, ღირებულებები და ჩვეულებები. ცხადია, ამან

კულტურის დეგრადირებას შეუწყო ხელი, გაჩნდა ხელოვნური კონკურენცია. ასევე, მსგავსი მიზნების გამო ხშირად კოლონიზატორები ისეთ შეცდომებს უშვებდნენ, რომლებსაც საბოლოოდ გენოციდებამდე და ომებამდე მივყავდით. ეს გულგრილობა დღემდე შეინიშნება ამ რეგიონში, ისინი კვლავ ცდილობენ წლების წინ მიღებული ტრავმების მოშუშებას, არსებული ცხელი წერტილების ნეიტრალიზირებას და ხელოვნურად შექმნილი პრობლემების სისტემატიზირებას. საბოლოოდ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფრიკის კოლონიზაციის შედეგები დღესაც სახეზეა. ცხადია ყველა კონფლიქტს კოლონიზაციით ვერ ავხსნით, მაგრამ შეგვიძლია დავინახოთ მცირედი წვლილი, ბიძგი რაც ამ მოვლენებმა გამოიწვია. ხშირად კოლონიზატორები ისე ქმნიდნენ კონფლიქტისათვის საჭირო ნიადაგს, რომ ვერც ანალიზებდნენ, ეს გამონეული იყო იმით, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი მათთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა, მთავარი იყო საკუთარი კეთილდღეობა და კოლონიებიდან მაქსიმალური მოგების ნახვა.

ბიბლიოგრაფია

1. ვახანია, თ. (2013, თებერვალი 15). კოლონიური პოლიტიკის ევოლუცია აფრიკის რეგიონში. მოპოვებულია:<http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/27-koloniuri-politikis-evolucia-afrikis-regionshi>
2. ალექსიძე, ლ. (2005). *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი*. თბილისი.
3. დავითაშვილი, ზ. (2001). *მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია*. თბილისი.
4. (2015, ივლისი 29). ლეოპოლდ II ბელგიის გმირი მეფე. მოპოვებულია:http://reportiori.ge/old/news_print.php?id=73208&lang=1
5. Ake, C. (1993). What is the problem of ethnicity in Africa?. მოპოვებულია:<http://transformationjournal.org.za/wp-content/uploads/2017/03/tran022002.pdf>
6. Blanton, R. (2001, ივლისი). Colonial Style and Post-Colonial Ethnic Conflict in Africa. მოპოვებულია:https://www.researchgate.net/publication/233756416_Colonial_Style_and_Post-Colonial_Ethnic_Conflict_in_Africa
7. Boahen, A. (1985). *General history of Africa- VII- Africa under Colonial Domination 1880-1935*. California : UNESCO.
8. Irobi, E. G. (2005, მაისი). Ethnic Conflict Management in Africa: A Comparative Case Study of Nigeria and South Africa. მოპოვებულია:https://www.beyondintractability.org/casestudy/irobi-ethnic?fbclid=IwAR1kKKjrxZzoCqe9gP_9F91mk5G6q118qILViou8perHOeU22-J6kwrX7gU
9. Melvern, L. (2004). *Conspiracy to Murder: The Rwandan Genocide*. London. VERSO
10. Mensah, E. T. (2015). *The Partition of Africa and it's Effects on the Continent*. Munich.
11. Oliver , R., & Sanderson, G. (2008). *The Cambridge History of Africa* . Cambridge, UK: Cambridge University Press.
12. Tepfenhart, M. (2013, /04/ 01/). "The Causes of Ethnic Conflicts", *Comparative Civilizations Review*: Vol.68: No68, Article8. ხელმისაწვდომია: <https://scholarsarchive.byu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1890&context=ccr>
13. Ukiwo, U. (2005). On The Study of Ethnicity in Nigeria. *Centre for research on inequality , human security and ethnicity*.

14. Venkatasawmy, R. (2015). Ethnic Conflict in Africa: A Short Critical Discussion. მოპოვებულია: https://www2.hu-berlin.de/transcience/Vol6_No2_26_37.pdf?fbclid=IwAR3xpzhiPR8Xr20UGudE6gSwXhDzRjsSUy6UYFHXvnHetVestCHvT4ekP04
15. *Violence in Twentieth century Africa*. (2016, მარტი 28). Ethnicity and Ethnic Conflict. მოპოვებულია: https://scholarblogs.emory.edu/violenceinafrica/wiki-round-2-causes-of-conflict/ethnicity-and-ethnic-conflict/?fbclid=IwAR3vQ3xGpiWk7dt_DyKmvPF8xG1hY0QYDjISt5oJoY33r0h0TQ6QANuIGa
o



რუსეთის პოლიტიკა არქტიკაში: ინტერესები და მიზნის მიღწევის მექანიზმები

*ნინო აბესაძე
ვასიკო ხორავა*

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ninoabesadze08@gmail.com
E-mail: vasiko.khorava033@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს გაანალიზოს რუსეთის პოლიტიკა არქტიკაში, რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური პერიპეტეხები და მიმდინარე პროცესები.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს თუ რა ინტერესები ამოძრავებს რუსეთს ჩრდილოეთ ცინულოვან ოკეანეში, რა მეთოდებს იყენებს იგი დასახული მიზნების მისაღწევად და რა საფრთხეებს აჩენს იგი რეგიონში. არქტიკაში რუსეთის პოლიტიკის ისტორიული საფუძვლების მიმოხილვის (საბჭოთა კავშირის პოლიტიკა), მრავალი ანალიტიკური დოკუმენტისა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული სტრატეგიების („არქტიკა 2035“) გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა, რომ ოფიციალური მოსკოვის ინტერესები არქტიკაში შემდეგია:

- მინერალური საწვავების დამატებითი საბადოების აღმოჩენა რუსეთის ეკონომიკის აღნიშნულ რესურსზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო;
- საკუთარი გავლენის გაზრდა საერთაშორისო ვაჭრობის ქსელებზე „ჩრდილოეთის საზღვაო გზის“ პროექტის განვითარებით;
- რეგიონში წარმოდგენილი საზღვაო ბირთვული ძალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხედრო შესაძლებლობების განვითარებით.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, არქტიკა, „ჩრდილოეთის საზღვაო გზა“, ნავთობი, ბუნებრივი აირი.

შესავალი

დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში არქტიკის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში უფრო მეტად ხდება მნიშვნელოვანი ვიდრე აქამდე იყო. ჩრდილოეთ ცინულოვანი ოკეანის ხელმისაწვდომობის გაზრდად გამოიწვია რეგიონის ბუნებრივი რესურსების მიმართ, სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესის სფეროში მოქცევა. ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო მცირდება ბუნებრივი რესურსების მარაგი, მით უფრო იზრდება ასეთ რესურსებზე ფასი და ყოველი სახელმწიფო ცდილობს მასზე დაფუძნებული ეკონომიკური დოვლათის ხელში ჩაგდებას. რესურსებით დატვირთული არქტიკის რეგიონში შექმნილი პოლიტიკური დღის წესრიგის მართვაში დიდ როლს თამაშობს მისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ამ ხნის მანძილზე ეს რესურსები თითქოსდა ცინულის სქელი საფარის ქვეშ იყო დამალული. ასეთი მდიდარი რეგიონისთვის მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო იბრძვის, თუმცა ჩვენი მიზანია სტატიის ფარგლებში განვიხილოთ რუსეთის გეგმები არქტიკაში და ის მრავალი საშუალება, რომლის შემვეობითაც ცდილობს ამ მიზნის მიღწევას. ჩვენ აუცილებლად ვიმსჯელებთ იმაზე თუ რატომ აქვს ასეთი ღრმა ინტერესი რუსეთს და რა წინალობებს აწყდება ის ამ მიზნების მისაღწევად.

კრემლის პოლიტიკა იმისკენაა მიმართული, რომ შეეცადოს მოახდინოს მისი სუვერენიტეტის დემონსტრირება და მკვეთრად გაავლოს საზღვრები ეკონომიკურ შესაძლებლობებში, გააძლიეროს კრემლის ინტერესები, რომლებსაც უკიდურეს ჩრდილოეთში არსებულ რესურსებზე ამყარებს და განაახლოს დიდი ხნის წინ მიძინებული უპირატესობა მსოფლიოს მასშტაბით. არქტიკა ნამდვილად

იქნება ამ სახელმწიფოს ეკონომიკისთვის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა. თუმცა, აქ ცხადი ხდება მეორე საკითხიც თუ როგორ მოახერხებს რუსეთი ბუნებრივი რესურსების მართვას და როგორ შეძლებს ის ეკონომიკის გრძელვადიან პირობებში სტაბილიზაციას.

ლიტერატურული მიმოხილვა (საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არქტიკის მიმართ)

არქტიკის რეგიონის ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად საჭიროდ მივიჩნევთ უპირველეს ყოვლისა დავაკვირდეთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას არქტიკის მიმართ და მოცემული მიდგომით ავხსნათ ამ პოლიტიკის მემკვიდრეობითობა თანამედროვე რუსეთისთვის.

საბჭოთა კავშირმა არქტიკის რეგიონზე პირველი ტერიტორიული პრეტენზიები 1926 წლის 15 აპრილს მიღებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით წამოაყენა, რომელშიც ეწერა:

„ყველა მინა და კუნძული, რომლებიც აღმოჩენილია და შესაძლოა მომავალში აღმოჩენილ იქნან, ამავედროულად არ წარმოადგენენ სსრკ-ს მიერ აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიული ბრძანებულების ნაწილს და მდებარეობენ ჩრდილოეთ ცინულოვანი ოკეანის ჩრდილოეთში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სანაპიროდან ჩრდილოეთ პოლუსამდე $32^{\circ}04'35''$ აღმოსავლეთ... და $168^{\circ}49'30''$ დასავლეთ მერიდიანებს შორის... გამოცხადებულია სსრკ-ს ტერიტორიულ ნაწილად“ (Timchenko, 1997, გვ. 30).

ბრძანების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის უფლება აეთვისებინა არქტიკის რეგიონში მისი სექტორი საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით არ იყო მტკიცე, რადგან ზემომოყვანილ დადგენილებაში სსრკ-ს საკუთრებად ცხადდებოდა მხოლოდ „ყველა მინა და კუნძული“. ამ მიზმის გამო ათწლეულების განმავლობაში მეცნიერებს შორის მიდიოდა დავა ამ ბრძანების „სხვა ფიზიკურ ობიექტებზე“ (ზღვა, წყალქვეშა სივრცე, კონტინენტური შელფი, საჰაერო სივრცე და ა.შ.) განვრცობის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ, საინტერესო მასალას წარმოადგენს 1928 წელს გამოქვეყნებული ვლადიმერ ლახტინის მონოგრაფია „უფლებები არქტიკის სივრცეებზე“ («Права на Арктические Пространства»), სადაც იგი აცხადებდა, რომ 1926 წლის ბრძანებაში აღნიშნულ საბჭოთა კავშირის საკუთრებაში ამავედროულად იგულისხმებოდა სექტორში შემავალი ყველა სხვა ფიზიკური ერთეული. შესაბამისად, მისთვის საბჭოთა კავშირის პრეტენზიები არქტიკის რეგიონში სავსებით თავსებადი იყო საერთაშორისო სამართალთან. იმისდა მიუხედავად, რომ ლახტინს არცერთი საერთაშორისო სამართლებრივი მუხლი არ ჰქონდა მოყვანილი, მისი მონოგრაფია ეყრდნობოდა ლეონიდ ბრაიტფუსის, რუსი პიდროგრაფისა და არქტიკის მკვლევრის, შეხედულებებს (Timchenko, 1997).

ლახტინისა და ყველა სხვა მკვლევრის შეხედულებები მარქსისტულ-ლენინისტურ იდეოლოგიით სოციალისტური სახელმწიფოებისთვის ნაკარნახევ ვალდებულებაზე იყო დაფუძნებული შეგზულდათ იმპერიალისტურ-კაპიტალისტური სახელმწიფოების სწრაფვა აეთვისებინათ მეტი ტერიტორია, „გაემტკიცებინათ საერთაშორისო ექსპლუატაციის“ სისტემა.

არსებული უთანხმოების მიუხედავად, სსრკ აქტიურად აწარმოებდა რეგიონის ათვისების პროცესს, რადგან კომუნისტურ პარტიაში ნათლად აღიქვამდნენ არქტიკის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ყოველივე ამაზე მეტყველებს „ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს“ («Главное

Управление Северного Морского Пути») არსებობა (1932-1964 წწ.), რომლის დანიშნულებაც რეგიონის აქტიური ათვისება და ჩრდილოეთის საზღვაო გზის გამტარუნარიანობის გაზრდა იყო.

ამ მიზნის მისაღწევად დაიწყო მთელი რიგი პორტების მოდერნიზება - კოჟევნიკოვის, ტიკსის, პროვიდენსის ყურეებსა და დიქსონის კუნძულზე. პორტების რეაბილიტირება ამარტივებდა სავაჭრო ქსელების განვრცობის პროცესს. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს ვაწყდებით ვლადიმერ ზენზინოვის სტატიაში, სადაც აცხადებს

- 1936 წელს ინდიგირკას მდინარეზე (რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკაში) 50 ტონა საქონელი ჩამოიტვირთა, ხოლო 1939 წელს - 1 318 ტონა;
- 1932-1937 წლებში კოლიმას რეგიონში მიწოდებული პროდუქციის რაოდენობა 2700%-ით გაიზარდა;
- 1930 წლისთვის სსრკ-ს ჩრდილოეთ ცინულოვანი ოკეანის სანაპიროსთვის მიწოდებული პროდუქციის რაოდენობა აღწევდა 50 000 ტონას, ხოლო 1938 წლისთვის - 240 000 ტონას (Zenzinov, 1944).

მოცემული პროცესი ანარეკლია სტალინის ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკის რესტრუქტურისაციის პოლიტიკისა, რამაც საბჭოთა ეკონომიკა სამხედრო პროდუქციის წარმოების „ყაიდაზე“ გადაიყვანა. შესაბამისად, რესურსების მუდმივ მოწოდებაზე დამოკიდებული სახელმწიფო აპარატისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო რესურსების ალტერნატიული წყაროების მოძიება. ამ მხრივ საინტერესოა, 1939-1946 წლებში ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველოს უფროსის, ივან პაპანინის განცხადება - „ჩრდილოეთის საზღვაო გზა არის ძლიერი საშუალება შორეულ ჩრდილოეთში პროდუქტიული ძალების განსავითარებლად და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი საშუალებების განსამტკიცებლად“ (Zenzinov, 1944, გვ. 70).

მართლაც რომ, არქტიკის რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ნათლად წარმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცივი ომის ფორმირებასთან ერთად რეგიონის მნიშვნელობა განუხრელად იზრდებოდა, რაზედაც მეტყველებდა რამდენიმე გარემოებრივი მახასიათებელი:

- რეგიონში განლაგებული ბალისტიკური რაკეტები ფარავდნენ დასავლეთ ევროპის, ამერიკისა თუ საბჭოთა კავშირის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყველა პუნქტს (ცივ ომში მოქიშვე მხარეები არქტიკის რეგიონში ერთმანეთის ახლო მეზობლებს წარმოადგენდნენ);
- სამხედრო ინფრასტრუქტურის პროგრესირებასთან ერთად გაიზარდა მიწაზე განთავსებული ბალისტიკური რაკეტების მოწყვლადობის ხარისხი. მეორე მხრივ, გაიზარდა წყალქვეშა გაშვების ბალისტიკური რაკეტების (Submarine-Launched Ballistic Missiles) ეფექტურობა - ცინულის მუდმივი მოძრაობის გამო რთული იყო არქტიკაში წყალქვეშა გემების დაფიქსირება ექოლოკატორითა თუ სხვა მეთოდებით;
- რეგიონში წარმოდგენილი რესურსების ათვისების პროცესის თანდაყოლილ ნაწილს წარმოადგენდა შექმნილი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (Young, 1985-1986). გარემოებით მინიჭებულ უპირატესობას საბჭოთა კავშირი აქტიურად იყენებდა. 1985 წლისთვის ატომური ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა გემების ნახევარი კოლის ნახევარკუნძულზე წარმოდგენილ ჩრდილოეთ ფლოტილიას განეკუთვნებოდა. თუმცა 1980-იანი წლებიდან დაწყებულმა საბჭოთა ეკონომიკური შესაძლებლობების შესუსტებამ კრემლს უარი

ათქმევინა აქტიური შეიარაღების გაგრძელებაზე და აიძულა ეკონომიკის ამგვარი წნეხისგან გათავისუფლება. არქტიკასთან მიმართებაში ყოველივე ამან მიიღო 1987 წელს გორბაჩოვის მიერ წამოყენებული მურმანსკის ინიციატივის სახე, რომელიც მიზნად ისახავდა არქტიკის ტრანსფორმაციას ბირთვული ომის დაწყების პოტენციური არის ნაცვლად თავისუფალ სამშვიდობო ზონად. როგორც მოგვეხსენება საბჭოთა კავშირი ამ ინიციატივიდან მალევე დაიშალა, თუმცა არქტიკის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური პერიპეტეიები და რეგიონის სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა უცვლელი დარჩა.

თანამედროვე რუსეთმა, რომლის დამოკიდებულების ხარისხი ბუნებრივ წიაღისეულზე საკმაოდ დიდია (ჰიდროკარბონული რესურსები და ა.შ.) (იხილეთ დიაგრამა #1), 2010-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო რეგიონში დაბრუნება და ამრიგად, საფუძველი ჩაუყარა მორიგი დაძაბული კერის გაჩენას, რის ფუნდამენტურ მიზეზებზეც ქვევით ვისაუბრებთ.

მეთოდოლოგია

მოცემულ სტატია დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. იმისათვის, რომ აღნიშნულ საკვლევ კითხვაზე გავვეცა პასუხი, გავაანალიზეთ არა ერთი ანალიტიკური დოკუმენტი, მეორეული წყაროები.

ინფორმაციის კომპლექსურობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, უპრიანად მივიჩნიეთ გამოგვეყენებინა ვიზუალიზაციის სხვადასხვა საშუალებები, რათა გამარტივებულიყო ანალიზის აღქმა (სვეტოვანი, ხაზოვანი დიაგრამები და გადმოქართულებული რუკა).

გეოპოლიტიკური ინტერესები არქტიკაში

იმისდა მიუხედავად, რომ რესურსებით მდიდარი არქტიკის რეგიონი დღესდღეობით ძლიერი სახელმწიფოების ინტერესების ჭიდილის მთავარ ცენტრს წარმოადგენს, მას ასეთი სტატუსი გასული რამდენიმე წლის მანძილზე სულაც არ ჰქონდა (გლობალურ დათბობასთან ერთად პროცესები საგრძნობლად შეიცვალა). მის მიმართ სერიოზულ ინტერესს ავლენენ „არა-რეგიონული“ მოთამაშეებიც: ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი და სამხრეთ კორეა.

შედეგად, რუსეთის გარშემო ჩამოყალიბებულია კონკურენტული გარემო. თუმცა, მოსკოვი დანარჩენებთან შედარებით მომგებიან პოზიციაშია, რამეთუ ის დღეისათვის აკონტროლებს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის 53%-ზე მეტ ტერიტორიას.

„რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების გაუარესების პარალელურად, კრემლმა არქტიკული გეგმები დიადი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვების საკუთარ ამბიციებს მთარგო და რეგიონში სამხედრო და ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა... პუტინის ადმინისტრაციამ განაახლა არქტიკის რეგიონის ეროვნული სტრატეგია 2035 წლამდე ვადით. დოკუმენტში პრიორიტეტი ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში რუსული ინტერესების დაცვას მიენიჭა, რითაც მანამდე არსებული თანამშრომლობის ურთიერთობებს გარკვეული ჩრდილო მიადგა“ (ძამუკაშვილი & გლურჯიძე, 2021).

თუ გავითვალისწინებთ არქტიკაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ძვრებს, აუცილებლად უნდა ვახსენოთ რუსეთისა და ჩინეთის პოტენციური პარტნიორობა, „მას შემდეგ, რაც გლობალურმა დათბობამ

გაზარდა არქტიკის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და პოტენციური ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, რუსეთი და ჩინეთი გამოჩნდნენ, როგორც მთავარი მოთამაშეები რეგიონის მომავალში. მათი პარტნიორობა არქტიკულ საკითხებში, როგორც ფორმალურად, ისე არაფორმალურად, წარმოადგენს არქტიკაში გრძელვადიანი სტრატეგიული ბალანსის გაგების მნიშვნელოვან კომპონენტს“ (Guo & Wilson, 2020).

აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი თუ როგორი ურთიერთობა ექნებათ ჩინეთსა და რუსეთს ერთმანეთთან, გრძელვადიან ურთიერთობაში, რომელიც აუცილებლად იქნება ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებაზე დამოკიდებული.


მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მოთამაშეები ამ პროცესებში პოლიტიკოსები და სახელმწიფოები არიან, არ უნდა დაგვაავიწყდეს იმ მეცნიერთა აზრიც, რომლებიც არქტიკის რეგიონის საფრთხეებზე აკეთებენ განცხადებებს. მათი მკაცრი მოსაზრებებით არქტიკა უახლოეს მომავალში საგრძნობლად შეიცვლება. ამასთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოუწოდებს რეგიონით დაინტერესებულ ქვეყნებს, რომ გადახედონ საკუთარ მდგომარეობას და მხოლოდ გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ იფიქრონ. მარაგების მოპოვების პარალელურად, მათ უნდა დაინწყონ ფიქრი შორეული მომავლის სტაბილურობაზე.

„არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკა იქცა დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ წერტილად, რაც აისახება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მიერ უენევაში აშშ-რუსეთის სამიტის შემდეგ ცალკე გამოქვეყნებულ განცხადებებში. მიუხედავად იმისა, რომ არქტიკა თანამშრომლობისა და მშვიდობის ზონა უნდა იყოს, გაზრდილმა მილიტარიზაციამ და წვრთნებმა რეგიონში, ისევე როგორც ჩინეთის პოტენციურ მეტოქედ გამოჩენამ, გაზარდა დაძაბულობა ჩრდილოეთში“ (Seethi, 2021).

ეკონომიკური მომგებიანობით დაბრმავებულმა ქვეყნის ლიდერებმა გვერდით უნდა გადადონ თავიანთი პირადი ინტერესები და იზრუნონ გლობალური დათბობის ტემპების შენელებაზე. ამასთან ერთად, 2030 წლისთვის რეგიონში დაჩქარებული ყინულის დნობის ტემპებთან ერთად, არქტიკის სქელი ყინულის ქუდი შესაძლოა საერთოდ გაქრეს. რუსეთის გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც განერილია 2035 წლამდე, ამ ყველაფერთან ერთად განადგურდება. დაძაბული მდგომარეობის გამო სახელმწიფოები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე განსაზღვრონ საკუთარი ტერიტორიული წყლები არქტიკის რეგიონში.

„ტერიტორიული დავა და უთანხმოება უფრო იზრდება იმის თაობაზე, თუ როგორ არის განსაზღვრული და შედგენილი კონტინენტური წყლების საზღვარი. მაგალითად, რუსეთი აცხადებს, რომ მათი კონტინენტური ზღვარი მიჰყვება ლომონოსოვის ქედს ჩრდილოეთ პოლუსამდე. მეორე შემთხვევაში, შეერთებული შტატებიც და კანადაც აცხადებენ ბოფორტის ზღვის ნაწილს იმ არეალში, რომელიც, სავარაუდოდ, შეიცავს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან რესურსებს“ (იხილეთ რუკა #1) (Hobart King, Geology.com).

რუკა #1. ტერიტორიული პრეტენზიები არქტიკაში (Financial Times) (გადმოქართულებული) ¹



რუსეთის ეკონომიკური ინტერესები არქტიკაში

რუსეთის ინტერესები არქტიკასთან მიმართებაში კლასიფიცირდება ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებად. თუმცა თემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ ცალ-ცალკე იქნას მიმოხილული დასახელებული თემები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის დამოკიდებულება მინერალურ საწვავებზე დიდია. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის ხელისუფლება ბუნებრივ რესურსების ექსპლუატაციით მიღებულ შემოსავლებს ეფექტურად იყენებდა შიდა პოლიტიკური სტაბილურობის აღსადგენად და საგარეო პოლიტიკური იმპერატივების განსახორციელებლად.

დიაგრამა #1. რუსეთის მიერ ექსპორტირებულ პროდუქციაში მინერალური საწვავების წილი 2000-2020 წლებს შორის (გამოსახული პროცენტებში) (UN Comtrade Database)

მეტეც, ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში ყველაზე ძლიერ მამოძრავებელ ელემენტად რუსეთის ეკონომიკისთვის რჩება ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვება (რაც დიაგრამით ნათლად ვლინდება).

¹ ლომონოსოვის ქედი - წყალქვეშა გამყოფი ქედი არქტიკის რეგიონში.

ამიტომაც რუსეთი დაინტერესებულია დამატებითი წყაროების აღმოჩენაში, ხოლო არქტიკის რეგიონი საკმაოდ პოზიტიური მოლოდინების მატარებელია ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი მარაგებით დაინტერესებული აქტორებისთვის.

ოქსფორდის ენერჯო-კვლევითი ინსტიტუტის თანახმად, არქტიკაში რუსეთის კონტინენტური შელფი შეიცავს 85 ტრილიონ მ³ ბუნებრივ აირსა და 17 მილიარდ ტონა ნავთობს (Yermakov & Yermakova, 2021). შესაბამისად, 2019 წელს რუსეთის მიერ მიღებული „სტრატეგია რუსეთის ფედერაციის არქტიკული ზონის განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ 2035 წლამდე“ არ წარმოადგენს მოულოდნელობას.



„სტრატეგია 2035-ის“ თანახმად, რუსეთის ხელისუფლება მიზნად ისახავს 2035 წლამდე არქტიკის კონტინენტურ შელფში 5 სანავთობო და 21 მყარი მინერალის მოპოვების პროექტის დაწყებას. ამავდროულად, დიდი ყურადღებაა გამახვილებული რუსეთის თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) წარმოების უნარის განვითარებაზე - 2018 წელს რუსეთმა 8.6 მილიონი ტონა თხევადი გაზი აწარმოა, თუმცა 2035 წლისთვის დაგეგმილია 91 მილიონი ტონა დასახელებული პროდუქციის წარმოება. მოცემულ პროდუქტზე ამგვარი ყურადღების გამახვილება პირდაპირ დაკავშირებულია აღმოსავლეთ აზიაში თხევად გაზზე მზარდ მოთხოვნასთან (ამით შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი სინო-რუსულ თანამშრომლობას რეგიონში). შესაბამისად, რუსეთის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული „ჩრდილოეთის საზღვაო გზის“ გამტარუნარიანობის ღონის ზრდაზე (Mehdiyeva, 2021).


ამ მხრივ რუსეთი ცდილობს ცინულმჭრელთა რაოდენობის გაზრდას. 2019 წლის აპრილში სანქტ-პეტერბურგში გამართულ არქტიკის ფორუმზე ვლადიმერ პუტინმა დაანონსა ცინულმჭრელთა ფლოტის გაფართოება. ამჟამად, რუსეთი 4 ატომურ ცინულმჭრელს ფლობს, თუმცა 2035 წლისთვის იგი მიზნად ისახავს მათი რაოდენობის 13-მდე გაზრდას (მათ შორის 9 ატომური) (Isachenkov & Titova, 2019).

ცინულმჭრელთა მასშტაბური გეგმა დაკავშირებულია „ჩრდილოეთის საზღვაო გზის“ განვითარებასთან, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ალტერნატივას ევროპა-აზიის დამაკავშირებელ

კონვენციურ მარშრუტებთან (ხმელთაშუა ზღვა-სუეცის არხი-წითელი ზღვა) შედარებით. „სტრატეგია 2035“ მიზნად ისახავს 2030 წლისთვის „ჩრდილოეთის საზღვაო გზის“ გავლით ტვირთბრუნვის მაჩვენებლის 90 მილიონამდე გაზრდას, ხოლო 2035 წლისთვის - 130 მილიონ ტონამდე (იმ დროს როდესაც 2019 წელს ტვირთბრუნვის მაჩვენებელი 31.5 მილიონი ტონა იყო). ცხადია, რომ მოცემული ტონაჟის ძირითად ნაწილს დაიკავენ რუსეთის ექსპორტი, რამეთუ არქტიკაში მოპოვებული რესურსების ტრანსპორტირების გაცილებით ეფექტური მეთოდია საზღვაო მარშრუტების გამოყენება „ტრადიციულ მეთოდებთან“ (მილსადენებისა და რკინიგზის გამოყენება) შედარებით (Yermakov & Yermakova, 2021).

ყოველივე აქედან გამომდინარე, იქმნება ნათელი წარმოდგენა, რომ რუსეთი თავისი კონტინენტური შეღვის ათვისებას ცდილობს ბუნებრივი სანავი წიაღისეულის (ძირითადად ნავთობი და გაზი) დამატებითი საბადოების აღმოჩენისთვის. ამ პროცესის აღმოსავლეთით გაგრძელებასთან ერთად ჩნდება საჭიროება ლოჯისტიკური ქსელების გაფართოებისა (ამ შემთხვევაში იგულისხმება საზღვაო მარშრუტები, რომელთა ხელმისაწვდომობასაც ყინულმჭრელები განაპირობებენ). ყოველივე ეს ნათლად ასახული რუსეთის რეგიონებში წარმოებული ნავთობის რაოდენობის ცვლილებაში - იმ დროს როდესაც, ურალ-ვოლგისპირეთსა და დასავლეთ ციმბირში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა წლების განმავლობაში დიდწილად სტაბილურობით გამოირჩეოდა, აღმოსავლეთ ციმბირში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 2010 წლიდან მოყოლებული 177%-ით გაიზარდა (იხილეთ დიაგრამა #2 & რუკა #2).

მლნ. ტ. **დიაგრამა #2. რუსეთში წარმოებული ნავთობის რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2010-2019 წლებში (გამოსახული მილიონ ტონაში) (Statista)**



შენიშვნა: ტიმან-პეჩორა მდებარეობს წინა ავტონომიურ ოკრუგში.

რუკა #2. რუსეთის ნავთობის საბადოების გეოგრაფია, 2010 წ. (Carnegie Endowment for International Peace) (გადმოქართულებული)



რუსეთის სამხედრო ინტერესები არქტიკაში

რუსეთი თავისი სამხედრო შესაძლებლობის განვითარებას სახავს ეკონომიკური ინტერესების წარმატებული განხორციელებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წინაპირობად.

ამგვარად, არქტიკაში რუსეთის სამხედრო ინტერესების კონცეპტუალიზაცია შეიძლება შემდეგნაირად:

1. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა გემების მიერ საპასუხო დარტყმის მიყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამით აიხსნება მთელ რიგ კუნძულებზე წარმოდგენილი საჰაერო-თავდაცვითი სისტემები, გახშირებული წვრთნები და პატრულირება ბომბდამშენების მიერ;

2. ნატოსთან კონფლიქტის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის შესაძლებლობას იმოქმედოს ნორვეგიის ზღვასა თუ ევროპის არქტიკულ ნაწილში;

3. რეგიონში მზარდი აქტივობის გათვალისწინებით, ეკოლოგიური თუ სხვა სახის კატასტროფის მოხდენის რისკი გაზრდილია. ამიტომაც რუსეთი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად, დგება აუცილებლობის წინაშე ჰქონდეს დასახელებული მოვლენების საპასუხოდ ძალების სწრაფი მობილიზების უნარი (Rumer & et.al. 2021).

რუსეთის ეკონომიკური აქტივობა არქტიკის რეგიონში

ქვეყნებისთვის გარკვეული რეგიონი მაშინ წარმოადგენს ინტერესის სფეროს, როცა მასში ხედავს რაიმე სახის სარგებელს და საკუთარი პოზიციის გაძლიერების შესაძლებლობას. ამ მხრივ არქტიკა არაა გამონაკლისი. რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ხელში ჩაგდებას რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო ცდილობს, რაც ქმნის დაძაბულობის პოტენციურ კერას. რეგიონში გამავალი პოლარული გზა და მის ათვისებასთან თანმდევი პროცესები (რუსეთის სამხედრო ძალების კონცენტრირება) მნიშვნელოვნად ზრდის ინტერესთა ჭიდილს.

რუსეთის ამბიციური ეკონომიკური პროგრამები, მორგებულია არქტიკიდან მოპოვებული მატერიალური დოვლათის დაგროვებაზე და მიმართულია იმ რესურსების მოპოვებაზე, რომლებზეც მსოფლიო მასშტაბით მოთხოვნა მაღალია (განსაკუთრებით „პოსტ-პანდემიურ“ ვითარებაში). ამ ყველაფრით კი რუსეთი შეძლებს უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

გარდა იმისა, რომ რუსეთი მეზობელ სახელმწიფოებთან იმყოფება ტერიტორიულ დისპუტში, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა კომპანიები იბრძვიან ხელმისაწვდომი რესურსების ათვისებისთვის. რუსეთის მფლობელობაში არსებული შტოკმანის ველი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაზის საბადოა მსოფლიოში, შეფასებულია როგორც უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ინსტრუმენტად. მისი მარაგი შეადგენს 3,9 ტრილიონ კუბურ მეტრს. ეჭვგარეშეა, რომ კრემლი ამას გამოიყენებს საკუთარი ეკონომიკური სტრატეგიის გასაძლიერებლად.

ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში 200-ზე მეტი ნავთობისა და გაზის საბადოა აღრიცხული, რომელთაგან 20-ზე მეტი დადასტურებული თუ შესაძლო საბადო მდებარეობს ბარენცისა და კარის ზღვებში. რუსეთის მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობისა და გაზის კომპანიებს (50%-ზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მსგავსი რესურსების მოპოვებაში. ამ მხრივ, მთავარი აქტორები არიან გაზპრომი (Gazprom), როსნეფტი (Rosneft) და ზარუბეჟნეფტი (Zarubezhneft) (Heininen, 2014).

ყველაფერ ამასთან ერთად კრემლმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რამეთუ ინტერესები მხოლოდ ეკონომიკურ სარგებლიანობაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული. გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გაზპრომის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკური მოგება, ხშირ შემთხვევაში იგი კრემლის სადამსჯელო ბერკეტი (საქართველოსთვის, უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა, მოლდოვასთვის დანესებული მაღალი გადასახადები).

რუსეთის ექსპორტის 60%-მდე ნავთობსა და გაზის ექსპორტზე მოდის. ამავდროულად, ფედერალური ბიუჯეტის 50%-ს სწორედ ამ სექტორებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს. შესაბამისად, მარტივია

იმ დასკვნის გამოტანა, რომ რუსული ეკონომიკა საკმაოდ მონყვლადია საგარეო ფაქტორებზე. მაგალითად, 2016 წლის მარტიდან ბუნებრივ აირზე დანყებულმა ფასების შემცირებამ გამოიწვია მთელი რიგი გაზის საინვესტიციო პროექტების შეჩერება, რამაც საბოლოო ჯამში, რუსეთის ეკონომიკა რეცესიამდე მიიყვანა.

რადგან რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების ხარისხი მაღალია, კრემლი აკეთებს ყველაფერს მის მოსაპოვებლად. რუსეთი, რომელიც ხედავს ყინულის დნობას, როგორც შესაძლებლობას თავისი ბუნებრივი რესურსებით დომინირებულ ეკონომიკისთვის, აშკარად ლიდერია რეგიონის ათვისებაში.

„კრემლის წინასწარი გათვლებით, აუთვისებელი ბუნებრივი რესურსების პოტენციური ეკონომიკური სარგებელი 30 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის დასუსტებული ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. სწორედ ამიტომ რუსეთი, საკუთარი ინტერესების დასაცავად, აქტიურად განაგრძობს რეგიონში სამხედრო მობილიზებას. მისი მიზანი არა მხოლოდ თავდაცვისა და ეკონომიკური უსაფრთხოების გაზრდაა, არამედ ნატოსთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში – საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის ახალი ტერიტორიების ათვისება“ (ძამუკაშვილი & გლურჯიძე, 2021).

მსგავსი ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი მაგალითია ჩრდილოეთის საზღვაო გზა, რომელიც ტვირთის გადასაზიდად წარმოადგენს უმოკლეს დამაკავშირებელ გზას ევროპა-ჩინეთს შორის. გლობალური დათბობით გამოწვეული ყინულის დნობა არქტიკის რეგიონში, ძალიან მაღალ კორელაციაშია ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებასთან, რაც რუსეთს უთუოდ სჭირდება.

მიმდინარე პროცესების კომპლექსურობიდან გამომდინარე, აქტორებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად შექმნილია არქტიკის სანაპირო დაცვის ფორუმი და არქტიკის ეკონომიკური საბჭო. თუმცა, ამ ინსტიტუტების მანდატი არ ვრცელდება უსაფრთხოების საკითხებზე.

რუსეთის მანევრები არქტიკულ რეგიონში კარგად დაბალანსებული პოლიტიკიდან მომდინარეობს. მას აქვს დიდი ეკონომიკური წილი რეგიონში და ცდილობს რესურსების მოპოვებით მიღებული მოგების მაქსიმალურად გაზრდას. არქტიკის რეგიონის ათვისებას დიდი როლის თამაში შეუძლია ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური პოტენციალის გაზრდისა და საგარეო პოლიტიკური ძლიერების რეგიონში პროექციის უზრუნველყოფა. თუმცა დასახული გეგმებისა და შექმნილი სტრატეგიების მიუხედავად, რუსეთი საგრძნობი პრობლემების წინაშე დგას:

- მოსახლეობის შემცირება არქტიკის რეგიონში;
- ადგილობრივი ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ნაკლებობა;
- ჩრდილოეთ ზღვის მარშრუტის განვითარების მიზნების შეუსრულებლობა;
- ეკოლოგიურ გამოწვევებზე რეაგირების უუნარობა.

მოცემულს ემატება საერთაშორისო საზოგადოების მცდელობა შეასუსტოს გლობალური დათბობის ტემპი. 2020 წლის 20 ნოემბერს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (გაერო-ს ერთ-ერთი სააგენტო) ინიციატივით გაერო-მ დაამტკიცა აკრძალვა არქტიკაში მძიმე სანჯავის გამოყენებასთან დაკავშირებით (Reuters, 2020). იმისდა მიუხედავად, რომ ეს აკრძალვა მრავალმა ეკოლოგიურმა ჯგუფმა გააპროტესტა მარეგულირებელი მექანიზმების სისუსტის გამო, მოცემული

პროცესი შეიძლება იქცეს საერთაშორისო საზოგადოების ქმედით ნაბიჯებად მოუწოდონ სახელმწიფოებს არქტიკაში აქტივობის შესამცირებლად.

რუსეთის სამხედრო აქტივობა არქტიკაში

არქტიკაში რუსეთის მთავარ სამხედრო ინსტრუმენტს წარმოადგენს ჩრდილოეთის ფლოტი, რომელსაც რუსეთის მზარდი ინტერესების გათვალისწინებით, 2020 წლის დეკემბერს პრეზიდენტის ბრძანებით, მიენიჭა სამხედრო ოლქის სტატუსი (ერთადერთი ფლოტილია ამ სტატუსით) (Humpert, 2021).

ჩრდილოეთის ფლოტის მთავარ მიზანს წარმოადგენს კოლის ნახევარკუნძულზე განთავსებული საზღვაო ბირთვული ძალების უსაფრთხოების დაცვა და რუსეთის ძალის პროექცია ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ტერიტორიებზე, როგორიცაა “GIUK-N-ის (გრენლანდია, ისლანდია, გაერთიანებული ბრიტანეთი-ნორვეგიის) საზღვარი (GIUK-N Gap)” (რუსეთს მისცემს ნატოს წევრებს შორის საზღვაო საკომუნიკაციო ხაზების ეფექტურობის შეზღუდვის შესაძლებლობას) (Melino & Conley, 2020). 2020 წელს ამავე გასასვლელისკენ რუსეთმა გააგზავნა 10 თავისი წყალქვეშა ხომალდი, რომელთა მიზანიც იყო დაედგინათ შეძლებდნენ თუ არა ნატოს სამხედრო ძალების გვერდის ავლას (Gatopoulos, 2021).

იმისდა მიუხედავად, რომ დასახელებულ შემთხვევაში ნატოს ხომალდებმა რუსეთის წყალქვეშა გემები დააფიქსირეს, ყოველივე ეს ქმნის საშიშ პრეცედენტს და მიუთითებს რუსეთის „არც თუ მშვიდობიან ზრახვებზე.“ ამგვარმა პროვოკაციებმა შეიძლება გაართულოს ნატოს წევრი სახელმწიფოების მალალი წარმომადგენლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება არქტიკის რეგიონში ტერიტორიული წყლების გადანაწილების პრობლემის გათვალისწინებით.

სტრატეგიული უნარების გასაუმჯობესებლად ჩრდილოეთის ფლოტი წლიდან წლამდე მასშტაბურ წვრთნებს აორგანიზებს. მაგალითისთვის,

- 2018 წლის სექტემბერში აღმოსავლეთ რუსეთსა და ბერინგის ზღვაში მოსკოვმა ჩაატარა სამხედრო წვრთნები «Восток-2018» („ვოსტოკ-2018“), რომელშიც მონაწილეობას 300 000 ჯარისკაცი იღებდა (1981 წლის შემდეგ ყველაზე დიდი სამხედრო წვრთნები) (Staalesen, 2018);
- 2019 წელს 130 000 ჯარისკაცისთვის (ამავდროულად, მონაწილეობას იღებდნენ ჩინეთის, ინდოეთის, პაკისტანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის სამხედრო დანაყოფები) ჩატარდა სამხედრო წვრთნები - «Центр-2019» („ცენტრ-2019“) (Staalesen, 2019);
- ამავე წლის ოქტომბერში სტრატეგიული ბირთვული ძალების სამხედრო წვრთნებიც ჩატარდა «Гром-2019» („გრომ-2019“), რომელშიც მონაწილეობას იღებდა 12 000 ჯარისკაცი, 105 თვითმფრინავი, 15 გემი და 5 წყალქვეშა გემი. ამ წვრთნების მიზანი ბირთვული შესაძლებლობის დემონსტრირება და „GIUK-N-ის სივრცეში“ ნატოს სამხედრო გემების შეუმჩნევლად გავლა იყო (Starchak, 2019).

საბოლოო ჯამში, წვრთნების მასშტაბურობის აღსაქმელად უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ჩრდილოეთის ფლოტმა 4 700 სამხედრო წვრთნები და 3 800 საბრძოლო მომზადების წვრთნები ჩაატარა, რომელთა ძირითადი ნაწილიც მიმართული იყო არა თუ რუსეთის აკვატორიის დაცვისკენ,

არამედ მისი სიმძლავრის პროექციასა და ციმბირის კუნძულებთან ახლოს არსებული ნავთობის, გაზის მარაგების დაცვისკენ (Conley & et. al. 2020).

რუსეთის სამხედრო ძალების მაღალ წარმომადგენლობასთან ერთად მიმდინარეობს აქტიური შეიარაღებაც. 2019 წლისთვის რუსეთის წყალქვეშა გემთა რაოდენობა აღწევდა 31-ს, რომელთა ფუნქციონირების საშუალო ასაკი 28 წელს წარმოადგენდა. თუმცა ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდების რენტაბელურობაზე დაკვირვებისას, მარტივად დავინახავთ, რომ ჩრდილოეთის ფლოტის ატომური წყალქვეშა ხომალდების საშუალო ასაკი ასეთი დიდი არასდროს ყოფილა. მაგალითისთვის, რუსეთის მფლობელობაშია «Дельта-4» (Delta-IV)² ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი 6 ხომალდი, რომლებიც მეორე თაობის რეაქტორებზე ფუნქციონირებენ (პირველი ასეთი რეაქტორი დამზადდა 1967 წელს), ისევე როგორც 3 «Ёрш» (“Victor”) კლასის წყალქვეშა ხომალდი. მოცემულს ემატება მესამე თაობის რეაქტორებზე მომუშავე 2 «Барракуда» (“Sierra”), 1 «Акула» (“Typhoon”), 3 «Гранит» (“Oscar”) და 6 «Щука-Б» (“Akula”) კლასის ხომალდები. შესაბამისად, რუსეთი ანალიზებს ფლოტის მოდერნიზაციის საჭიროებას, რაც ვლინდება 2020 წელს ჩრდილოეთის ფლოტისთვის მეოთხე თაობის ორი «Ясень» (“Yasen”) კლასის წყალქვეშა გემის დამზადებაში. დამატებით მშენებლობის პროცესშია «Ясень-ისა» და «Борей-ის» (“Borei”)³ კლასის 5 ხომალდი (Nilsen, 2019).

ყოველივე ამას თან ახლავს არქტიკის რეგიონში სამხედრო და სამეცნიერო-სამაშველო ბაზების გახსნა-რეაბილიტაცია. 2020 წლის სატელიტური სურათებით დგინდება, რომ სამხედრო ბაზების მოდერნიზება-რეაბილიტაციის პროცესი ფართო მასშტაბურია და ვლინდება 13 საჰაერო ბაზის, 10 სარადარო სადგურის, 20 სასაზღვრო პუნქტისა და 10 სამაშველო ბაზის გარემონტების სახით (Melino & Conley, 2020).


მაგალითისთვის, ნაგურსკოეს სამხედრო-საჰაერო ბაზის (ალექსანდრეს მიწის კუნძულზე, ქალაქ მურმანსკიდან 1,350 კილომეტრით დაშორებული) ასაფრენი ბილიკის დაგრძელებამ და ბაზის მოდიფიცირებამ გააჩინა საგრძნობი ეჭვი, რომ ბაზა მალევე გახდება ხელმისაწვდომი საბრძოლო თვითმფრინავებისთვის მთელი წლის განმავლობაში (Trevithick & Rogoway, 2020).

ამას ერთვება არქტიკის კუნძულებზე საჰაერო-თავდაცვითი სისტემების განთავსება (Sopka-2 რადარის სისტემები კეიპ შმიდტსა (Cape Schmidt) და ვრანგელის კუნძულზე, Bastion-P და Pantsir-S1 თავდაცვითი სისტემები კოტელნის კუნძულსა და ახალი მიწის არქიპელაგზე), რომლებიც ქმნიან კომპლექსურ საჰაერო თავდაცვით გუმბათს. განლაგებული სისტემების განვითარებისა და კომპლექსურობის დონე რუსეთის არქტიკის აკვატორიის დასავლეთით გადანაცვლებასთან ერთად იზრდება (Melino & Conley, 2020).

² Дельта-4 (Delta-IV) - მეოთხე თაობის ბალისტიკური რაკეტაა.

³ ფრჩხილებში მითითებულია რუსეთის წყალქვეშა გემებისთვის ნატოს მიერ მინიჭებული კოდიფიცირებული სახელები.

რუკა #3. რუსეთის მოქმედი და განახლების პროცესში არსებული ბაზები არქტიკის რეგიონში (German Institute for International and Security Affairs) (გადმოქართულებული)



დასკვნა

ამრიგად, არქტიკის რეგიონში რუსეთის პოლიტიკის მრავალგანზომილებიანი მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ხელისუფლება „პოსტ-პანდემიურ“ სამყაროსა და აღმოსავლეთ აზიაში მინერალურ სანაწარმებზე გაზრდილი მოთხოვნის მიზეზით მიჰყვება ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების ტრადიციულ გზას (ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე ზრუნვის ნაცვლად) - ეკონომიკური სისტემის „ნავთობ-დოლარებზე“ დაფუძნებას.

„ჩრდილოეთის საზღვაო გზის“ მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა ატარებს პოტენციალს აქციოს რუსეთი უმსხვილესი სავაჭრო გზის ცენტრალურ ელემენტად. კრემლის ეკონომიკური

ინტერესები და სწრაფვა მეტი აკვატორიის ათვისებისკენ დასულია არქტიკაში კონცენტრირებული რუსული სამხედრო დანაყოფებით (ჩრდილოეთის ფლოტი), რომლებიც კვლავ ინარჩუნებენ ცივი ომის დროს ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ამის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საზღვაო ძალების სიძლიერემ საგრძნობი დარტყმა მიიღო, თუმცა გლობალურ დათბობასთან ერთად რეგიონში გაჩენილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად რუსეთმა დაიწყო საზღვაო ძალების მოდერნიზება.

რუსეთის მოქმედებების გაანალიზებით არქტიკაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი მოქმედებს ცივი ომის დროინდელი ტაქტიკებით - ტერიტორიის სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ზრდის შეიარაღებას, რითაც მოქმედების თავისუფლება ეძლევა.

ბიბლიოგრაფია

- ძამუკაშვილი, ს. & გლურჯიძე, ე. (30 ივნისი, 2021). *არქტიკის გამდნარი ყინული და მზარდი საფრთხეები*. რონდელის ფონდი. თბილისი.
<https://www.gfsis.org/ge/blog/view/1277>
- Conley, H. A., Melino, M., Tsafos, N. & William I. (2020, March). *America's Arctic Moment, Great Power Competition in the Arctic to 2050*. Center for Strategic & International Studies (CSIS). pp. 12.
https://csis-website-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/publication/Conley_ArcticMoment_layout_WEB%20FINAL.pdf?EkVudAlPZnRPLwEdAIPO.GlpyEnNzINx
- Gatopoulos, A. (2021, April 20). *Project Force: Who will win the underwater arms race?* Al Jazeera. Retrieved on December 7, 2021, from:
<https://www.aljazeera.com/features/2021/4/20/silent-killers-21-century-submarines>
- Guo, L. & Wilson, S. L. (2020, March 29). *China, Russia, and Arctic Geopolitics: China's burgeoning role in the Arctic could translate into direct competition with Russia*. The Diplomat. Retrieved on December 7, 2021, from
<https://thediplomat.com/2020/03/china-russia-and-arctic-geopolitics>
- Heininen, L., Sergunin, A. & Yarovoy, G. (2014, September). *Russian Strategies in the Arctic: Avoiding a New Cold War*. Valdai Discussion Club. Moscow. pp. 78-80.
https://www.uarctic.org/media/857300/arctic_eng.pdf
- Humpert, M. (2021, January 13). *Russia Elevates Importance of Northern Fleet Upgrading it to Military District Status*. High North News. Retrieved on December 7, 2021, from:
<https://www.highnorthnews.com/en/russia-elevates-importance-northern-fleet-upgrading-it-military-district-status>
- Isachenkov, V. & Titova, I. (2019, April 9). *Putin outlines ambitious Arctic expansion program*. AP News. Retrieved on December 8, 2021, from:
<https://apnews.com/article/ap-top-news-st-petersburg-international-news-norway-arctic-d0c2eb39a3b44b40ac8ddb1749ebe143>
- King, H. M. *Who Owns the Arctic Ocean?* Geology.com. Retrieved December 6, 2021, from
<https://geology.com/articles/who-owns-the-arctic.shtml>
- Mehdiyeva, N. (2021, June 25). *“Strategy of development of the Arctic Zone of the Russian Federation and the provision of national security for the period to 2035”*. Document Review. Nato Defense College. Available at:
https://www.ndc.nato.int/research/research.php?icode=703#_ednref6
- Melino, M. & Conley, H. A. (Interactive Report). *The Ice Curtain: Russia's Arctic Military Presence*. Center for Strategic & International Studies (CSIS). Available at:
<https://www.csis.org/features/ice-curtain-russias-arctic-military-presence>

- Nilsen, T. (2019, June). *Nuclear Reactors in Arctic Russia*. The Barents Observer. Oslo, Norway. pp. 4-5; 11-19.
https://thebarentsobserver.com/sites/default/files/atom-rapport_barents_observer_1.pdf
- Reuters. (2020, November 20). *UN approves ban on heavy ship fuel in Arctic*. London. Retrieved on December 8, 2021, from:
<https://www.reuters.com/article/shipping-arctic-imo-idUKL8N2HY5IS>
- Rumer, E., Sokolsky, R. & Stronski, P. (2021, March). *Russia in the Arctic— A Critical Examination*. Carnegie, Endowment for International Peace. pp. 6-7.
https://carnegieendowment.org/files/Rumer_et_al_Russia_in_the_Arctic.pdf
- Staalesen, A. (2018, August 22). *As grand military rehearsal kicks off in Russian East, a Northern Fleet flotilla comes in through the Arctic*. The Barents Observer. Retrieved on December 8, 2021, from
<https://thebarentsobserver.com/en/security/2018/08/grand-military-rehearsal-kicks-russian-east-northern-fleet-flotilla-comes-through>
- Staalesen, A. (2019, September 16). *As Russia launches war games Tsentr-2019, Arctic troops advance on Bolshevik Island*. The Barents Observer. Retrieved on December 8, 2021, from
<https://thebarentsobserver.com/en/security/2019/09/revanchist-forces-advance-bolshevik-island>
- Starchak, M. (2019, October 29). *Key Features of Russia's Grom 2019 Nuclear Exercise*. The Jamestown Foundation. Retrieved on December 8, 2021, from
<https://jamestown.org/program/key-features-of-russias-grom-2019-nuclear-exercise/>
- Seethi, K. M. (2021, July 27). *Russia, the United States, and Churning Arctic Geopolitics*. The Arctic Institute. Retrieved on December 7, 2021, from
<https://www.thearcticinstitute.org/russia-united-states-churning-arctic-geopolitics/>
- Timchenko, L. (1997, March). *The Russian Arctic Sectoral Concept: Past and Present*. Arctic N50 (1). Arctic Institute of North America. pp. 30-31.
<https://www.jstor.org/stable/pdf/40512039.pdf?refreqid=excelsior%3A1302c0cfb09e5d09f7b804499a121699>
- Trevithick, J. & Rogoway, T. (2020, August 21). *Image Shows Russia Extending Runway At Arctic Base, Could Support Fighter Jets, Bombers*. The Drive. Retrieved on December 7, 2021, from
<https://www.thedrive.com/the-war-zone/35899/russia-is-extending-the-runway-at-its-arctic-base-could-support-tactical-jets-bombers>
- Young, O. R. (1985-1986). *The Age of the Arctic*. Foreign Policy (61). Slate Group. pp. 160-163.
https://www.jstor.org/stable/pdf/1148707.pdf?casa_token=pqkAU7n8PeUAAAAA:yum3nOUI9k65KyIMmSeqEhcL9DlCtc2XmNPRUWpJkFeynhbJmcp-DbacA9nIK7_czo5B0aSx2rqlpVvraDrgQNSWrCcsDVMZYMmO8UWIN62vNViTgGQ
- Yermakov, V. & Yermakova A. (2021, November). *The Northern Sea Route: A state priority in Russia's strategy of delivering Arctic hydrocarbons to global markets*. The Oxford Institute for Energy Studies. pp. 4-5.

<https://www.oxfordenergy.org/wpcms/wp-content/uploads/2021/11/Insight-105-The-Northern-Sea-Route.pdf>

➤ Zenzinov, V. (1944). *The Soviet Arctic*. The Russian Review, N3 (2). Wiley. pp. 69-70.

https://www.jstor.org/stable/125409?seq=1#metadata_info_tab_contents

➤ **დიაგრამა #1** - რუსეთის მიერ ექსპორტირებულ პროდუქციაში მინერალური საწვავების წილი 2000-2020 წლებს შორის (გამოსახული პროცენტებში). ხელმისაწვდომია:

<https://comtrade.un.org/data>

➤ **დიაგრამა #2** - Statista Volume of oil production in Russia from 2010 to 2019, by region. Statista. Available at:

<https://www.statista.com/statistics/305356/oil-production-in-russia-by-region/>

➤ **რეკა #1** – Milne, R. (2016, September 12). *Denmark rejects Russia call for swift talks on Arctic rights*. Financial Times. Copenhagen, Denmark. Retrieved on March 7, 2022, from:

<https://www.ft.com/content/d1810bd4-77e5-11e6-97ae-647294649b28>

➤ **რეკა #2** – Gordon, D. & Sautin Y. (2013, May 28). *Opportunities and Challenges Confronting Russian Oil*. Carnegie Endowment for International Peace. Washington, USA.

<https://carnegieendowment.org/2013/05/28/opportunities-and-challenges-confronting-russian-oil-pub-51856>

➤ **რეკა #3** – Paul, M. & Swistek, G. (2022, February). *Russia in the Arctic Development: Plans, Military Potential, and Conflict Prevention*. German Institute for International and Security Affairs. SWP Research Paper N3. Berlin, Germany. pp. 32.

https://www.swp-berlin.org/publications/products/research_papers/2022RP03_Russia_Arctic.pdf



კატარის დიპლომატიური კრიზისი: გამომწვევი მიზეზები და ბლოკადის გავლენა კატარზე

გვანცა ჩანგელია

ნინო ქოქოშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: gvantsa.changelia@gmail.com

E-mail: ninikokoshvili6@gmail.com

აბსტრაქტი

2021 წლის 5 იანვარს ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა კატარის სამწელიწად-ნახევრიანი ბლოკადა დაასრულეს. ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს (GCC) 41-ე სამიტზე ხელი მოეწერა სავაჭრო და სამგზავრო ურთიერთობების აღდგენის დოკუმენტს კატარსა და ბლოკადის ქვეყნებს შორის, რაც იმედს იძლევა მომავალი დიპლომატიური და კომერციული ურთიერთობების სრული აღდგენისათვის. კატარის დიპლომატიური კრიზისი 2014 წელს დაიწყო, როდესაც საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ეგვიპტემ და ბაჰრეინმა კატართან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტეს, 2017 წლის 5 ივნისს კი ამ უკანასკნელს ბლოკადა გამოუცხადეს. გადაწყვეტილების საფუძველად კატარის მიერ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა და დაფინანსება დაასახელეს, თუმცა ბლოკადის რეალური მიზეზი გაცილებით ღრმად უნდა ვეძებოთ. ჩვენი სტატიის მიზანია განვსაზღვროთ კატარის დიპლომატიური კრიზისის არსი და მნიშვნელობა, რისთვისაც პასუხი უნდა გავცეთ საკვლევ კითხვას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს- რა გახდა კატარის დიპლომატიური კრიზისის გამომწვევი მიზეზი და რა გავლენა იქონია მან კატარზე? სტატიის შესავალ ნაწილში საუბარი გვექნება უშუალოდ ბლოკადასა და მის წინაპირობებზე. მოცემული იქნება კვლევის მეთოდოლოგია და აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, შემდეგ განხილული იქნება კატარის შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ბლოკადის პირობებში, ბოლო ნაწილში კი დასკვნის სახით წარმოვადგენთ ბლოკადის გამომწვევ მიზეზებსა და ბლოკადის გავლენას კატარზე.

საკვანძო სიტყვები: კატარი, დიპლომატიური ბლოკადა, კატარის კრიზისი, ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო, საუდის არაბეთი, სანქციები.

შესავალი

2021 წელს კატარმა სამწელიწად-ნახევრიანი ბლოკადას დააღწია თავი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიპლომატიური დაძაბულობის საფუძველი უფრო შორ წარსულში მიდის და სათავეს 2002 წლიდან იღებს, როდესაც საუდის არაბეთმა თავისი ელჩი კატარიდან პირველად გამოიწვია, ამას 2014 წელი მოჰყვა, როდესაც საუდის არაბეთს ბაჰრეინი და არაბთა გაერთიანებული საამიროებიც შეუერთდნენ, კატარიდან ელჩები გამოიწვიეს და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტეს. 2017 წელს კი „ალ ჯაზირას“ საქმიანობისა და ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერის ბრალდებით ოთხმა არაბულმა სახელმწიფომ: საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ეგვიპტემ და ბაჰრეინმა კატარს ულტიმატუმი წაუყენა, რათა ამ უკანასკნელს შეესრულებინა მათ მიერ შემუშავებული „13 მოთხოვნა“, კატარის მიერ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობას კი შედეგად ამ სახელმწიფოთა მხრიდან კატარისათვის ბლოკადის გამოცხადება მოჰყვა- სავაჭრო, დიპლომატიური და სამგზავრო ურთიერთობები განწყდა, ბლოკადის ქვეყნებმა კატარიდან ელჩები გამოიხმეს და ინვესტიციებიც გამოიტანეს. მათი განცხადებით, ბლოკადა მიზნად ისახავდა კატარის სწორ საგარეო პოლიტიკურ კურსზე მოქცევას. ისინი თვლიდნენ, რომ ეკონომიკური ზეწოლა კატარს აიძულებდა დასთანხმებოდა მოთხოვნებს, თუმცა კატარმა გასაოცარი სიმტკიცე და გამძლეობა

გამოიჩინა და ბლოკადას ძალიან კარგად შეეგუა- ეკონომიკა კიდევ უფრო გააძლიერა, ახალი მოკავშირეები შეიძინა და თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგული დარჩა.

ზემოთხსენებული კონფლიქტი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და დღემდე არ კარგავს აქტუალობასა და მნიშვნელობას. მისი შესწავლისას კი საკმაოდ ლოგიკური კითხვა ჩნდება-რა გახდა კატარის დიპლომატიური კრიზისის გამომწვევი მიზეზი და რა გავლენა იქონია მან კატარზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კი უნდა გავეცნოთ ბლოკადამდე მდგომარეობას, კატარის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რეგიონალურ მდგომარეობასა და დღის წესრიგს, რაც საბოლოოდ საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ კრიზისის წარმოშობის მიზეზებში და განვსაზღვროთ ამ უკანასკნელის გავლენა კატარზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

მკვლევარი ჯენი ქინინმონტი თავის სტატიაში, „კატარის კრიზისის გავლენა“ საუბრობს კატარსა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოების ურთიერთობასა და მათ პოლიტიკაზე, რათა ახსნას ის მიზეზები, რამაც გამოიწვია მათი დაპირისპირება და მოგვიანებით დიპლომატიური ბლოკადა. ავტორი წერს, რომ დაპირისპირების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური დაპირისპირება, არაბული სახელმწიფოები და განსაკუთრებით არაბთა გაერთიანებული საამიროები ე.წ. „მუსლიმთა საძმოში“ საფრთხის ელემენტებს ხედავდა მაშინ, როდესაც კატარი საერთოდ არ მიიჩნევდა ამ ერთობას საფრთხედ და არც დიდ ყურადღებას აქცევდა მას. ამ ფაქტმა ორი სახელმწიფო ერთმანეთს დაუპირისპირა, რასაც მოჰყვა საამიროების მიერ კატარის ისლამური ჯგუფების მხარდაჭერაში დადანაშაულება. ამას გარდა, ისიც აღსანიშნავია, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებმა კატარი მისი საშინაო პოლიტიკის გამოც აითვალწუნეს, უფრო მეტად კი ახალი მაუწყებლობის, „ალ ჯაზირას“ გამო, რომელიც მათთვის არასასურველ ინფორმაციას აშუქებდა (Kinninmont. J, 2019). ავტორი აღნიშნულ ნაშრომში საინტერესოდ და რაციონალურად მიმოიხილავს მოვლენას და მის გამომწვევ მიზეზებს, დეტალურად აღწერს კრიზისის თითოეული დაპირისპირებული ქვეყნის პოზიციასა და არსებულ გარემოებებს.

სრი ვაჰიუნი თავის სტატიაში მოკლედ მიმოიხილავს კატარის დიპლომატიურ კრიზისს და მის გავლენას ქვეყანაზე, კერძოდ კი იმ კონკრეტულ შედეგებს რაც ამ მოვლენამ გამოიწვია, მაგალითად, როგორცაა ახალი სავაჭრო ურთიერთობების წარმოშობა ირანთან და თურქეთთან, ასევე ომანთან და ქუვეითთან, რომლებიც ერთსულოვნად არ დაემორჩილნენ საუდის არაბეთის პოზიციას და შეინარჩუნეს ურთიერთობები კატართან. ავტორი საუბრობს ბლოკადის შემდეგ ქვეყნაში შექმნილ ვითარებასა და მოვლენათა შემდეგ განვითარებაზე: საშინაო წარმოების გაზრდა როგორც ინდუსტრიული, ასევე აგრარული კუთხით, ნავთობის რესურსების განვითარება, კრიტიკული მედიის გაძლიერება ქვეყანაში, ტერორიზმის წინააღმდეგ გაღებული კონტრიბუციის ზრდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა, სამხედრო ძალების მომზადების გაზრდა და გაძლიერება, შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაძლიერება და სხვა. ამას გარდა, კატარში, სადაც არასდროს ყოფილა მინიმალური ხელფასის პოლიტიკა, ბლოკადის პირობებში გაუმჯობესებული ეკონომიკის შედეგად მინიმალური ხელფასი გახდა 200 დოლარი. ავტორი წერს, რომ ბლოკადამ გავლენა იქონია ვაჭრობაზე, შესაბამისად მუშახელსა და ოჯახებზე (Wahyuni. S, 2018). ავტორს საკმაოდ რაციონალურად აქვს აღწერილი ბლოკადის გავლენა კატარზე, იგი ძირითად ფაქტებს

გვანდის, თუმცა მსჯელობა ნაკლებია და არ ჩანს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და მოვლენის სიღრმისეული აღწერა.

ამერიკელი ექსპერტი რიჩარდ ნეფიუ ნაშრომში „კატარის სანქციების ეპიზოდი: კრიზისი, პასუხი და ნასწავლი გაკვეთილი“ აღწერს ბლოკადის დანერგვისას განვითარებულ მოვლენებს, როგორც იყო პირველ რიგში საკვების იმპორტის პრობლემა. მეორე პრობლემად იგი კატარის ეროვნული ფინანსური რეზერვების შემცირებას ასახელებს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ტურისტების დაკარგვით გამოწვეული ზარალზე, რომლებიც სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან შემოდიოდნენ. ავტორი წერს, რომ ამ და სხვა უარყოფითმა შედეგებმა ბლოკადის დასაწყისში ძალიან დააზარალა ქვეყანა, თუმცა დაახლოებით ერთ წელიწადში სიტუაცია თითქმის რადიკალურად შეიცვალა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა დაეხმარა ქვეყანას რომ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური შოკიდან გამოსულიყო, რაც ბლოკადამ მას მიაყენა. თავიდან მცირე ნაბიჯებით და დიდი გაჭირვებით ხდებოდა ეს, თუმცა კატარმა საბოლოოდ მოახერხა გაუმჯობესებინა დიპლომატიური საქმიანობები და ბევრად წინ წაინა ვიდრე ბლოკადამდე იყო- დაგეგმა დამოუკიდებლად განვითარების სტრატეგიები და განავითარა საერთაშორისო თანამშრომლობა (Nephew. R, 2020).

მეთოდოლოგია

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული კვლევა ძირითადად თეორიული მასალის მოძიებასა და დამუშავებას ემყარება, შესაბამისად, ნაშრომის მოსამზადებლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი ქეისების შესწავლა (case study) და მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა სიღრმისეულად გავვეანალიზებინა საკითხთან დაკავშირებული ცალკეული მოვლენები და ის უშუალო დაპირისპირებები, რომლებიც წინ უძღვოდა ბლოკადის გამოცხადებას.

კატარზე ბლოკადის ეკონომიკური გავლენის განსასაზღვრად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ნაშრომში მოყვანილი გვაქვს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი, რომლებიც გვიჩვენებენ კატარის ეკონომიკურ მდგომარეობას ბლოკადამდე და ბლოკადის შემდეგ. იმისათვის რომ პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას- „რა ვახდა კატარის დიპლომატიური კრიზისის გამომწვევი მიზეზი და რა გავლენა იქონია მან კატარზე?“- ნაშრომში გამოვიყენეთ სხვადასხვა წიგნები, სტატიები და კვლევები, რომლებიც ეყრდნობა მეცნიერთა, ანალიტიკოსთა და პოლიტიკოსთა შეფასებებს საკითხთან დაკავშირებით.

ბლოკადის წინაპირობები

იმისათვის, რომ კატარის ბლოკადის საწყისებში კარგად გავერკვეთ, საჭიროა განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტი სპარსეთის ყურის ქვეყნების შესახებ, ესენი არიან: კატარი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ომანი. ამ ქვეყნებმა 1981 წელს შექმნეს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება სახელწოდებით სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო (GCC). ამ სახელმწიფოებს ერთ რეგიონში მდებარეობის გარდა ბევრი საერთო აქვთ: საერთო არაბული ენა, ერთი რელიგია-ისლამი, მსგავსი კულტურა და ტრადიციები, საერთო ისტორია, მსგავსი პოლიტიკური სისტემები და ეკონომიკური საქმიანობაც კი, რომელიც ძირითადად ნავთობის მოპოვებას გულისხმობს. სოციალური კავშირებიც ძალიან ძლიერია ამ რეგიონში, რადგანაც ხშირია ეროვნებათაშორისო ქორწინებები. ამ სახელმწიფოებს

ჩამოყალიბებული ჰქონდათ საერთო იდენტობა, რომელსაც „ხალიჯის“ უწოდებენ და რომელიც განასხვავებს მათ სხვა არაბული ხალხებისაგან (Karolak.M, 2019). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთი ყოველთვის განიხილებოდა როგორც ამ საბჭოს ლიდერი ქვეყანა. საუდის არაბეთს გააჩნია ყველაზე მძლავრი ეკონომიკა, რადგანაც იგი რეგიონის ნავთობით ყველაზე მდიდარი ქვეყანაა- მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულზე გაანგარიშებით იგი პირველ ადგილს იკავებს ყურის რეგიონში. უდიდესია ფართობითაც და მოსახლეობის რაოდენობითაც, ამავდროულად ეს უკანასკნელი საკუთარ თავს ისლამური სამყაროს ლიდერ ქვეყნადაც მიიჩნევს, რასაც ისლამური სამყაროს ორი წმინდა ქალაქის- მექისა და მედინის მის ტერიტორიაზე მდებარეობა განაპირობებს (Al Jazeera English, 2019).



Britannica, T. Editors of Encyclopaedia (2021). Gulf Cooperation Council. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/topic/Gulf-Cooperation-Council>

ყურის ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვა და კატარის გაუცხოება 90-იანი წლებიდან დაიწყო. 1995 წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, მას შემდეგ, რაც კატარის პრინცმა ჰამად ბინ ხალიფა ალ თჰანიმ გადატრიალების გზით ქვეყანაზე კონტროლი აიღო. ახალმა ხალიფამ

გადანწყვიტა შეეცვალა კატარის განვითარების გზა, მან გადასინჯა კატარის საშინაო პოლიტიკა და საგარეო ურთიერთობები, გადააფასა არსებული კავშირები და გადანწყვიტა უფრო დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს მიჰყოლოდა. აღსანიშნავია, რომ მან გადანწყვიტა ურთიერთობების აღდგენა ირანთან და ერაყთან, რითაც არაბული ქვეყნები ძალიან შეაშფოთა (Cockburn. P, 1995). კატარმა გადანწყვიტა გამხდარიყო უფრო „დამოუკიდებელი“. 1996 წელს კატარში დაფუძნდა სატელევიზიო ქსელი „ალ ჯაზირა“, ამ მოქმედებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მომავალი კრიზისის განვითარებაში. „ალ ჯაზირა“ ცნობილი გახდა როგორც ლიბერალური არხი, რომელიც აშუქებდა რეალურ ამბებს და ფოკუსირდებოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, მას ხშირად აკრიტიკებდნენ პრო-ამერიკული შეხედულებების გამო. თავდაპირველად „ალ ჯაზირა“ მიიჩნეოდა ერთგვარ იმედოდ სპარსეთის ყურის დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესისათვის, თუმცა საბოლოო ჯამში რეგიონში მივიღეთ ისეთი სიტუაცია, რომ ქვეყნებმა კიდევ უფრო გააძლიერეს კონტროლი მედიაზე და ცდილობდნენ მაქსიმალურად შეეზღუდათ მედიის თავისუფლება (Tétreault. M, 2011). „ალ ჯაზირა“ არ იზიარებდა საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეების მოსაზრებებს სხვადასხვა ისლამური ჯგუფების შესახებ და განსხვავებულ ისლამურ ჯგუფებს, მაგალითად, როგორცაა „მუსლიმური საძმო“, თავის პლატფორმას უთმობდა, რათა მათ ჰქონოდათ საშუალება გაეზიარებინათ საკუთარი ხმა დანარჩენი მსოფლიოსათვის. კატარის ეს ქმედება აღქმული იქნა როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე მუსლიმური სამყაროს რეგიონალური სტაბილურობისათვის. კატარი მიიჩნევს ამბოხებულ ქვეყნად, რის გამოც სპარსეთის ქვეყნებმა გადანწყვიტეს მიეღოთ ზომები ნებისმიერი სახის გართულების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, 1996 წელს იყო მცდელობა ხელისუფლებიდან გადაეგდოთ კატარის ახალი ხალიფა. სამხედრო აჯანყებას მხარი დაუჭირა საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა, თუმცა მცდელობა ჩაიშალა, სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა და გაჩნდა საშინელი დაძაბულობა კატარსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის. მოგვიანებით, 2002 წელს „ალ ჯაზირას“ მიერ საუდის არაბეთის პოლიტიკის კრიტიკული მიმოხილვის გამო საუდის არაბეთმა დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა კატართან და მხოლოდ 2008 წელს აღადგინა მასთან კავშირი, იმ დაპირების შემდეგ, რომ „ალ ჯაზირა“ თავს შეიკავებდა საუდის არაბეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გაშუქებისაგან (Sultan Sooud Al Qassemi, 2011). საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ „ალ ჯაზირამ“ შექმნა ღია პოლიტიკური ატმოსფერო, სადაც დაპირისპირებულ ჯგუფებსაც კი თავიანთი პოზიციის გამოხატვის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, ფინანსური და პოლიტიკური კორუფციის შემთხვევების გასაჯაროების საშუალება მიეცათ. „ალ ჯაზირამ“ მსოფლიოს ყურადღება მიმართა ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროზე და ამ არაფორმალური დიპლომატიის წყალობით კატარი რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად და რეგიონალურ მედიატორად აქცია.

პარალელურად კატარმა გააღრმავა ეკონომიკური ურთიერთობები ირანთან, რაც საუდის არაბეთთან დაპირისპირებას ნიშნავდა, ვინაიდან საუდის არაბეთი და ირანი ფაქტიურად „ცივ ომში“ არიან ჩართულები ერთმანეთის წინააღმდეგ. 2017 წლის აპრილში, 12 წლიანი გაყინული ურთიერთობების შემდეგ, კატარმა გააუქმა თვითდანესებელი აკრძალვა ირანთან გაზის საბადოების განვითარების შესახებ და შექმნა გაერთიანება, რომელიც მომგებიანი იქნებოდა მისი ეკონომიკური განვითარებისათვის. საჭირო არაა აღვნიშნოთ, რომ ეს ეკონომიკური ურთიერთობა ირანთან ძალიან მომგებიანი იყო კატარისთვის, რადგან ეს ქვეყნები იზიარებენ გაზის რესურსებს

და მათი გაერთიანება მისცემდა ორივეს იმის შესაძლებლობას, რომ გაეზარდათ ნავთობის მოპოვება, რაც, ცხადია, გამოიწვევდა მათი შემოსავლის კიდევ უფრო მეტ ზრდას.

სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა და ჩიხისაკენ წავიდა 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ დაწყებასთან ერთად. უამრავი არაბული სახელმწიფო, მათ შორის ეგვიპტე, ტუნისი, სირია, იემენი და სხვა აჯანყებებმა მოიწვია, ხალხი გამოდიოდა ქუჩაში რათა დაემხო ავტორიტარულ ლიდერთა მმართველობა და დემოკრატიის მშენებლობისათვის ჩაეყარა საფუძველი. კატარის „ალ ჯაზირა“ იყო ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი არხი, რომელიც ამ ამბებს აშუქებდა, აწვდიდა ხალხს ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ და ავტორიტარი ლიდერების დამხობას ღიად უჭერდა მხარს. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კატარი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ყველაზე ნაკლებად დაზარალდა „არაბული გაზაფხულით“. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით კატარი ერთ-ერთი მონინავე ქვეყანაა მსოფლიოში და რომ გაზის საერთო რესურსით მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს, კატარმა მოახერხა საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა უზრუნველყო. 2010 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კატარის მოსახლეობის მხოლოდ 33% იყო მომხრე დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისა, მაშინ, როდესაც სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგალითად, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ეს მაჩვენებელი 70%-ს აღწევდა (Hurttila, K, 2019).

საუდის არაბეთის პერსპექტივიდან კატარის ქმედებები აღქმული იყო როგორც შესაძლო საფრთხე. საუდის არაბეთის შემფოთებას აძლიერებდა ეგვიპტელი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის დამხობის ფაქტი. საუდის არაბეთი თვლიდა, რომ თუკი მედია გააგრძელებდა „არაბული გაზაფხულის“ გაშუქებას, შესაძლოა ამ რევოლუციურ ტალღას მის სახელმწიფომდეც მოეღწია და საკუთარი მოსახლეობაც აეჯანყებინა. 2012 წელს ეგვიპტეში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები და მოჯამედ მორსი მოვიდა ქვეყნის სათავეში, მას ზურგს უმაგრებდა ორგანიზაცია სახელწოდებით „მუსლიმთა საძმოს“, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მორსი ჩამოგდებული იქნა სამხედრო ძალით. ათასობით მორსის მხარდამჭერი იქნა მოკლული შეტაკებისას, „ალ ჯაზირამ“, რა თქმა უნდა, ეს მოვლენებიც გააშუქა. კატარმა მხარდაჭერა გამოთქვა „მუსლიმური საძმოს“ მიმართაც, რომელიც ეგვიპტელი სამხედრო ლიდერების მიერ ტერორისტულ ჯგუფად იქნა გამოცხადებული.

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრებმა დაიწყეს ფიქრი, რომ კატარი ღიად მხარს უჭერდა ტერორიზმს და ის გახდებოდა სავარაუდო საფრთხე მუსლიმური სამყაროსა და რეგიონული სტაბილურობისთვის. შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, 2014 წელს სპარსეთის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა -საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა, თავიანთი ელჩები კატარიდან გამოიწვიეს და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტეს. მათი განცხადებით, „მუსლიმური საძმოს“ მხარდაჭერით კატარი ყურის ქვეყნების სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს (The guardian, 2014). კატარისა და ეგვიპტის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა 2015 წელს, როდესაც „ალ ჯაზირას“ მაუწყებლობამ გააშუქა ლიბიაზე ეგვიპტის საჰაერო თავდასხმის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა სურათები, რაც ეგვიპტემ საკუთარ სახელმწიფოზე პირდაპირ იერიშად აღიქვა.

რეალურად კატარი წამყვან დიპლომატიურ ძალად ყალიბდებოდა რეგიონში, რომელიც ამყარებდა ურთიერთობებს თითქმის ყველა ანტაგონისტ ჯგუფთან რეგიონის მასშტაბით და ცდილობდა გამხდარიყო მედიატორი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების პროცესში, რისი

მაგალითიცაა ის, რომ 2016 წელს კატარმა უმასპინძლა მოლაპარაკებებს თალიბანისა და ავღანეთის მთავრობას შორის.

მოვლენების ამგვარი განვითარების პარალელურად სპარსეთის ყურის ქვეყნებმა დაიწყეს აქტიური მოქმედება, რათა დაერწმუნებინათ აშშ, მხარი დაეჭირა კატარის წინააღმდეგ მათი ალიანსისათვის, მაგრამ იმ დროს პრეზიდენტი ბარაკ ობამამ ძირითადად დაკავებული იყო ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესებით და ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებით, რის გამოც იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების „გადმოხიზება“ ვერ მოხერხდა. დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი არაბულმა ქვეყნებმა ხელახლა სცადეს აშშ-ს მიმხრობა. ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა ტრამპში დაინახეს შესაძლებლობა კატართან ურთიერთობების საბოლოოდ დასასრულებლად და ისინი მართლებიც აღმოჩნდნენ, 2017 წელს ერ-რაიდის კონფერენციაზე, საუდის არაბეთში, დონალდ ტრამპმა მხარი დაუჭირა სპარსეთის ქვეყნებსა და მათ სურვილს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (Wintour. P, 2017).

შედეგად, 2017 წლის 5 ივლისს, საუდის არაბეთმა, ეგვიპტემ, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა კატარს ბლოკადა გამოუცხადეს. საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტერიტორია უეცრად ჩაკეტა, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები გაიყინა, კატარის მოქალაქეები ბლოკადის ქვეყნებიდან გამოაძევეს, ბლოკადამ უამრავი ოჯახი დაანგრია და ოჯახის წევრები ერთმანეთს დააშორა.

ბლოკადის დაწყებიდან 2 კვირის თავზე, 22 ივნისს, ბლოკადის ქვეყნებმა წარმოადგინეს დოკუმენტი სახელწოდებით “13 მოთხოვნა“, ეს იყო მოთხოვნათა სია, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა კატარს, რათა ბლოკადა მოხსნილიყო. მოთხოვნები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1. კატარმა უნდა განყვიტოს დიპლომატიური და სამხედრო კავშირი ირანთან; 2. დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს თურქეთის სამხედრო ბაზა და შეწყდეს თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა; 3. კატარმა უნდა განყვიტოს ყველა სახის კავშირი „ტერორისტულ ორგანიზაციებთან“ განსაკუთრებით კი „ისლამურ საძმოსთან“, „ალ-ქაიდასა“ და „ჰემბოლასთან“ და აღიაროს ისინი ტერორისტულ ორგანიზაციებად; 4. შეწყდეს იმ პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების დაფინანსება, რომლებიც საუდის არაბეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ეგვიპტის, ბაჰრეინის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად არიან ცნობილნი; 5. უნდა მოხდეს საუდის არაბეთიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ეგვიპტიდან და ბაჰრეინიდან „ტერორისტებად გამოცხადებული“, გაქცეული და ძებნილი პირების გადაცემა თავიანთი ქვეყნებისათვის, უნდა გაიყინოს მათი აქციები და გადაეცეს სახელმწიფოებს ყველა სახის ინფორმაცია მათ შესახებ; 6. უნდა შეჩერდეს „ალ-ჯაზირასა“ და მისი შვილობილი სადგურების მაუწყებლობა; 7. უნდა შეწყდეს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა და ეგვიპტიდან, საუდის არაბეთიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და ბაჰრეინიდან ძებნილი ინდივიდებისათვის თავშესაფრის შეთავაზება; 8. უნდა მოხდეს გასულ წლებში კატარის პოლიტიკური კურსის მიერ გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურება რეპარაციებისა და კომპენსაციების სახით; 9. კატარმა თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციო და სამხედრო პოლიტიკა ყურის ქვეყანათა პოლიტიკასთან უნდა მოიყვანოს თანხვედრაში; 10. კატარმა უნდა განყვიტოს კონტაქტი ბლოკადის ქვეყნების ოპოზიციასთან; 11. უნდა დაიხუროს კატარის მიერ პირდაპირ და ირიბად დაფინანსებული ყველა საინფორმაციო არხი, მათ შორის Arabi21, Rassd, Al

Araby, Al Jadeed, Mekameleen და Middle East Eye და ა.შ; 12. თანხმობა კატარის მხრიდან მოთხოვნებზე დათანხმებიდან ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიური შესაბამისობის აუდიტის, მეორე წლიდან კვარტალური და შემდეგი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიური აუდიტის ჩატარებაზე; 13. მოთხოვნებზე დასათანხმებლად კატარს 10 დღიანი ვადა მიეცა, ამ დროის გასვლის შემდეგ ლოკუმენტი ძალას კარგავს; (Hurttila. K, 2019). ლოკუმენტის წარმდგენთა განცხადებით, ამ მოთხოვნებზე დათანხმება იქნებოდა საწყისი ბლოკადის მოხსნისა. სპარსეთის ყურის ქვეყნების განცხადებით, ბლოკადის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ კატარი სწორ პოლიტიკურ კურსს დაბრუნებოდა. მათი აზრით, ის პოლიტიკა, რომელსაც კატარი ატარებდა, ყოველად მიუღებელი იყო. არაბთა გაერთიანებული საამიროების და ბაჰრეინის მთავრობებმა ისიც კი გამოაცხადეს, რომ მათი მოქალაქეების მხრიდან ნებისმიერი სახით გამოხატული სიმპათია კატარის მიმართ მიჩნეული იქნებოდა არალეგალურად და დაისჯებოდა 3-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

კატარი, თავის მხრივ, კატეგორიულად უარყოფდა რაიმე სახის კავშირს ტერორისტულ ორგანიზაციებთან, უარყოფდა ყველა ბრალდებას და, რა თქმა უნდა, არც მოთხოვნათა შესრულებას აპირებდა. მთავრობის სპიკერმა საიფ აჰმედ ალ თჰანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „მოთხოვნების ჩამონათვალი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რასაც კატარი თავიდანვე აღნიშნავდა - არალეგალურ ბლოკადას არაფერი აქვს საერთო ტერორიზმთან ბრძოლაში. ეს არის ორგანიზებული ბრძოლა კატარის სუვერენიტეტის წინააღმდეგ, ბლოკადის ქვეყნებს სურთ დააზარალონ ჩვენი საგარეო პოლიტიკა“ (EL PAIS, 2017).


უნდა აღვნიშნოთ რომ არაერთი ქვეყანა მხარს უჭერდა დიალოგს კრიზისის აღმოფხვრისთვის, მაგალითად გერმანია მხარს უჭერდა კატარს და ადანაშაულებდა კიდევ დონალდ ტრამპს კონფლიქტის გაღრმავებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მათგანს რეალური ნაბიჯი კრიზისის აღმოსაფხვრელად არ გადაუდგამს (Kinninmont.J, 2019). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კატარის ბლოკადამ გამოიწვია სერიოზული დესტაბილიზაცია თავად სპარსეთის თანამშრომლობის საბჭოშიც, რაც გამოიხატა იმაში, რომ საბჭოს ორმა წევრმა- ქუვეითმა და ომანმა უარი განაცხადეს საუდის არაბეთის მოთხოვნაზე კატართან კავშირის განწყვეტის შესახებ.

კატარის პასუხი და შედეგები

მოსალოდნელი იყო, რომ ბლოკადა ძალიან დააზარალებდა კატარის ეკონომიკას, დატოვებდა ქვეყანას სასიცოცხლო რესურსების გარეშე და საბოლოოდ აიძულებდა მას მიეღო შემოთავაზებული წინადადებები. საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ბაჰრეინი კატარის გაზის უდიდესი შემსყიდველები არიან, მათ შორის არაბთა გაერთიანებული საამიროები იმპორტირებული ნავთობის მესამედს სწორედ კატარიდან იღებს. უდიდესია ინვესტიციების რაოდენობაც- მათი რაოდენობა ათეულობით მილიარდს აღემატება. ამასთან, კატარი იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, მისი საკვები მარაგის თითქმის 80% სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან შემოდის და ისეთი რესურსებიც, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან შემოდის, გადიოდა ბლოკადის ქვეყნების ტერიტორიას და სავარაუდო იყო, რომ ეს ბლოკადა დამანგრეველად იმოქმედებდა კატარის ეკონომიკაზე. მოლოდინი გამართლდა, ბლოკადამ ნამდვილად დააზარალა კატარის ეკონომიკა, ჯერ კიდევ კრიზისის პირველ დღეს კატარის საფონდო ბირჟა 9,7% -ით დაეცა ხოლო ერთ კვირაში ნიშნულმა 30%-ს მიაღწია, შეიქმნა იმპორტირებული საქონლის დეფიციტი. თუმცა კატარმა მალევე მოძებნა გზა კრიზისის

აღმოსაფხვრელად, მან დაიწყო ვაჭრობა ირანთან და თურქეთთან, ამავდროულად დაიწყო საკუთარი პროდუქციის წარმოება, რათა იმპორტზე დამოკიდებულება შეემცირებინა და უფრო თვითკმარი ბაზარი შეექმნა. ახალი სავაჭრო გზების გამოყენებით და საზღვაო პორტებზე დატვირთვის გაზრდით კატარმა მოახერხა და 2017 წელს 1.5%-იანი ეკონომიკური ზრდა შეინარჩუნა.(Al Jazeera, 2020). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმპორტირებული საქონლის დეფიციტისა, ბლოკადას ფასების შესამჩნევი ცვლილება არ გამოუწვევია და ინფლაციის მაჩვენებელიც 2017 წელს ერთ პროცენტზე დაბალი იყო (The Global Post, 2019). საინტერესოა ისიც, რომ კრიზისის გაურკვეველობამ აიძულა უმუშევარი მოსახლეობა სამსახური ეძებნა, რამაც სამუშაო ბაზარიც გაზარდა. გაიზარდა შემოსავალიც, 2017 წლის მონაცემებით მოსახლეობის 62%-ის შემოსავალი თვიურად დაახლოებით 11 ათასი ამერიკული დოლარის ექვივალენტი იყო, 2019 წლისათვის კი ეს რიცხვი 76%-მდე იყო გაზრდილი, რაც 23%-იანი შეფარდებითი ზრდის ტოლფასია (Gengler, J, 2021).

GCC მშპ-ის რეალური ზრდის პერსპექტივა



Source: 2019 World Economic Outlook, IMF

©Gulf News

Gulf news (2019). GCC economies slow down in tandem with global trend, <https://gulfnews.com/business/gcc-economies-slow-down-in-tandem-with-global-trend-1.67145361>

მოცემულ ცხრილზე ჩანს, რომ კატარმა სამწლიანი ბლოკადის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დადებითი ტემპის შენარჩუნება მოახერხა და გადაუსწრო კიდევ საუდის არაბეთს, ბაჰრეინსა და არაბთა გაერთიანებულ სამიროებს. ეს ყოველივე კი ცალსახად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ეფექტურად შეძლო კატარმა ბლოკადასთან გამკლავება.

ბლოკადის შემდეგ კატარმა დაიწყო თავდაცვაზე ზრუნვაც, მან სამხედრო ალიანსი შექმნა თურქეთთან. ბლოკადის დაწყებიდან მოყოლებული თურქეთის არმიის რაოდენობა კატარში თითქმის ათჯერ გაიზარდა, თურქეთმა მეორე სამხედრო ბაზაც გახსნა კატარში, მეორე მხრივ კი

კატარმა გაზარდა ინვესტირება თურქეთში და მესამე უდიდესი ინვესტორი გახდა. ამასთან 2017 წლის შემდეგ მან თითქმის გააორმაგა სამხედრო ბიუჯეტი, მათ შორის 30 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის თანხა გამოყო სამხედრო აღჭურვილობის, განსაკუთრებით კი საჰაერო ძალების გასაძლიერებლად. როგორც ცნობილია, კატარმა ბლოკადის პირველი ორი თვის განმავლობაში თავისი 340 მილიარდიანი სარემონტო ფინანსების დაახლოებით 10%- 38.5 მილიარდი ამერიკული დოლარი დახარჯა ქვეყნის ეკონომიკაში ჩასადებად (Hodgson. C, 2017).

ამასთან, კატარმა გააღრმავა ურთიერთობები ჩინეთსა და რუსეთთან. კატარმა გააძლიერა ინვესტირება რუსეთში, მაგალითად კატარის საინვესტიციო ორგანო რუსული ნავთობკომპანია „რონსეფტის“ 18,9%-იანი წილის მფლობელი გახდა, რითაც რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მესამე უმსხვილეს აქციონერად იქცა (Bloomberg, 2019).

სამ-ნახევარი წლის შემდეგ, 2021 წლის 5 იანვარს ბლოკადა დასრულდა, ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებმა და კატარმა საუდის არაბეთში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „სოლიდარობისა და სტაბილურობის“ შესახებ. კატარის მხრიდან არც ერთი მოთხოვნა არ შესრულებულა, ბლოკადამ ვერ შეძლო კატარის ეკონომიკის დასუსტება ან მისი საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი როლი აქვს ითამაშა ჯო ბაიდენის გამარჯვებამ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, ვინაიდან აშშ ბლოკადას მხარს უჭერდა ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, მაგრამ ბაიდენმა ნათლად აღნიშნა, რომ ის არ დაუჭერდა მხარს საუდის არაბეთის პროვოკაციულ მანევრირებებს რეგიონში (Cage. M, 2021). კატარში მდებარეობს აშშ-ს ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა რეგიონში, მას აქვს ძლიერი ეკონომიკური, პოლიტიკური და აკადემიური კავშირები ქვეყანასთან და ამის გამო სავარაუდოდ ბაიდენის ადმინისტრაცია ეცდება შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა კატართან.

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბლოკადა იყო სასოწარკვეთილი და უშედეგო მცდელობა სპარსეთის ყურის ქვეყნების მხრიდან გაენეიტრალეზინათ კატარიდან მომავალი შესაძლო საფრთხე. კატარი აშკარად არ ეთანხმებოდა საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელსაც იგი სხვა სახელმწიფოებსაც აქტიურად ახვევდა თავს და ამით რეგიონალურ სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს. სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს, და ძირითადად საუდის არაბეთს, სურდა შეენარჩუნებინა რეგიონალური ბალანსი, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბლოკადა აიძულებდა კატარს დამჭდარიყო მოლაპარაკებების მაგიდასთან და უარეყო არჩეული გეზი, თუმცა, კატარი მეტად გამძლე აღმოჩნდა და ისწავლა ცხოვრება ბლოკადასთან ერთად. მეტიც, პანდემიის ფონზე მას ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაჩვენებელი ყურის რეგიონში. კატარმა იპოვა ბევრად უკეთესი პარტნიორები ირანისა და თურქეთის სახით. კატარმა განახორციელა ცვლილებები იმისათვის, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის კატარში ინვესტირება გაემარტივებინა, მან მოახერხა შიდა წარმოების გაზრდით ეკონომიკა უფრო თვითკმარი გაეხადა და რაც მთავარია გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი და გაიუმჯობესა სამხედრო შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტემ, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა და საუდის არაბეთმა არასწორად გათვალეს კატარის პოტენციალი და უნარი. მიუხედავად სიძნელეებისა, კატარმა მოახერხა იმაზე ძლიერი გამხდარიყო,

ვიდრე ბლოკადამდე იყო, მან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი შეინარჩუნა და საუდის არაბეთის დომინანტურ პოლიტიკას კიდევ უფრო ჩამოშორდა.

ბიბლიოგრაფია:

1. Al Jazeera (2020), Qatar blockade: Five things to know about the Gulf crisis, <https://www.aljazeera.com/news/2020/6/5/qatar-blockade-five-things-to-know-about-the-gulf-crisis>
2. Al Jazeera English (2019), The Qatar Blockade, Youtube.com <https://www.youtube.com/watch?v=GZJwyEXUb58>
3. Bloomberg, (2019). Qatar Seeks More Russia Deals After ‘Great’ Rosneft Investment, <https://www.bloomberg.com/news/articles/2019-03-11/qatar-seeks-more-russia-deals-after-great-rosneft-investment>
4. Britannica, T. Editors of Encyclopaedia (2021). Gulf Cooperation Council. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/topic/Gulf-Cooperation-Council>
5. Cage, M. (2021). Saudi Arabia just lifted Qatar’s 43-month blockade. How did this rift end?, The Washington Post, <https://www.washingtonpost.com/politics/2021/01/08/saudi-arabia-just-lifted-qatars-43-month-blockade-how-did-this-rift-end/>
6. Cockburn, P. (1995). Emir of Qatar deposed by his son, Independent, <https://www.independent.co.uk/news/world/emir-of-qatar-deposed-by-his-son-1588698.html>
7. EL PAIS (2017). „The blockading countries want to outsource our foreign policy” https://english.elpais.com/elpais/2017/11/04/inenglish/1509807720_509487.html
8. Gengler, J. (2021). Society and State in Post-Blockade Qatar: Lessons for the Arab Gulf Region, *Journal of Arabian studies*, <https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/21534764.2020.1828023?needAccess=true>
9. Gulf news (2019). GCC economies slow down in tandem with global trend, <https://gulfnews.com/business/gcc-economies-slow-down-in-tandem-with-global-trend-1.67145361>
10. Hodgson, C. (2017). 'The severity of the dispute is unprecedented': Qatar has spent \$40 billion countering the Saudi-led blockade, Insider, <https://www.businessinsider.com/qatar-blockade-cost-moodys-saudi-arabia-2017-9>
11. Hurttila, K. (2019). „Regional Balance of Power- Analyzing Causes Behind Qatar’s Diplomatic Crisis”, Tallinn University of Technology, <file:///C:/Users/PC/Downloads/6f944bcef49f4651a123f2832f0cb5c0.pdf>
12. Karolak, M. (2019). „Gulf Countries: The Struggle for a Common Identity in a Divided GCC”, *Italian Institute For International Political Studies*, https://www.ispionline.it/sites/default/files/pubblicazioni/commentary_karolak_16.05.2019.pdf

13. Kinninmont, J. (2019). "The Gulf Divided: The Impact of the Qatar Crisis", *The Royal Institute of International Affairs*, https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/research/2019-05-30-Gulf%20Crisis_0.pdf
14. Nephew, R. (2020). „The Qatari Sanctions Episode: Crisis, Response, and Lessons Learned”, *SIPA-Center on Global Energy Policy*, https://www.energypolicy.columbia.edu/sites/default/files/file-uploads/QatariSanctions_CGEP_Report_102220.pdf
15. SAI Qassemi, S. (2011). How Saudi Arabia and Qatar Became Friends Again, Foreign policy, <https://foreignpolicy.com/2011/07/21/how-saudi-arabia-and-qatar-became-friends-again/>
16. Tétreault, M. (2011). „The Winter of the Arab Spring in the Gulf Monarchies”, *Journal of Globalizations Accessible*, <https://doi.org/10.1080/14747731.2011.621658>
17. The Global Post (2019). Qatar’s Blockade Enters Third Year: Who Are the Winners and Losers?, <https://theglobepost.com/2019/06/17/qatar-crisis-gcc/>
18. The guardian (2014). Arab states withdraw ambassadors from Qatar in protest at 'interference', <https://www.theguardian.com/world/2014/mar/05/arab-states-qatar-withdraw-ambassadors-protest>
19. Wahyuni, S. (2018). "The Impact of the GCC Boycott On Qatar Foreign Policy", *Jurnal Transformasi Global* vol4, N2, <https://transformasiglobal.ub.ac.id/index.php/trans/article/view/71>
20. Wintour, P. (2017). Donald Trump tweets support for blockade imposed on Qatar, <https://www.theguardian.com/world/2017/jun/06/qatar-panic-buying-as-shoppers-stockpile-food-due-to-saudi-blockade>

Student
Journal of
Social **S**ciences

სტუდენტთა უურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#19, თებერვალი, 2022



არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების
გამონვევები (თბილისის მაგალითზე)

ლელა ქოროღლიშვილი
მარიამ ქარქაშაძე

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: leluka.koroghlishvili@gmail.com
marikarkashadze@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, უამრავი შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს, რომელთა დიდ ნაწილს არასრულწლოვნები წარმოადგენენ. ბუნებრივია, სხვადასხვა ტიპის შებლუდების მქონე ადამიანები ჩვენი საზოგადოების განუყოფელ, სრულფასოვან ნაწილს შეადგენენ, რომელთაც როგორც განათლების მიღება და კარიერული განვითარება, ისე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მრავალი სფეროს განვითარებაში. თუმცა, ძირითად შემთხვევებში, მათთვის, ისევე, როგორც მათი ოჯახის წევრებისთვის, რეალობა საკმაოდ მძიმე და სტრესულია. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალებს, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შებლუდული შესაძლებლობების მქონე შვილი\შვილები, ხშირად დამოუკიდებლად, მარტო უწევთ არსებულ დაბრკოლებებთან გამკლავება. რა თქმა უნდა, ბევრ განსხვავებულ კონტექსტში, უამრავი გამოწვევა ახლავს თან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირის დედობას. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა სოციალიზაცია, კარიერა, პირადი ურთიერთობები და სხვა. შესაბამისად, გარდა მიკრო და მეზო დონის თანადგომის ქსელისა (ოჯახი, მეგობრები, ნათესავები), აუცილებელია მაკრო დონის მხარდაჭერაც, რაშიც იგულისხმება სახელმწიფოს მზაობა ქალთა გაძლიერების მიმართულებით. კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თითოეული ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. შეიზღუდა სერვისების მიწოდება, შესაბამისად, ოჯახები დარჩნენ სხვადასხვა ტიპის დახმარების გარეშე, იკლო სოციალურმა ურთიერთობებმა, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი თემის მარგინალიზაციას. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დეტალურად შევისწავლოთ, თუ რა გამოწვევებსა და დაბრკოლებებს აწყდებიან შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედები.

კვლევის მიზანია თბილისში მცხოვრებ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების ყოველდღიურ გამოწვევათა შესწავლა და ანალიზი.

მოკემული ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ:

1. სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც ჩატარდა თბილისში მცხოვრებ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედებთან.
2. დოკუმენტების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა ადგილობრივი პუბლიკაციები, რელევანტური კვლევები და სახელმწიფო ანგარიშები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მრავალმხრივი გამოწვევები, რომლებსაც არასრულწლოვანი შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების დედები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამაში იგულისხმება ისეთი გარემოებები, როგორცაა სოციალიზაციის ნაკლებობა, საზოგადოებრივი წნეხი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მოურგებელი სერვისები და არაადაპტირებული გარემო. ფსიქო-ემოციურობის თვალსაზრისით, საწყის ეტაპზე დედებში გამოიკვეთა ბავშვის მდგომარეობის მიღების სირთულე და შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, რის გადალახვასაც თან ახლდა მორალური გაძლიერება და ბრძოლისუნარიანობის მატება. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიამ მათთვის მეტად გაამძაფრა როგორც მატერიალური, ისე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვან შშმ პირთა დედები, სოციალიზაცია, არასრულწლოვან შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები, შშმ ბავშვების გამონწვევები.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

საქართველოს კანონით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ, შშმ პირი გახლავთ „ მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევის მქონე, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“ (საქართველოს პარლამენტი, 2020, გვ.1). ამავე კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს შშმ ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვა, მათი უფლებების რეალიზება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და საზოგადოებასთან სრულფასოვანი ინტეგრაცია. ადგილობრივი ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი ყველა პირი (საქართველოს პარლამენტი, 2019). გაეროს ბავშთა ფონდის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, დაახლოებით 240 მილიონ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა. პროცენტული განაწილების თანახმად, 2-17 წლამდე ბავშვებში ყველაზე ხშირად (5%) ვლინდება ერთი, ან ერთზე მეტი ტიპის ფუნქციური დარღვევა, რაშიც იგულისხმება მოტორული, სენსორული, კოგნიტური, ემოციური და სხვა ტიპის შეზღუდვები (UNICEF, 2021). აქვე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობა ზრდის საზოგადოებისგან გარიყვისა და საჭიროებათა უგულებელყოფის შანსს. დაახლოებით 3-დან 1 შშმ ბავშვს, არ აქვს განათლების ხელმისაწვდომობა (Eberechukwu, 2018). რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, რეგისტრირებულია 5,172 შშმ ბავშვი. ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2017 წელს რეგისტრირებულია გაორმაგებული რაოდენობა – 10,052 სოციალური დახმარების მიმღები შშმ ბავშვი (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ყველა ადამიანს სჭირდება გარკვეული ტიპის მხარდაჭერა, ეს შეიძლება იყოს როგორც ემოციური სახის, ისე ფიზიკური. პატრიარქალურ საზოგადოებაში არასამართლიანად ხდება როლების გადანაწილება, რის საფუძველზეც ხშირად ზრუნვას ქალის სოციალურ და ეკონომიკურ როლთან აკავშირებენ. იქიდან გამომდინარე, რომ მამაკაცთა დიდ ნაწილს არ გააჩნია საჭირო კომპეტენცია შშმ არასრულწლოვნის მოვლის კუთხით, უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს დედა. მეტიც, გარდა ზრუნვასთან დაკავშირებული ტრადიციული აქტივობების შესრულებისა, ხშირად მათ უწევთ „სპეციალიზებული“ ცოდნის შეძენა (გოგბერაშვილი, შშმ ბავშვის დედად ყოფნა- ზრუნვა, როგორც ბრძოლა, 2019). მამაკაცები ქალებთან შედარებით მენტალურად უფრო სუსტები და ემოციურად მონყვლადები არიან, ხშირად ისინი ვერ უძლებენ დიაგნოზის გაგებასთან დაკავშირებულ სტრესს და თავს არიდებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობლობას. მათ ასეთ გადანყვეტილებას კი ხელს უწყობს საზოგადოებაში ფესვგადგმული სტერეოტიპები, სირცხვილის გრძობა და სხვა მრავალი ფაქტორი, რაც ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად აიძულებს მათ უარი თქვან მშობლობაზე, ახალი ცხოვრება დაიწყონ და მთლიანი პასუხისმგებლობა ქალებს გადააბარონ. დედები კი სიცოცხლის ბოლომდე ძალისხმევას არ იშურებენ, საკუთარი შვილების

კეთილდღეობისთვის (გოგბერაშვილი & კარაპეტიანი, 2019). ამასთანავე, დედებს უნევთ გაუმკლავდნენ ისეთ გამონვევებს, როგორცაა სტიგმა, როგორც აგრესიული, ისე სიბრაულის სახით. არანაკლებ დისკომფორტს წარმოადგენს პოზიტიური დისკრიმინაცია, რაშიც იგულისხმება გადამეტებული ზრუნვა, პრივილეგიების მინიჭება და სხვა. საბოლოო ჯამში შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საზოგადოების მხრიდან აგრესია, შეცოდება და ჭარბი ზრუნვა განაპირობებს დისკრიმინაციულ მიდგომებს, რაც იწვევს შშმ ბავშვების ექსკლუზიას (UNICEF, 2016). გარიყვას ხელს უწყობს ისიც, რომ ქვეყანაში მოქმედი შეფასების მოდელი ვერ აკმაყოფილებს შშმ პირთა საჭიროებებს. შეფასების სამედიცინო, იგივე ტრადიციული მოდელი ყურადღებას ამახვილებს ფიზიკურ შემზღუდულობასა და ნაკლზე, რაც თავის მხრივ აფერხებს ინდივიდის პოტენციალისა და შესაძლებლობების რეალიზებას. სოციალური მოდელი კი ხელს უწყობს შშმ პირთა იდენტობის პოზიტიურ შეგრძნებასა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებითი ბარიერების მოხსნას (აბაშიძე, 2018).

ლიტერატურის მიმოხილვა და შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის ცხოვრების ძირითად მისიას დედობა და ბავშვზე ზრუნვა წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია რიგ მორალურ ფაქტორებთან და ფიზიკურ პრომასთან. სიმონ დე ბოვუარი ჩავგრის ფორმად მიიჩნევს „ქალური ბუნების“ მითის არსებობას, რომლის მიხედვითაც სულიერებასა და ბუნებასთან ქალი უფრო ახლოსაა, ვიდრე მამაკაცი. ეს კი კაცების მიერ ქალის კონტროლის კიდევ ერთ გზას წარმოადგენდა. ბოვუარის აზრით, ქალები დედობის გამო ორმაგად იჩაგრებიან, რადგან ბიოლოგიურად ორსულობის დროს კარგავენ საკუთარ თავზე კონტროლს და შემდგომში სოციალურად ბავშვის აღზრდის მოვალეობიდან გამომდინარე. ხშირად ჩვენს საზოგადოებაში ქალებს მხოლოდ დადებით მხარეებზე ესაუბრებიან და დედობასთან დაკავშირებულ სირთულეებს უგულებელყოფენ. სინამდვილეში კი რეალობა სულ სხვა რამეზე მიუთითებს. ბრაზი, წყენა, გადაღლილობა და უიმედობის განცდა- ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უარყოფითი ემოციებისა, რაც დედობასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ეს ემოცია გამძაფრებულად იგრძნობა შემზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დედების ცხოვრებაში. რაც მრავალი ისეთი ფაქტორითაა განპირობებული, როგორცაა: საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი აღქმა, საკუთარი ცხოვრების ფუნდამენტურად შეცვლა, პირადი ცხოვრების დაკარგვა, თანადგომის ქსელის არ არსებობა. მარტოხელა დედები კი ორმხრივი გამონვევების წინაშე დგანან. მათ ერთი მხრივ უნევთ ფინანსურ და მატერიალურ საკითხებზე ზრუნვა, ხოლო მეორე მხრივ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ სირთულეებთან გამკლავება (Beauvoir, 2010). შემზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედობა ბევრ ბუნდოვან და გაურკვეველ ემოციასთანაა დაკავშირებული, დიაგნოზის გაგების მომენტიდან დაწყებული, რეალობის სწორად გააზრებით დამთავრებული. ელიზაბეტ კუბლერ-როსმა შემოგვთავაზა მოკვდინების 5 საფეხურიანი მოდელი. ესენია: უარყოფა, გამმაგება-სიბრაზე, მორიგება- შეთანხმება, დეპრესია და მიღება- თანხმობა. პირველი არის უარყოფა, როდესაც ადამიანები საკუთარ თავებს ეუბნებიან, რომ ეს ფაქტი შეუძლებელია მათ ცხოვრებაში მომხდარიყო. კლიენტებისთვის რთულია უნარშემზღუდულობის აღიარება, ისინი თავებს უვარგისად და სუსტებად აღიქვამენ, რადგან საზოგადოებაში სადაც დომინანტია ლამაზი სხეული

იქ შეზღუდული შესაძლებლობა ნაკლად ითვლება. მეორე ეს არის გამმაგება-სიბრაზე თუ რატომ მაინცდამაინც მე? ადამიანების გაღიზიანება შესაძლოა გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ვერ ერთვებიან ისეთ აქტივობებში, როგორშიც მათი მეგობრები, ახლობლები და შესაბამისად, უსამართლობის გრძნობა ეუფლებათ. შესამე მორიგება- შეთანხმების ფაზა, როდესაც კლიენტი იაზრებს მის მდგომარეობას, უუნარობასა და ცდილობს სხვა ალტერნატივით ჩანაცვლებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ამ დროს ფიქრობენ, რომ მედიცინა უფრო განვითარდება, უკეთესობისკენ შეიცვლება მათი ცხოვრება და ეს ცვლილებები მათ ყოველდღიურობას გააუმჯობესებს. მეოთხე დეპრესია- ამ საფეხურზე კლიენტები აღარ უარყოფენ საკუთარ მდგომარეობას, იაზრებენ არსებულ მოცემულობას და ეცოდებათ საკუთარი თავი. ასევე, განიცდიან მომავლის დანაკარგებს. მეხუთე გახლავთ მიღება-თანხმობის ფაზა, როცა ადამიანებს გათავისებული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის რაობა და ძალისხმევას არ იშურებენ, რომ ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ (Gregory, 2021).

დღევანდელ ქართულ რეალობაში მოქმედებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, სოციალურად დაუცველთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ასევე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. მისი მთავარი ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ დებულებების გათვალისწინება და შესაფერისი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვთა უფლებების დაცვასა და მათ მხარდაჭერას (საქართველოს მთავრობა, 2020). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ქვეპროგრამებში შედის: რეაბილიტაცია/აბილიტაცია, დღის ცენტრები, ბინაზე მოვლა და სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება, რომელიც განვითარების ძიძმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში პროგრამებისა და სერვისების საერთო მოცულობა გაიზარდა, მაგრამ მომსახურებების ხარისხი, მასში ჩართული ბენეფიციარების სიმწირე და გეოგრაფიული მოცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ნაკლებად არის ჩართული პროგრამების ზედამხედველობის პროცესში. მისი ფუნქცია მხოლოდ ვაუჩერის გაცემით და ბენეფიციართა ფორმალურ პროცედურებში ჩართვით შემოიფარგლება. ამასთანავე, სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილი მომსახურების სტანდარტის გარეშე ხორციელდება, რაც თავის მხრივ ართულებს, როგორც მომსახურების მიწოდების ხარისხს, ისე მის მონიტორინგს. წლების განმავლობაში საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეფასება სამედიცინო მოდელის მიხედვით ხდებოდა, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა შშმ პირთა საჭიროებების სრულფასოვნად დაკმაყოფილებას. 2020 წლიდან ამ მიმართულებით დაიწყო რეფორმების გატარება და სოციალურ მოდელზე გადასვლა, რომელსაც თან ახლდა გარკვეული სირთულეები და დაბრკოლებები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020). საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების აღქმა სამედიცინო და სოციალური მოდელის მიხედვით ხდება. სამედიცინო მოდელის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობა დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასა და არა მის სოციალურ/გარემო ფაქტორებთან.

ცალსახაა ის ფაქტიც, რომ მკურნალობისა და პრობლემის დაძლევის გზები ერთი მიმართულებით ხორციელდება და ადამიანს გარემოსგან იზოლირებულად მკურნალობენ. აღნიშნული მოდელი ექიმსა და შშმ პირს შორს წარმოშობს ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებას, რადგან საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპული აზრიდან გამომდინარე, ექიმმა უფრო კარგად იცის პაციენტის საჭიროებები. შესაბამისად, ნაკლებად ითვალისწინებს პაციენტის ხედვას გადანაცვებულების მიღების პროცესში.

განხილულ საკითხებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამედიცინო მოდელი არ არის სამართლიანი და ის ნაკლებად აძლევს შესაძლებლობას შშმ პირს, რომ განვითარდეს, მიიღოს განათლება, დასაქმდეს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყოს ჩართული, რადგან შშმ პირები ყოველთვის „ავად არ არიან.“

სოციალური მოდელის ფილოსოფია ეყრდნობა „უმცირესობათა ჯგუფის მოდელს“, რომელიც მიიჩნევს რომ საზოგადოებაში პრობლემის არსებობის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს თავად საზოგადოება. თუ ეტლით მოსარგებლე ადამიანი, ვერ იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ის კი არ უნდა გავრიყოთ არამედ ავტობუსი უნდა მოვარგოთ მის საჭიროებებს. სოციალური მოდელი ხაზს უსვამს, იმ სოციალურ ფაქტორებს და ადამიანთა დამოკიდებულებას, რომელიც აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ხელს უშლის მათი პოტენციალის რეალიზებას. ამგვარი შეფასების მოდელი ზრდის ჯგუფური იდენტობის პოზიტიურ შეგრძნებასა და ამაღლებს შშმ პირების თვითშეფასებას. ის ასევე ეფექტური მექანიზმია საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, ბარიერების მოსახსნელად და პასუხისმგებლობის თანაბრად გადასანაწილებლად, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არის ინდივიდის ბრალეულობა და პასუხისმგებლობა საზოგადოებამაც უნდა აიღოს (ტატანაშვილი, 2019).

ევროპის რიგ სახელმწიფოებში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციას ხელი შეუშალა ქვეყანაში მოქმედმა სამედიცინო მოდელმა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხსენებისას, საინტერესოა განვიხილოთ ხორვატიისა და საქართველოს მაგალითი. ვინაიდან, ორივე ქვეყანა გახლავთ განვითარებადი და ორივე შემთხვევაში კონვენციის ჩავარდნა განაპირობა შეუსაბამო შიდასაკანონმდებლო ჩარჩომ, რომელიც მიბმული იყო სამედიცინო მოდელთან და არ ითვალისწინებდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ქვეყნების შემთხვევაში პრობლემაა საზოგადოების ცნობიერების დონე, რომელიც აფერხებს შშმ პირების ინკლუზიას. რაც შეეხება განვითარებული ქვეყნების, შვედეთისა და პოლანდიის შემთხვევებს, სადაც მოქმედებს პრინციპი პაციენტიდან მოქალაქეობამდე (“From patient to citizen”) შშმ პირები აღიქმებიან საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქეებად, მთავარი აქცენტი საზოგადოებისა და სოციალური გარემოს პასუხისმგებლობაზე კეთდება. ეს გახლავთ დახვეწილი, საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული კანონმდებლობა, რომელიც ხელშემწყობია სოციალური მოდელის წარმატებით დანერგვის (აბაშიძე, 2018).

მსოფლიოს მასშტაბით მცხოვრები შშმ პირები და მათი მშობლები ცხოვრების მანძილზე მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შშმ პირთა შესახებ ინფორმირებულობის დონე ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად ამაღლდა, ამას ადასტურებს ისიც, რომ 2020 წლის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა თითქმის 73% თავს

კომფორტულად გრძნობს შშმ პირებთან მუშაობისას, ხოლო 72% მიიჩნევს, რომ შშმ პირების წარმომადგენლობის მხარდაჭერა მმართველობის ყველა დონეზე უნდა წარიმართოს (United Nations Organization, 2020). თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორც შშმ პირები, ისე მათი მშობლები კვლავ ხდებიან საზოგადოებრივი წნეხისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების მსხვერპლნი. აღნიშნული პრობლემა თავს იჩენს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ბუნებრივია, სხვადასხვა დონით. საუდის არაბეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც შშმ ბავშვებისა და მათი დედების პრობლემებს შეისწავლიდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკრიმინაციის ისეთი ფორმა, როგორცაა დაუნიებული მზერა, ისეთივე უარყოფით გავლენას ახდენს მსხვერპლებზე, როგორც გადამეტებული ზრუნვა და შეცოდება (Mandy, Madi, & Kay, 2019). აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც საქართველოს ხელისუფლებამ დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის შექმნის ვალდებულება აიღო. აღნიშნული კანონით განისაზღვრება როგორც დისკრიმინაციის ცნება, ასევე, მასში ჩამოთვლილია ის ძირითადი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც იკრძალება იგი. კანონი სხვა დაცულ სფეროებთან ერთად პირდაპირ მიუთითებს შებლუდულ შესაძლებლობებზე და განსაზღვრავს დისკრიმინაციის სახეებს- პირდაპირსა და ირიბს (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020). კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომლის სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობებიდან ერთ-ერთია შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტი როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია. ასევე, განახორციელოს ღონისძიებები დისკრიმინაციის საკითხზე საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად (საქართველოს პარლამენტი, 2014).

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყანაში არაადაპტირებული გარემოს არსებობა, რაც ხელს უშლის როგორც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ისე ზრდასრულებისა და მათზე მზრუნველი პირების სოციალიზაციის პროცესს. საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც შშმ პირთა უფლებებს ეხება, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს უფლებამოსილ ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო სერვისების, სტანდარტების, რეგულაციების შემუშავებასა და დანერგვას. აღნიშნული აუცილებელია, ვინაიდან უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ბარიერების, წინააღმდეგობებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრა. ამავე კანონში განხილულია შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს საკითხი. ერთ-ერთი (ვ) პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია შშმ პირებისთვის უზრუნველყოს: „ფიზიკური გარემოს, შენობა-ნაგებობის, გზის, ტრანსპორტის, ინფორმაციის, საცხოვრებელი სახლის, სამედიცინო დაწესებულების, სამუშაო ადგილის, კომუნიკაციის ტექნოლოგიისა და სისტემის, საზოგადოებისათვის ღია ობიექტის, სასწრაფო-საავარიო და სხვა მომსახურების სხვებთან თანასწორი ხელმისაწვდომობა“ (საქართველოს პარლამენტი, 2020, მუხლი 4). კოვიდ-19-ის პანდემიამ გაამძაფრა როგორც არასრულწლოვანი შშმ პირების, ისე მათი დედების უკვე არსებული მდგომარეობა. მოგეხსენებათ, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს

ეწმნებათ ფიზიკური, ინსტიტუციური და სოციალური ბარიერები, რაც უარყოფითად აისახება მათ განვითარებასა და სოციალურ ჩართულობაზე. პანდემიის დროს მშობლებმა შეითავსეს როგორც მასწავლებლების, ისე თერაპევტებისა და მომვლელების ფუნქციები (UNICEF, 2020).

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანია თბილისში მცხოვრებ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების ყოველდღიურ გამოწვევათა შესწავლა და ანალიზი. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. ვიკვლიოთ, თბილისში მცხოვრებ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედების ყოველდღიური სირთულეები და საზოგადოებაში არსებულ სტიგმათა გავლენა მათზე.
2. შევისწავლოთ, თუ რა ცვლილებები გამოიწვია კოვიდ-19-ის პანდემიამ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათი ოჯახების ცხოვრებაზე.
3. დავადგინოთ, რა გავლენას ახდენს შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირის დედობა მათ პიროვნულ განვითარებაზე, პროფესიულ წინსვლასა და ურთიერთობებზე.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა თბილისში მცხოვრებ არასრულწლოვან შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა 12 დედასთან. კვლევა ჩატარდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით. აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა ის, რომ რესპონდენტები უნდა ყოფილიყვნენ არასრულწლოვან შშმ პირთა დედები და მათი საცხოვრებელი ადგილი უნდა ყოფილიყო თბილისი. ამასთანავე, გავანალიზებთ საკითხის გარშემო არსებული რელევანტური ლიტერატურა და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები.

კვლევის შებლუდვა გახლდათ ის, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო რესპონდენტებთან ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. იმისათვის, რომ შებლუდებისგან გამოწვეული ზარალი მაქსიმალურად შემცირებულიყო, ინტერაქცია სატელეფონო კომუნიკაციის ნაცვლად შედგა ზუმის პლატფორმაზე, სადაც სიღრმისეული ინტერვიუს ძირითადი მოთხოვნები მაქსიმალურად იქნა დაკმაყოფილებული. ასევე, შებლუდული დროითი და ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, კვლევა ჩატარდა მხოლოდ თბილისში მცხოვრები არასრულწლოვანი პირების დედებთან. არასრულწლოვან შშმ პირთა დედების გამოწვევების ძირითადი ნაწილი საერთოა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს, შესაბამისად, ბავშვების დიაგნოზიდან გამომდინარე მათი გარკვეული საჭიროებები განსხვავდება. აღნიშნული საკითხის სრულად დაფარვა შესწავლა ჩვენს კვლევაში ვერ მოხერხდა.

კვლევის შედეგები

ჩვენს მიერ განხორციელებული ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა საჭიროებისა და დიაგნოზის მქონე არასრულწლოვანი შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედებთან. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემათა ძირითადი ტენდენციები მსგავსია, მათ შორის შეიმჩნეოდა გარკვეული განსხვავებებიც. თავდაპირველად განვიხილოთ საერთო გამოწვევები, როგორცაა

სოციალიზაციის ნაკლებობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასთან.

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დროის უდიდეს ნაწილს მძიმე და დაძაბული გრაფიკის გამო ატარებს სახლში. მათი გადმოცემით, ნაკლებად აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ განიტვიტონ, მეგობრებთან გაატარონ დრო, ან ჩაერთონ სოციალურ და კულტურულ აქტივობებში. ასევე, რესპონდენტების მხრიდან აღინიშნა ის ფაქტი, რომ გასულ წლებთან შედარებით საზოგადოების ცნობიერების დონე ამალღებულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ ცხოვრებაში ხშირად იჩენს თავს მოქალაქეების მხრიდან აგრესიული დამოკიდებულება (დაჟინებული მზერა, უხეშად საუბარი), ისეთ საზოგადოებრივ სივრცეებში, როგორცაა ტრანსპორტი, ქუჩა და სხვა. რაც ბუნებრივია, უარყოფითად აისახება მათ მენტალურ ჯანმრთელობასა და ყოველდღიურ გუნება-განწყობილებაზე. ასევე, ყურადღება გამახვილდა პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევებზეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მათთვის. ჩვენს მიერ გამოკითხული ქალბატონები ერთხმად უსვამდნენ ხაზს იმას, რომ ქვეყანაში არაადაპტირებული გარემოს არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონწვევაა მათ ყოველდღიურობაში. აღსანიშნავია, რომ შენობათა უმეტესობას არ აქვს შშმ პირებისთვის ადაპტირებული შესასვლელები.

„ მთელს ქალაქში ვერ ვიპოვნე სალონი, სადაც შვილის წაყვანას შეეძლებდი თმის შესაჭრელად.

არც ერთ სალონს არ აქვს ადაპტირებული შესასვლელი.“ - სოფო,

ცერებლარული დამბლის დიაგნოზის მქონე შშმ ბავშვის დედა

19.11.2021

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა გახლავთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მოურგებელი სერვისები, რაზეც ყველა რესპონდენტმა გაამახვილა ყურადღება. მათი თქმით, არსებობს გარკვეული მომსახურებები, რომლითაც ხშირად სარგებლობენ. მაგალითად: რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა, საკურორტო ვაუჩერები და სხვა. მიუხედავად გარკვეული რესურსების არსებობისა, გამოკითხულთა დიდი ნაწილი აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ პროგრამები ებმის სტატუსს და არა ბენეფიციარის საჭიროებებს. მშობლების თქმით, აუცილებლად უნდა ხდებოდეს, ბავშვების საჭიროებების შეფასება და სწორად განსაზღვრა, რათა ნებისმიერი შეზღუდვის მქონე არასრულწლოვანისთვის იყოს მომსახურება ხელმისაწვდომი. გამოკითხული დედების უდიდესი ნაწილი შიშობს, რომ გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მათი შვილები სრულწლოვანების ასაკს მიაღწევენ ვერ შეძლებენ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას და რეალიზებას, როგორც კარიერული, ისე პიროვნული თვალსაზრისით. ჩვენს კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედების ემოციურ მდგომარეობაზე. დედები აღნიშნავენ, რომ დიაგნოზის გაგების საწყის ეტაპზე გაუჭირდათ ინფორმაციის მიღება და გააზრება. „რატომ მაინცდამაინც მე“- ეს სიტყვები თითოეული რესპონდენტისთვის ნაცნობი და ახლობელი აღმოჩნდა. მათი უმეტესობა ბავშვის 2-3 წლის ასაკამდე ვერ იაზრებდა არსებულ მდგომარეობას, რის შედეგადაც დედებში თავს იჩენდა მძიმე დეპრესიული ფონი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ რთული ეტაპის გადალახვის შემდეგ, მათ შეძლეს მორალურად გაძლიერება. ისინი გახდნენ მეტად მებრძოლენი, პრინციპულები, გადაათვასეს ღირებულებები და პრობლემები.

რაც შეეხება ინდივიდუალურ გამოწვევებს, მარტოხელა დედების შემთხვევაში გამოვლინდა რეალობა, რომლის პირობებშიც მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დედებს და მათთვის წარმოუდგენელია ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვის გარდა სხვა აქტივობებზე ფიქრიც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა დედების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰყავს თანადგომის ქსელი. ვინაიდან, ვისაც აქვს მეუღლის, მეგობრებისა თუ ნათესავების მხარდაჭერა, არის უფრო რეალიზებული და რჩება დრო განტვირთვისთვის.

„საბედნიეროდ, ხანდახან მეხმარებიან ჩემი მეუღლე და უფრო ქალიშვილები. როცა ისინი ბავშვს იტოვებენ, ვახერხებ, რომ თავის მოვლასა და მეგობრებს დრო დაუთმო“. –

ნინო, დაუნის სინდრომის მქონე შშმ ბავშვის დედა

20.11.21

რესპონდენტთა იმ ნაწილისთვის, რომლებსაც ჰყავთ მხარდამჭერი ქსელი, მეტად მოსახერხებელია პიროვნულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა. საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ გამოკითხული დედების გარკვეული ნაწილი სრულფასოვნად იცნობს კანონმდებლობას, აქტიურად ჩართულია შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების პროცესში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შშმ პირთა დედების სწორედ ამ კატეგორიას აქვს ძალიან ძლიერი სოლიდარობის ქსელი, რაც მათ ეხმარებათ მორალურად გაძლიერებასა და საერთო კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

კვლევის ფარგლებში შევეხეთ კოვიდ-19-ის პანდემიისგან გამოწვეულ დაბრკოლებებსაც. დედების თქმით, როგორც მათ შვილებს, ისე თავად, ძალიან მოაკლდათ სოციალური ურთიერთობები. ერთ-ერთი მშობლის თქმით, ისედაც დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდნენ, ახლა კი სრულიად ვეღარ ახერხებენ გარეთ გასვლას დაინფიცირების შიშის გამო. მათი ვარაუდით, აღნიშნული პრობლემა სამომავლოდ უფრო გამოიჩენს თავს. ვინაიდან, შვილებს მეტად გაუჭირდებათ საზოგადოებასთან რეინტეგრაცია. კოვიდ-19-მა გაართულა, არსებულ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა. მათი თქმით, ზოგიერთი სერვისის მიწოდება ხდება ონლაინ რეჟიმში, მშობლების შუამავლობით, რაც ნაკლები შედეგის მომცემია და ამასთანავე, დედების დატვირთა მეტად გაიზარდა. ასევე, იმ არასრულწლოვნებმა, რომლებიც იღებდნენ დღის ცენტრის მომსახურებას კოვიდ რეგულაციებისა და დაინფიცირების შიშის გამო შეწყვიტეს ცენტრებში სიარული.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა ისეთი გამოწვევები, როგორცაა: სოციალიზაციის ნაკლებობა, საზოგადოებრივი წნეხი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მოურგებელი სერვისები და არაადაპტირებული გარემო. თუმცა, საინტერესოა თანადგომის ქსელის მნიშვნელობა მათ ცხოვრებაში. ვინაიდან, დედების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს კულტურულ და საზოგადოებრივ აქტივობებში და აიმაღლოს სოციალიზაციის დონე. როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის მიზანი გახლდათ არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების ყოველდღიურ გამოწვევათა შესწავლა,

რაც კვლევის შედეგებმა დიდწილად ასახა. კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა

ფსიქო-ემოციური მდგომარეობის მიმოხილვა. ამ კუთხით, ხაზგასასმელია კავშირი ჩვენს მიერ განხილულ ლიტერატურასა და გამოვლენილ შედეგებს შორის. კერძოდ, კუბლერ-როსის თეორიასთან, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რეალობას, რომელშიც ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტები ცხოვრობენ. თეორიით დასტურდება სწორედ ის, რომ სანყის ეტაპზე დედებში იკვეთება ბავშვის მდგომარეობის მიღების სირთულე და შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, რის გადალახვასაც თან ახლავს მორალური გაძლიერება, ღირებულებათა გადაფასება და ბრძოლისუნარიანობის მატება.

საინტერესოა, რომ COVID-19-ის პანდემიამ მათთვის მეტად გაამძაფრა როგორც მატერიალური, ისე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. გარდა ამისა, პანდემიამ გავლენა მოახდინა სერვისების მიღების სიხშირესა და ხარისხზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა არ მოიცავდა მთელს საქართველოს და გამოკვეთილი საჭიროებების შესწავლა მოხდა მხოლოდ თბილისში მცხოვრები არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დედების პოზიციიდან. აღნიშნულმა კვლევამ შესაძლოა საფუძველი დაუდოს ამ მიმართულებით მრავალი სხვადასხვა საკითხის სიღრმისეულად შესწავლას.

ბიბლიოგრაფია

- აბაშიძე, ს. (2018). *გაეროს შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ჩავარდნის განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოში*. Retrieved from <https://opencscience.ge/bitstream/1/1457/1/Ma%20Thesis-%20Sopho%20Abashidze%20sajaro.pdf>
- გოგბერაშვილი, ა. (2018). *მოპოვებული შებლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მარტოხელა დედები: ბრძოლა და წინააღმდეგობა*: <https://opencscience.ge/bitstream/1/1407/1/MA%20Thesis.Gogberashvili%20%20genderi.pdf>-დან
- გოგბერაშვილი, ა. (2018). *შებლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მარტოხელა დედები: ბრძოლა და წინააღმდეგობა*. Retrieved from <https://opencscience.ge/bitstream/1/1407/1/MA%20Thesis.Gogberashvili%20%20genderi.pdf>
- გოგბერაშვილი, ა. (2019, ივლისი 3). *შშმ ბავშვის დედად ყოფნა- ზრუნვა, როგორც ბრძოლა*. Retrieved from <https://feminism-boell.org/ka/2019/07/03/shshm-bavshvis-dedad-qopna-zrunva-rogorc-brzola>
- გოგბერაშვილი, ა., & კარაპეტიაძე, გ. (2019). *შშმ ბავშვების დედების საჭიროებები თბილისსა და რეგიონებში*. Retrieved from <http://womenfundgeorgia.org/Files/ქალთა%20ბმბე%20.pdf>
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2018). *ეზლუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი*. Retrieved from https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwds_in_georgia_geo_idfi.pdf
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2020). *გაეროს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCPRD) დადგენილი სტანდარტები*. Retrieved from <https://gyla.ge/files/news/არჩევნები%20პოსტერები/გაეროს%20სტანდარტები%20შშმ%20პირთა%20უფლებების%20შესახებ-2.pdf>
- საქართველოს მთავრობა . (2020). *სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ*. მოპოვებული <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5077110?publication=0>-დან
- საქართველოს მთავრობა . (2020). *კანონი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ*. Retrieved from <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5077110?publication=0>
- საქართველოს პარლამენტი. (2014). *საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>
- საქართველოს პარლამენტი. (2019). *ბავშვის უფლებათა კოდექსი*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>
- საქართველოს პარლამენტი. (2020). *საქართველოს კანონი შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ*. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1>

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2020). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. მოპოვებული <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>-დან
- საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). *სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. Retrieved from <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით*. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>
- ტატანაშვილი, ზ. (2019). *სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში*. თბილისი, საქართველო.
- UNICEF. (2016). *შემლედული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა*. Retrieved from <https://www.unicef.org/georgia/media/1176/file>
- United Nations Organization. (2020, ოქტომბერი 23). *საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება შემლედული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ*. Retrieved from https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/disability-research.html
- Beauvoir, S. . (1989). *The second sex*. New York: Vintage Books.
- Eberechukwu, A. (2018). *CHILDREN WITH DISABILITIES, a startling reality*. Retrieved from <https://lemaplaninternational.org/children-with-disabilities-a-startling-reality/>
- Gregory, C. (2021). *The Five Stages of Grief*. Retrieved from <https://www.psycom.net/depression.central.grief.html>
- Mandy, A., Madi, S. M., & Kay, A. (2019, April 28). *The Perception of Disability Among Mothers Living With a Child With Cerebral Palsy in Saudi Arabia*. Retrieved from <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/2333393619844096>
- UNICEF. (2020, June 11). *Parenting during Pandemic*. Retrieved from <https://www.unicef.org/georgia/stories/parenting-during-pandemic>
- UNICEF. (2021). *Children with disabilities overview*. Retrieved from <https://data.unicef.org/topic/child-disability/overview/>



აბსენტისტური განწყობების მიზეზები ქართველ ამომრჩევლებში და საზოგადო მენსიერება

მარიამ კვეტენაძე
ანა ბრეგვაძე

მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.kvetenadze107@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

არჩევნები განუზომლად დიდ როლს ასრულებს დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოების დღის წესრიგის ფორმირებაში. სხვაგვარად იგი შეიძლება გავიანჯროთ როგორც მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს, საკუთარი სურვილის მიხედვით გააკეთოს დამოუკიდებელი არჩევანი და ამ გზით მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში - აღასრულოს მოქალაქეობრივი ვალი. ცნობილი გამონათქვამის მიხედვით, „ცუდ ხელისუფლებას ირჩევენ კარგი ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე არ დადიან“. საკითხი, რომელსაც ეს ფრაზა ეხმიანება დღესაც არ კარგავს აქტუალობას როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში არსებული წინასაარჩევნო ციებ-ცხელების ფონზე რთულია ვთქვათ, რომ საზოგადოება სულ უფრო ინდიფერენტული ხდება არჩევნების მიმართ. თანაც, მოსახლეობის დიდი ნაწილი თავადაა ჩართული საარჩევნო პროცესებში, მაგალითად, რომელიმე პარტიის წევრია და მაქსიმალურად ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს მისთვის სასურველ კანდიდატს. მიუხედავად ამისა, ქართველ საზოგადოებაში დღითი დღე იმატებს იმედგაცრუებულ, გაურკვევლობაში მყოფ და განანწყენებულ ადამიანთა რიცხვი, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ იმ შედეგებამდე, რომ საზოგადოების ეს ნაწილი ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს.

საზოგადოების მხრიდან გამოხატული გულგრილობა შესაძლოა განპირობებული იყოს წარსული გამოცდილებით - მხედველობაში გვაქვს საბჭოთა დიქტატურა, რომლის წნეხსაც საქართველო ათეულობით წლის მანძილზე განიცდიდა, რამაც ღრმა კვალი დატოვა საზოგადოების მენტალობაზე. ვვარაუდობთ, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მმართველობის, ტერორისა და ხელისუფლებისადმი განცდილი მუდმივი შიშის შედეგად ჩამოშორდა ქართული საზოგადოება სახელმწიფო აპარატებთან თანამშრომლობის სანციებს, ვერ გაითავისა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და წარსულის ინერციით, შეგუებისა და აქტიური სამოქალაქო ცხოვრებიდან გარიდების გზა არჩია. პრობლემა კომპლექსურია და საკვლევედ რთულიც. თუმცა, ვფიქრობთ საინტერესო და მნიშვნელოვანია, გამოვკვეთოთ შესაბამისი პოზიცია, ხელთ არსებულ ემპირიულ ბაზაზე დაყრდნობით განვიხილოთ და ავხსნათ, თუ რა მიზეზები უბიძგებს საზოგადოებას, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე.

სწორედ ამ კითხვებზე პასუხების მოძიებაა ნაშრომის ამოცანა. იმ მიზეზების დადგენა და მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელთა გამოც არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის დინამიკა ყოველწლიურად იკლებს. კვლევისთვის გამოვიყენებთ, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის პერიოდის თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს უახლესი ისტორიის ხუთწლიან პერიოდზე (2009 - 2013) დაკვირვება, რადგან სწორედ ეს პერიოდი აერთიანებს ბოლო დროის ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნას. რაოდენობრივი კვლევისთვის გამოვიყენებთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო) ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას 2009-2013 წლებში საარჩევნო პროცესებში ამომრჩეველთა ჩართულობის შესახებ, ხოლო თვისებრივი კვლევისთვის გამოვიყენებთ კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიას- განვიხილავთ

სხვადასხვა ექსპერტისა თუ პოლიტიკოსის ნააზრევს აღნიშნულ თემასთან მიმართებით. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ მოვიაზრებთ კულტურული ტრავმის თეორიას, რომელიც გვიჩვენებს კოლექტიური ქმედებების ბუნებას, თუ რა დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე ისტორიულ ფაქტორებს.

კვლევისგან ველით გარკვეული ურთიერთკავშირის გამოვლენას საქართველოში მყოფე სამოქალაქო საზოგადოებასა და წარსულ გამოცდილებას შორის. აღნიშნული კვლევა ახსნის და გამოყოფს იმ მიზეზებს, რაც უბიძგებს ქართველ საზოგადოებას პოლიტიკური აბსენტიზმისკენ და ამავდროულად, შეეცდება მოძებნოს რაციონალური გამოსავლის გზები.

შესავალი

„ცუდ ხელისუფლებას ირჩევენ კარგი ადამიანები, რომლებიც არჩევენებზე არ დადიან“. ეს ფრაზა ზუსტად გამოკვეთს იმ მნიშვნელოვან აქცენტებს, რომლებსაც აღნიშნული ნაშრომი დაეთმობა. ზემოთ აღწერილ სამსუხარო რეალობას ვუნოდებთ პოლიტიკურ აბსენტიზმს, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან- „absentia“ და ნიშნავს „დაუსწრებლობას“. თანამედროვე გაგებით, აბსენტიზმი ნიშნავს მოსახლეობის ფართო მასების გულგრილ დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, რაც მათ უბიძგებს, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებაზე. აბსენტიზმის დონეს სახელმწიფოში განაპირობებს პოლიტიკური სისტემის არამდგრადობა, მოქალაქეთა დამოკიდებულება სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. ხმის მიცემის იგნორირება შესაძლოა იყოს როგორც არსებული პოლიტიკური სიტუაციის პასიური მიმღებლობის გამოვლინება, ისე პირიქით, მოსახლეობის მხრიდან მთავრობისადმი უკმაყოფილების გამოვლინება და უნდობლობა, რასაც მივყავართ პოლიტიკური პროცესების მიმართ ადამიანის გაუცხოებამდე. ამრიგად, აბსენტიზმს შორის შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ჯგუფი:

1. მოქალაქეთა ჯგუფი, რომლის გადაწყვეტილება, არ იაროს არჩევნებზე, არ არის გამოხატულება მისი პოლიტიკური პოზიციისა და წარმოადგენს კონფორმულ ქცევას.
2. მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც ამ გზით საკუთარ პროტესტს გამოხატავს.

აბსენტიზტური განწყობების დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც პირობითად შეიძლება დავყოთ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად. ობიექტურად ითვლება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: არჩევნების ტიპი, ეკონომიკური განვითარების დონე და ამომრჩევლის სოციალური მდგომარეობა. სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ამომრჩევლის ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური თვისებები და მისი დამოკიდებულება არჩევნებისადმი დროის გარკვეულ მომენტში, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია წარსულში მიღებული გამოცდილებით. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა დიქტატურა, რომლის წნეხსაც საქართველო ათეულობით წლის განმავლობაში განიცდიდა, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენს მენტალობაზე. საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მმართველობის, ტერორისა და ხელისუფლებისადმი განცდილი მუდმივი შიშის შედეგად, ქართველი საზოგადოება ჩამოშორდა სახელმწიფო აპარატებთან თანამშრომლობის სანცისებს, ვერ გაითავისა

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და წარსულის ინერციით, შეგუებისა და აქტიური სამოქალაქო ცხოვრებიდან გარიდების გზა არჩია.

პრობლემის აქტუალობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალგაზრდებში მკვეთრად გამოხატული ნიჰილიზმის ფონზე. კერძოდ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებში ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ტენდენციური ხდება პოლიტიკურად პასიურობა, ჩაურევლობა, მიმდინარე პროცესებისადმი დაუინტერესებლობა.¹ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო დემოკრატიის გზაზე ახალშემდგარი ქვეყანაა, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და სოციალური კაპიტალის დაგროვებას არსებითი მნიშვნელობა აქვს - ეს კი შეუძლებელია ზემოთ განხილული გარემოებების პარალელურად. სწორედ ამიტომ საჭიროებს ეს საკითხი დეტალურ განხილვასა და დაკვირვებას. გარდა ამისა, პოლიტიკური აბსენტიზმი ხელს უწყობს ძალაუფლების ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში მოქცევას, რაც, ბუნებრივია, ზრდის, „უკეთეს“ შემთხვევაში, კორუფციის, ხოლო „უარეს“ შემთხვევაში - ძალაუფლების სრულად უზურპირების საფრთხეს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დღეს ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული პოლიტიკური აბსენტიზმის წარმოშობის მიზეზების გამოკვლევა და ამ უკანასკნელსა და წარსულის გამოცდილებას შორის არსებული კავშირის გამოკვეთა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევ ამოცანებს წარმოადგენს:

- იმ მიზეზების დადგენა და მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელთა გამოც არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის დინამიკა ყოველწლიურად იკლებს.
- ჩვენ ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ახსნითი ანალიზის წარმოება, რომელიც, თავის მხრივ, დამყარებულია სხვადასხვა პიროვნების მოსაზრებებზე, ახსნებსა და მსჯელობებზე.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე 2010, 2012 და 2013 წლების არჩევნებში ამომრჩეველთა ჩართულობის გაანალიზება.

გამომდინარე მიზნიდან და ამოცანებიდან, კვლევითი კითხვები ფორმულირდა შემდეგნაირად:

- რა მიზეზები განაპირობებს საქართველოში არჩევნებში მონაწილე მოქალაქეთა დინამიკის ყოველწლიურ კლებას.
- რა კავშირია საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ აბსენტიზმსა და საბჭოთა წარსულს შორის.


მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს. კვლევის პერიოდის თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდიდან

¹ UNICEF, 2014, ახალგაზრდების ეროვნულ კვლევა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობითი ოფისი

2010, 2012 და 2013 წლების არჩევნებში ელექტორატის მონაწილეობის განხილვა, რადგან სწორედ ეს პერიოდი აერთიანებს ბოლო დროის ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნას და მათ შორის მძაფრ კონკურენციას. კერძოდ, საკვლევ პერიოდად აღნიშნული წლები ავიღეთ, რადგან 2010 წელი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდია, 2012 წელს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში შემოდის ახალი პარტია- „ქართული ოცნება“, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეჯახება ყოფილ მმართველ პარტიას და ქმნის ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგს ქვეყანაში. რაც შეეხება 2013 წლის არჩევნებს- ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამართული პირველი არჩევნებია. აღნიშნული პერიოდის არჩევნების შედეგების შესასწავლად, გამოვიყენებთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდზე (ცესკო) არსებული დოკუმენტების სტატისტიკურ ანალიზს 2010, 2012 და 2013 წლების არჩევნების შესახებ. „ცესკოდან“ აღებულ 2010, 2012 და 2013 წლებში ჩატარებულ არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ მოპოვებულ დოკუმენტებში ნათლად არის წარმოდგენილი მოსახლეობის აქტივობისა და მონაწილეობის რაოდენობრივი მონაცემები. ზემოხსენებული დოკუმენტების დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა ამომრჩევლის რაოდენობის ინდიკატორსა და აქტივობის პროცენტულ მაჩვენებელზე. რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, ჩვენი ნაშრომი აგებულია კონტენტ ანალიზზე და მასალის მეორეულ ანალიზზე- იგი მოიცავს სხვადასხვა პიროვნების მოსაზრებებისა და სამეცნიერო-აკადემიური ნაშრომების მიმოხილვას, ანალიზსა და განსჯას. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ქართულ და უცხოურენოვანი აკადემიური ლიტერატურა, სტატიები და ინტერნეტრესურსები. აღნიშნული ლიტერატურის შერჩევა მოხდა საკვლევ თემასთან შინაარსობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით.

სტატისტიკური მონაცემები



წყარო: ცესკო

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის დინამიკის ცვლილება ყველაზე კარგად ჩვენ მიერ არჩეული პერიოდიდან ჩანს, 2010 (ადგილობრივ), 2012 (საპარლამენტო), 2013 (საპრეზიდენტო) წლის არჩევნებში. კერძოდ, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში, რეგისტრირებული იყო 3 544 770 ამომრჩეველი, რომელთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 740 652 ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 49% წარმოადგენს. რაც შეეხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, აღნიშნული არჩევნები გამოჩვეულია იმით, რომ ის გახლავთ პირველი და ჯერჯერობით ბოლო არჩევნები, რომლის შედეგადაც საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ასევე, ჩვენ საკვლევ პერიოდში განსაკუთრებით მაღალი აქტივობა სწორედ ამ დროს ფიქსირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ იმატებს როგორც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა, ასევე მონაწილეთა პროცენტული წილიც, უფრო კონკრეტულად, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 613 851 ადამიანს, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 197 243 ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 60.8%-ია. ხოლო მესამე წელი, ეს გახლავთ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ვხედავთ ძალიან დიდ კლებას როგორც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, ასევე აქტივობის პროცენტულ მაჩვენებელთან მიმართებაში, კერძოდ- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 3 537 719 ამომრჩეველს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 648 662-მა ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 46.6%-ია. ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, მივიღეთ შემდეგი სურათი: ქართველ საზოგადოებაში ძალიან დაბალია მოქალაქეობრივი თვითშეგნება და ეს საუკეთესოდ ვლინდება ქართველი ამომრჩეველის საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მაჩვენებელზე დაყრდნობით, კერძოდ, ამომრჩეველთა ჩართულობა იმატებს მაშინ, როდესაც საზოგადოება ხედავს ახალ შესაძლო მმართველს, ახალ „იმედს“ ქვეყნის სათავეში, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შემგუებლური ბუნების „წყალობით“ ეჩვენება არსებულ კარგ ან ცუდ მდგომარეობას და აგრძელებს მასთან მშვილობიან თანაცხოვრებას- რაც მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოება არის შეუმდგარი და უკიდურესად მონყვალადი.

ლიტერატურული მიმოხილვა

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ მოვიაზრებთ კულტურული ტრავმის თეორიას, რომელიც გვიჩვენებს კოლექტიური ქმედებების ბუნებას და იმას, თუ რა დიდი გავლენა აქვს გადანაცვლებების მიღებაზე ისტორიულ ფაქტორებს. ფაქტია, რომ კულტურული ტრავმა უნდა მოვიაზროთ ისეთი სახის უდიდეს პოლიტიკურ-ისტორიულ მოვლენად, რომელიც სამუდამოდ რჩება ერის ქვეცნობიერში და შესაბამისად, აყალიბებს ერის მენტალობას. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება დავსვათ კითხვა- როდის ჩნდება კულტურული ტრავმა? კულტურული ტრავმა ჩნდება მაშინ, როდესაც კოლექტივის წევრები გრძნობენ, რომ დაეჭვმდებარნენ საზარელ მოვლენას, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს მათ ჯგუფურ ცნობიერებაში, სამუდამოდ უბეჭდავს მათ მოგონებებს და ცვლის მათ მომავალ იდენტობას ფუნდამენტური და შეუქცევადი გზებით.

კულტურული ტრავმა, უპირველეს ყოვლისა, არის ემპირიული, მეცნიერული კონცეფცია, რომელიც გვთავაზობს ახალ აზრობრივ და მიზნობრივ კავშირებს, მანამდე დაუკავშირებელ მოვლენებს, სტრუქტურებს, აღქმებსა და ქმედებებს შორის. ეს ახალი სამეცნიერო კონცეფცია ასევე შუქს ჰყენს სოციალური პასუხისმგებლობისა და პოლიტიკური მოქმედების განვითარებას. “სოციალური ჯგუფები, ნაციონალური ერთობები, ზოგჯერ კი მთელი ცივილიზაციები სწორედ კულტურული ტრავმის კონსტრუირებით არა მხოლოდ ადგენენ კოგნიტურ დონეზე ადამიანური ტანჯვის არსებობის და წარმოშობის წყაროს, არამედ, ყოველივე ამის გამო, საკუთარ თავზე იღებენ არსებით პასუხისმგებლობას. კოლექტივის (ერთობის) წევრები ადგენენ ტრავმის წარმოშობის მიზეზებს და ამით საკუთარ თავზე იღებენ მორალურ პასუხისმგებლობას. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაიზიარონ სხვათა ტანჯვა. შეიძლება თუ არა, რომ „სხვების“ ტანჯვა საკუთარ ტანჯვად აღვიქვათ? რამდენადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია, საზოგადოება აფართოებს „ჩვენ“ ჯგუფის საზღვრებს. თუმცა ამასთანავე, სოციალურ ჯგუფს შეუძლია უარი თქვას და ხშირად უარყოს კიდევ „სხვების“ ტრავმა. ამის გამო მათ არ შეუძლიათ მორალური კუთხით განიხილონ და აღიქვან ეს „პრობლემა“ (Alexander et al., 2004). სხვისი ტანჯვის რეალობის უარყოფით, ადამიანები არა მხოლოდ ავრცელებენ თავიანთ პასუხისმგებლობას ამ ტანჯვაზე, არამედ ხშირად საკუთარ ტანჯვაზე სწორედ ამ სხვებს აკისრებენ პასუხისმგებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური ჯგუფები ზღუდავენ სოლიდარობას და სხვებს კი ტოვებენ, რათა მარტოებმა იტანჯონ. ჩვენი კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ავიღეთ კულტურული ტრავმის თეორია, ვინაიდან, ვთვლით, რომ სწორედ ეს თეორია გამოხატავს და ხსნის საუკეთესოდ დღევანდელ სიტუაციას-მხედველობაში გვაქვს საბჭოთა დიქტატურა, რომლის წნეხსაც საქართველო ათეულობით წლის მანძილზე განიცდიდა, რამაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მენტალობაზე. სწორედ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მმართველობის, ტერორისა და ხელისუფლებისადმი განცდილი მუდმივი შიშის შედეგად ჩამოშორდა ქართული საზოგადოება სახელმწიფო აპარატებთან თანამშრომლობის საწყისებს, ვერ გაითავისა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და წარსულის ინერციით, შეგუებისა და აქტიური სამოქალაქო ცხოვრებიდან გარიდების გზა არჩია.

ავსტრიული წარმოშობის ფსიქოლოგი ბრუნო ბეტელჰეიმი ნაშრომში „ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მიმზიდველობის შესახებ“ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე გვიჩვენებს ტოტალიტარული დიქტატურის ქვეშ მოქცეული ადამიანის ბედს, სისტემის მოწინააღმდეგის ბრძოლას საკუთარ თავთან, რომელიც გამოვლილი აქვს ყველა ამ პოზიციაზე მყოფ პირს, ვისაც გარკვეული პერიოდით მაინც მოუხდა ტოტალიტარული მმართველობის ქვეშ არსებობა. ბეტელჰეიმის წერილი ზუსტად იმიტომ არის არსებითად მნიშვნელოვანი, რომ იგი ზედმინწევნით აღწერს, თუ როგორ ყალიბდება კულტურული ტრავმა, რა გზას გადის ადამიანის ქვეცნობიერი და სად მთავრდება ეს გზა. ავტორი ასახელებს ორ არჩევანს, რომლის წინამეც ნონკონფორმისტები იდგნენ- ეს იყო ღიად დაპირისპირება ხელისუფლებისადმი, რაც „უკეთეს“ შემთხვევაში გადასახლებით, „უარეს“ შემთხვევაში კი სიკვდილით დასრულდებოდა, ან რეჟიმის მარნუხებთან შეგუება, საჯაროდ მორჩილების გამოხატვა, მაშინაც კი, როდესაც გულში ზიზღი და მიუღებლობაა.

აქ გასათვალისწინებელია ისეთი ფუნდამენტური ადამიანური ფაქტორები, რომლებიც უსუსურ მდგომარეობაში აყენებს პიროვნებას, როგორცაა, მაგალითად, ახლობლებისა და ოჯახის წევრების

კეთილდღეობა, რადგან სისტემასთან ბრძოლა ფიზიკურ განადგურებას უქადდა არა მარტო ცალკეულ პიროვნებას, არამედ ოჯახებს. ბეტელჰაიმის წარმოაჩენს ადამიანის სულიერად კვდომის გზას, რომელიც პიროვნული მთლიანობის ყველაფერის ფასად შენარჩუნებაზე გადის. რეალურად, კულტურული ტრავმა სწორედ იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ ადამიანებმა ეგოს დაკმაყოფილების გზით და შინაგანი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით აღიარეს ის, რისი აღიარებაც მათ ინდივიდუალურ რწმენაზე დაფუძნებულ კრედოსთან თანხვედრაში არ მოდიოდა. ამგვარად, საჯარო ქმედებებისა და შინაგანი ღირებულებების სხვადასხვაობა ბადებდა უზარმაზარ შინაგან კონფლიქტს, რომელიც უსისხლოდ მხოლოდ რეჟიმთან შერიგების გზით დასრულდებოდა. „ტოტალიტარულ სახელმწიფოებში გამეფებული სიმშვიდის ფასი არის სულის დაღუპვა“ (შამილიშვილი, 2021).


მაღხაზ მაცაბერიძე წიგნში „არჩევნები და საზოგადოება“ განმარტავს პოლიტიკური აბსენტიზმის მნიშვნელობას და ასახელებს იმ ძირითად მიზეზებს, რომელთა გამოც ამომრჩეველთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი უარს აცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე. კერძოდ, აბსენტიზმი აქ განმარტებულია, როგორც ნებაყოფლობითი უარი მოსახლეობის მხრიდან არჩევნებში მონაწილეობაზე (მაცაბერიძე, 2003). თავის მხრივ, პოლიტიკურ აბსენტიზმს სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ პოლიტიკური აპათია ან პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობა, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის. ბუნებრივია, რომ ეს მიზეზი ცალსახად მომდინარეობს წარსულში გადატანილი მძიმე მდგომარეობისგან.

აღსანიშნავია, ობივატელური განწყობილებები საზოგადოებაში, რაც გულისხმობს ელექტორატის გარკვეულ ნაწილში არსებულ სრულ ნიჰილიზმს, რომლის დროსაც ამომრჩეველი ვერ ხედავს პოლიტიკურ ღონისძიებებში ჩართულობის აუცილებლობას და თავს შორს იჭერს მსგავსი სახის აქტივობებისგან. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მოქალაქეების უარს ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობაზე, განაპირობებს სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პირადი პრობლემები - ამ შემთხვევაში უმუშევრები და ოჯახური პრობლემების მქონე ინდივიდები საარჩევნო ურნებთან არ მიდიან, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი შინაგანი რესურსი იმისთვის, რომ მოქალაქეობრივი ვალი აღასრულონ. ამას გარდა, საზოგადოების ფართო ფენებში მთლიანად მორყეულია ნდობა ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აბსენტიზმის რიცხვს. აღსანიშნავია ე.წ „შემგუებლური დამოკიდებულება“- ვგულისხმობთ იმას, რომ ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სულერთიც კია, რომელი პოლიტიკური პარტია აღმოჩნდება ქვეყნის სათავეში. ასეთი მოქალაქეები წინსწრებით აცხადებენ თანხმობას ნებისმიერ საარჩევნო პროგრამაზე და ბოლოს, აღსანიშნავია ერთი ფუნდამენტური გარემოება- არჩევნებზე არმისვლა ზოგიერთ შემთხვევაში არის პროტესტის გამოხატვის ფორმა. კერძოდ, არსებობენ ისეთი მოქალაქეებიც, რომლებიც სწორედ იმიტომ არ იდებენ მონაწილეობას არჩევნებში, რომ შემოთავაზებული პროგრამა ან საარჩევნო სიაში წარმოდგენილი სახელი მათში ამბობს ბადებს (მაცაბერიძე, 2003).

არსებითად მნიშვნელოვანია, განვმარტოთ საზოგადო მეხსიერების მნიშვნელობა და გამოვკვეთოთ ამ უკანასკნელის შექმნის პროცესში საბჭოთა კავშირის ზეგავლენა. საზოგადო მეხსიერება სხვა არაფერია თუ არა ისტორიული მეხსიერება, რომელიც ყალიბდება წარსულის შესახებ არსებული

რწმენებისა და წარმოდგენების შედეგად და განსაზღვრავს ერის მენტალობას, აზროვნებას, დამოკიდებულებას, როგორც წარსულის, ისე მომავლის მიმართ. სოციოკულტურის ანთროპოლოგის, ჯემს უერჩის საკვლევი სფერო სწორედ ეროვნული ნარატივისა და კოლექტიური მემორების კვლევას მოიცავს, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნების, ისე ამერიკის მაგალითზე. უერჩი გამოყოფს იმ ორ ფუნდამენტურ მახასიათებელს, რომელიც დიდ როლს თამაშობს კოლექტიური აღქმის ჩამოყალიბებაში. იგი ახსენებს „ეპიზოდურ მემორებას“, რომელიც აპრიორი დაფუძნებულია თავსადადამხდარ ფაქტზე და „ინსტრუმენტულ“ მემორებას, რომელიც იქმნება კულტურული მექანიზმების მიერ (*James V Wretsch, 2004*). როდესაც ვსაუბრობთ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული ერის თვითაღქმაზე, ხაზგასმით უნდა გამოვყოთ ის კულტურული ბერკეტები, რომლებიც განაპირობებდა ჩვენი ცნობიერების დღეს არსებული სახით გამონართობას. რაღა თქმა უნდა, ეს მექანიზმები არის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიური მახასიათებლების გამოვლინება - მხედველობაში გვაქვს საბჭოთა პროპაგანდა, ცენზურა, მოსახლეობის მასების აზროვნების გაერთგვაროვნება, უფრო მოგვიანებით კი სტალინის კულტის შექმნა, რამაც საზოგადოება სრულებით ჩამოაშორა ინდივიდუალურ ფასეულობებს და დემოკრატიული განვითარების გზას. დღევანდელი საკუთარ ნაშრომში - „საბჭოთა პროპაგანდა: თეორია და პრაქტიკა“ საბჭოთა კავშირის პროპაგანდას მათივე „იდეოლოგიის ქვედანაყოფად“ მოიხსენიებს (შამილიშვილი, 2021).

მემორების პოლიტიკაზე საუბრობს თამარ ქარაია სადისერტაციო ნაშრომში - „საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ“. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გადაფასების პროცესის, როგორც მემორების კონსტრუირების ნაწილის შესწავლა. საკითხის კვლევა განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს მაგალითზე, რადგანაც რეალურად ქვეყანა ახლა გადის ტოტალიტარული რეჟიმისგან დანატოვების ღირებულებების გადაფასების გზას (ქარაია, 2015). აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარდამავალ საზოგადოებებზე მემორების პოლიტიკის ზეგავლენის საკითხს. მასში მოყვანილია ე.წ. „ერის ტანჯულობის“ დილემის იდეა და მისი გადაჭრის გზების ძიება. ზემოხსენებული გზები შესაძლოა პირობითად დავყოთ ე.წ. ფაზებად, რასაც, ერთი მხრივ, მივყავართ წარსულის გადაფასებამდე, ხოლო მეორე მხრივ ხელი ეწყობა დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებას (ქარაია, 2015).



წყარო: ქარაია, 2015

სტენლი კონი გამოყოფს სხვადასხვა ფაზას, რომელიც თან ახლავს გარდამავალი საზოგადოებების მიერ რეპრესიული წარსულის გააზრებას

კონის მიერ მოყვანილი ფაზებიდან ნათლად იკვეთება ის ტენდენცია, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია გარდამავალი ტიპის საზოგადოებისთვის. საქართველოც იმ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სწორედ ახლა გადიან დემოკრატიის დამკვიდრებისთვის საჭირო რთულ და ხანგრძლივ ეტაპებს. ვგულისხმობთ, რომ საბჭოთა დიქტატურისას განცდილი მუდმივი ტერორი, შიში და ჩაგვრა წარმოშობს იმას, რასაც დღეს პოლიტიკურ ნიჰილიზმს ვუწოდებთ. ფაქტია, რომ მოსახლეობაში დღემდე აქტუალობას არ კარგავს სახელმწიფოს, როგორც უბრალოდ სუბიექტის მიმართ დამოკიდებულება. ხალხი ჯერ კიდევ თვლის, რომ სახელმწიფო არის ის აპარატი, რომელთანაც სხვადასხვა სახის ურთიერთობა შეიძლება დაამყარო, ეს შეიძლება იყოს შიში, ბრაზი, იმედგაცრუება. ადამიანებს ჯერ კიდევ სწამთ, რომ სახელმწიფოსგან ყველაფერის ფასად უნდა მიიღონ სარგებელი. ამ კატეგორიის ადამიანებისთვის სახელმწიფო კეთილდღეობის მითვისება, საყოველთაო დოვლათის მოპარვა თვითმყოფადობის შენარჩუნების გზაა და მათთვის მიუღებელია თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობა. სწორედ ამის გამო მოქალაქეთა სოლიდური ნაწილი თავს იკავებს საარჩევნო ურნებთან მისვლისგან („არჩევნები და საზოგადოება“, 2003).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდებით ისეთ პრაქტიკას, როგორიცაა ე.წ. „სავალდებულო ვოტუმის“ იდეა. იგი გულისხმობს სანქციების დაწესებას იმ პირებზე, რომლებიც უარს აცხადებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და მიზნად ისახავს აბსენტისტი მოქალაქეების ვინაობის გასაჯაროების გზით „საჯარო გაკიცხვას“. ² გარდა ამისა, საგულისხმოა ბელგიის მაგალითი, კერძოდ არჩევნებზე პირველად გამოუცხადებლობის შემთხვევაში (როდესაც მოსამართლეს ეცნობება ამის შესახებ) მოქალაქე ჯარიმდება 3 ფრანკით, მეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის

² ამ პრაქტიკას ვხვდებით იტალიაში, მისი გათვალისწინებით იმ ადამიანთა სიები, რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში, შეიძლება გამოქვეყნდეს გაზეთებში(მაცაბერიძე, 2003).

შემთხვევაში ჯარიმა აღწევს 25 ფრანკს. თუკი ამომრჩეველი მესამედამდე უარს განაცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე, ჯარიმასთან ერთად მისი სახელიც საჯაროდდება, მეოთხედ გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი მას ხმის მიცემის უფლება 10 წლის ვადით ჩამოერთმევა და ასევე, იგი ვერ შეძლებს დასაქმებას სახელმწიფო სამსახურში (მაცაბერიძე, 2003). ფაქტია, რომ „სავალდებულო ვოტუმის“ პრაქტიკა ნამდვილად ამართლებს- ბელგიაში ელექტორატის 94,6% რეგულარულად ცხადდება არჩევნებზე, ასევე ავსტრალიაში ამომრჩეველთა 94,5%, ხოლო ავსტრიაში კი 91,6% იღებს მონაწილეობას არჩევნებში (მაცაბერიძე, 2003). თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად არის გამართლებული ეს იდეა. ვფიქრობთ, რომ „სავალდებულო ვოტუმის“ იდეა ნამდვილად არის შედეგის მომტანი, თუმცა იგი ძირითადად ვერ აღმოფხვრის აბსენტიზმის პრობლემას, რადგან არჩევანის გაკეთება უნდა იყოს საზოგადოების მხრიდან მომდინარე ნება და არა კანონი, რომლის შესრულებაც საზოგადოებას სანქციებს აარიდებს თავიდან. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ილახება დემოკრატიული პრინციპები და არჩევნის თავისუფლების ხელშეუხებელი უფლება, ელექტორატში მონაწილეობის არმიღებაც სრულებით ლეგიტიმური უფლებაა და სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მოქალაქის ამ გადაწყვეტილებას. ასევე, მივიჩნევთ, რომ დაბალი სამოქალაქო თვითშეგნებით გამოწვეული აბსენტიზმის პრობლემის გადაჭრა სანქციების დაწესების გზით შეუძლებელია, იგი ბევრად ღრმა გათვლებს და მიზანზე ორიენტირებულ სვლებს საჭიროებს.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ვერშემდგარი სამოქალაქო საზოგადოების მაპროვოცირებელ ფაქტორებზე საუბრობს ფრენსის ფუკუიამა. მისი აზრით, მთავარი მიზეზი მოქალაქეობრივი ინტეგრირების პრობლემაა, რაც სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობით არის განპირობებული. იგი აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში დამკვიდრებულია ე.წ საბაზრო ეკონომიკა (Market Economy), თუმცა მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი საბაზრო საზოგადოებამ (Market society) (Social Capital and Social Transformation in Russia, 2004). ეს ახსნა ხაზს უსვამს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხის კომპლექსურობას და გვიჩვენებს საფეხუროვან გზას, რომელსაც გარდამავალი საზოგადოებები გადიან.

კვლევის შედეგები

კონტენტ ანალიზისა და რაოდენობრივი დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკური აბსენტიზმი საქართველოში დაკავშირებულია პოსტსაბჭოურ გამოცდილებასთან. საზოგადოება დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას ქვეცნობიერად ადარებს საბჭოთა კავშირში ყოფნისას არსებულ პოლიტიკურ დღის წესრიგს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამდენიმე თაობამ შეცვლა უკვე მოასწრო, ჯერაც ვერ მოხერხდა ქართველი ერის ცნობიერების დაცლა საბჭოთა კავშირისეული გავლენიდან- ქართველი ერის ცნობიერებაში იმდენად ძლიერად აქვს გადგმული ფესვები ათწლეულების მანძილზე განცდილ იდეოლოგიურ წნეხს, რომ ფაქტია, მისგან გასათავისუფლებლად კიდევ ათწლეულებია საჭირო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემა არის კომპლექსური. შესაბამისად, არ არსებობს ერთი კონკრეტული მეთოდი, რომელიც მის აღმოფხვრამდე მიგვიყვანს. ქვემოთ გამოვეყოფთ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ მიგნებებს, რომლებსაც ეტაპობრივად მივყავართ ზემოხსენებული პრობლემის

გადაჭრამდე. უპირველეს ყოვლისა, არსებითად დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო განათლებას. საჭიროა, ადრეული ასაკიდანვე მიენოდოს ბავშვებს სწორი ინფორმაცია მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ამ გზით დასაწყისშივე აღმოიფხვრება ის პრობლემა, რასაც მოგვიანებით აბსენტისტური განწყობილების ჩამოყალიბებამდე მივყავართ. აუცილებელია ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე გათვლილი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რაც გამიზნული იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციაზე.

საგულისხმოა, რომ საქართველო განიცდის მსგავსი ტიპის კვლევების ნაკლებობას მაშინ, როდესაც ამგვარი კვლევები ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ რა მასშტაბის ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ახალი დემოკრატიის სახელმწიფოსთვის მათივე ინდიფერენტულობა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბსენტიზმი ჩვენს დროში ბევრი განვითარებული სახელმწიფოსთვისაცაა დამახასიათებელი, სადაც პასიური ელექტორატი იყოფა იმ კატეგორიად, ვინც არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან და მმართველი პარტიების მიერ განხორციელებულ პოლიტიკასთან შეუთანხმებლობის გამო და იმ ნაწილად, რომლებიც აზრს ვერ ხედავენ კენჭისყრაში და სჯერათ, რომ მოქმედ ხელისუფლებას მათი ხმების გარეშე დაუჭერენ მხარს. როგორც ჩანს, სწორედ არსებით, მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს მიჰყავს პასიური ამომრჩეველი საარჩევნო უბნებზე, მათ შორის, ახალგაზრდებიც. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკა გადადის საჯარო სფეროში, პოლიტიკური საკითხები პირველ ადგილს იკავებს მთელი საზოგადოების დღის წესრიგში. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სუბიექტები, რომლებიც ამ პრობლემების გადაჭრის რადიკალურად განსხვავებულ გზებს სთავაზობენ ამომრჩეველს. ეს კი არჩევნებში მონაწილე მოქალაქეების თვალში მათ ავტორიტეტს ზრდის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსენტიზმი გავრცელებულია ყველგან, მათ შორის განვითარებულ დემოკრატიებშიც, თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მას განსხვავებული ბუნება აქვს, სადაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა დიდწილად გამოწვეულია პოლიტიკური სისტემისადმი უნდობლობით. საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა თავად მთავრობის მხრიდან ხალხისადმი გაუცხოებას, რომელიც შემდგომში ტრანსფორმირდა მოქალაქეთა თვითგაუცხოებაში. დემოკრატიული მექანიზმების არაეფექტურობის გამო, ამ ყველაფერს საფუძვლად ზემოთ განხილული კულტურული ტრავმა ედო. სწორედ ასეთი თვითგაუცხოება წარმოშობს იმ აბსენტისტების რიცხვის მუდმივ ზრდას, რომლებსაც არ სჯერათ, რომ შესაძლებელია შეცვალონ პოლიტიკური სიტუაცია უკვე არსებული კანონიერი საშუალებებით. თავისუფალი და მიუკერძოებელი არჩევნები კვლავ რჩება დემოკრატიულობის შენარჩუნების გარანტად, რადგან იგი აპრიორი გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების გზით სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ხელისუფლების უზურპირების საფრთხეს და ქმნის „პლატფორმას“, სადაც ხელისუფლება და ოპოზიცია თანამშრომლობს მშვიდობიანად და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაცაბერიძე, მ. (2003) არჩევნები და საზოგადოება. თბილისი: „მეცნიერება“
https://tsu.ge/data/file_db/library/Archevnebi%20da%20Sazogadoeba%2001.pdf?fbclid=IwAR00xwA4Pp904Kl5r4TU49dS0Z8TIWXdeGFxMGmniHE2ZXPhqatNe-bLZMY
2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2010) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები; ამომრჩეველთა აქტივობა. <https://cesko.ge/res/old/other/29/29070.pdf>
3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2012) საპარლამენტო არჩევნები; ამომრჩეველთა აქტივობა. <https://cesko.ge/res/old/other/29/29081.pdf>
4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2013) საპრეზიდენტო არჩევნები; ამომრჩეველთა აქტივობა. <https://cesko.ge/res/old/other/29/29071.pdf>
5. ქარაია, თ. (2015) მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში (საბჭოთა წარსულის გააზრება ვარდების რევოლუციის შემდეგ). (დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი)
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/socialur_politikuri/tamar_qaraia.pdf?fbclid=IwAR0xFTsg9N5_YH2gabWhiOK4F733pp1DwyI-vZ2vVxoW2IEiGMY-eAvEDHQ
6. შამილიშვილი, მ. (2021) საკითხავი მასალა სასწავლო კურსისთვის „მედია და პოლიტიკური კომუნიკაციები“: „პოლიტიკის ბერკეტები - მედიაპროპაგანდის ხერხები“.
7. UNICEF, 2014, ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა: თბილისი
https://www.unicef.org/georgia/media/1131/file?fbclid=IwAR0WkaD-g8rjzvdMgOA5DMtferF4OX4O6_xR0k6YazbXgb-haGNonhgEvsg
8. Alexander, J.C., Eyerman, R., Giesen, B., Smelser, N.J., Sztompka, P., (2004) Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press.
http://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/cultural_trauma_and_collect.identity.pdf
8. Bettelheim, B., “Remarks on the Psychological Appeal of Totalitarianism”, The American Journal of Economics and Sociology, Vol. 12, No. 1, The Psychological Approach to the Social Sciences (Oct., 1952)
https://www.jstor.org/stable/3484611?read-now=1&refreqid=excelsior%3A7e8aaf9a73ce984ed1611ce458cd8a8d&seq=1#page_scan_tab_contents

9. Schrader, H. (2004). Social Capital and Social Transformation in Russia. *Journal of East European Management Studies*, 9(4), 391–410. <http://www.jstor.org/stable/23280670>
10. Fairbank, Timothy. “Participating in the Process: The Importance of Civil Society in the Former Soviet Union.” *Georgetown Journal of International Affairs* 6, no. 1 (2005): 131–38. <http://www.jstor.org/stable/43134082>.
11. Wertsch, James V. *Voice of Collective Remembering*. UK: Cambridge University Press, 2004.)
<https://www.cambridge.org/core/books/voices-of-collective-remembering/9FF0E27FC67D1DC38E973B8E54C402EE>
12. Аринина, К.И. (2014) Абсентизм в Политике: Причины и Последствия. Казанский университет, г. Казань. https://kpfu.ru/portal/docs/F_1429082182/156_1_gum_23.pdf
13. Рудомётов, С.С. (2016) *Идеологические основы Абсентизма и Фактор экспектации в условиях Демократии Постсоветского пространства*. Государственный институт экономики, финансов, права и технологий. <http://intjournal.ru/ideologicheskie-osnovy-absenteizma-i-faktor-ekspektatsii-v-usloviyah-demokratii-postsovetskogo-prostranstva/>